

ქართული გზები



საქართველოს
მედიკალური
კავშირის
გაზეთი
№5 (260)
1-30 ივნისი
2017
ფასი 1 ლარი

გამოცემის
თავი მომსახურება

ნოვანა

ჩვენი გზები...



რეკლამის მიზნები

ნეიტრალურმა არხმა საღამოს საინფორმაციო საათის დამთავრებისას გამოაცხადა: „ამ დღით ხანმოკლე და არც თუ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქალაქის კოლორიტი გოკა ბაინტურაშვილი“.

მართალია, ამ განცხადებას რეკლამას დახარბებულმა ტელევიზიამ ქალის ქვედა საცვლების და ულტრათანამედროვე დამცველი საშუალებების რეკლამა მოაყოლა, მაგრამ ხმა გოკა ბაინტურაშვილის გარდაცვალების შესახებ ელვის სისწრაფით არა, მაგრამ საშუალო ინტენსივობით მაინც გავრცელდა ქალაქში.

ემმაკზე უფრო ემმაკები არიან ჟურნალისტები.

თუ მავანი და მავანი თავისი ცხოვრების წესით ენერგიულად თავის გამოჩენით რაზმს განეკუთვნება, მაგრამ კონკრეტულად, განსაკუთრებით, არცერთ დარგში არ შეუქმნია რაიმე ღირებული, ასეთ კაცს „ქალაქის კოლორიტის“ უკვდავ იარაღს მიაკერებენ და დადიან თბილისში ხანში შესული (ღმერთმა დიდხანს აცოცხლოთ), მაგრამ ადამიანური მოღვაწეობის ყველა სფეროში სახელის მაძიებელი და საბოლოოდ მაინც ზომიერად გაბითურებული „ქალაქის კოლორიტები“.

პროფესიონალები მათს ნაღვანს სერიოზულად არ ღებულობენ და არც არავითარ ანგარიშს უწევენ, გამოჩენილთა ყველაზე გრძელ სიაშიც არ დაასახელებენ ხოლმე, მაგრამ ტელევიზიონები და ტელეგოგონები რაიმე მოვლენაზე კომპე-

ტენტური აზრის გამომთქმელთაგან დაბეჯითებით უარს რომ მიიღებენ, „სიუჟეტის“ გადასარჩენად ქალაქის კოლორიტს მივარდებიან ხოლმე. ქალაქის კოლორიტისთვის კი არ არსებობს ფრაზები „იქნებ სპეციალისტისთვის გეკითხათ“, „იქნებ ვცდებოდე“, „ჯერ ამ პრობლემაზე არ მიფიქრია“ და ა. შ.

ქალაქის კოლორიტს პასუხი ყველაფერზე მზადა აქვს. ქალაქის კოლორიტმა ყველაფერი იცის... კამერის წინ ყელს მოიღერებს და კიდევ ერთი ტელესისულელით გაამდიდრებს ტელეინტერვიუთა ოქროს ფონდს.

ამ, სრულიად აუხსნელი ინერციით გოკა ბაინტურაშვილი ყოველდღე ჩანდა ცისფერ ეკრანზე.

ყავლაგასულ მოცეკვავეთა კონკურსი იყო და ჟიურიში ქალაქის კოლორიტზე უკეთესს ვის დაუძახებდნენ, მოგონებათა ციკლის გადაცემათა სერია იყო და გოკა წარმოუდგენელ აქტიურობას იჩენდა; ყველა გარდასულ მოღვაწეზე თავის აზრს გამოთქვამდა, მართალია ხელჩასაჭიდსა და საგულისხმოს ვერაფერს იხსენებდა, მაგრამ „ულამაზესისა“ და „განუმეორებლის“ წამდაუნუმ გამეორებით თავბრუს ახვევდა გულუბრყვილო მსმენელს. იუმორისტულ შოუზე ხომ თავად იუმორის გრძნობას მოკლებული ტელენამყვანები გადაცემაგამოშვებით მაინც დასვამდნენ მოწვეულის სკამზე გოკა ბაინტურაშვილს. და იჯდა ყელმოღერებით ნიჭიერი სტუმრის სავარძელში გოკა. წამყვანის შეკითხვაზე ისეთ უგვანო „იუმორს“ დაახეთქებდა თავისი სექსუალური თავგადასავლების შესახებ, რომ ჭკვიან მაყურებელს სახე ეღუშებოდა და უხერხულობისგან შეიშმუშნებოდა. გოკა კი, ყურებად პირგახეული გოკა, ისე გულიანად ხარხარებდა, რომ იუმორის გრძნობასმოკლებულ ტელეოპერატორებსაც აიყოლიებდა სიცილში და სწორედ ამიტომ იყო, რომ ცისფერი ეკრანი თავის ტელევიზორიან-დასადგმელ მაგიდიანად ძიგძიგებდა.

სამწუხაროდ, პროპაგანდისტულ საშუალებებზე ტელევიზიის გამეფებამ ის სავალალო შედეგი მოიტანა, რომ გაუცნობიერებელ მაყურებლებში (და მაყურებელთა 90% სწორედ ასეთია) მკვიდრად დამკ-

ვიდრდა აზრი: თუ ტელევიზორში ხშირად ჩანხარ, ესე იგი ნიჭიერი ხარ.

ყველა არხზე ერთი და იგივე სახეები რატომ ჩანანო, თუ მკითხავთ, მოგახსენებთ, რომ ჟურნალისტები დიდი ფანტაზიით არ გამოირჩევიან, ახალ სახეთა ძიებით აუტკივარ თავს არ იტკივებენ და ტელესივრცეში უცნობ ინდივიდთა შემოყვანას ურჩევნიათ ისევ ნაცადი სახეების, თუნდაც ქალაქის კოლორიტების „შენუხებით“ დაკმაყოფილდნენ.

გოკა ბაინტურაშვილი მარტოხელა კაცი გახლდათ.

მისი ახლო მეგობრები ორი დღე ელოდნენ, რომ მადლიერი ხელისუფლება თავს შეინუხებდა ამ გამოჩენილი („გამორჩენილი“ კინალამ წამომცდა) მოღვაწის უკვდავსაყოფად. „როგორც მინიმუმ“ დიდუბეში მაინც დაკრძალავდა და გაზეთებს დაამშვენებდა მაღალი ეშლონების წარმომადგენელთა მიერ ხელმოწერილი ნეკროლოგით.

მესამე დღეს გოკას მეგობარი კოტე კოპაძე მერიში მივიდა.

რას შერებითო, ჰკითხა დაკრძალვათა კომისიის ხელმძღვანელს.

ვართ რა, გარემოების შესაფერისად, ფაქტიურად აინონა-დაინონას ვთამამობო, მასპინძელმა.

მე მაგას როდი გეკითხებით, გოკა ბაინტურაშვილის დაკრძალვის ამბავი მაინტერესებსო.

ეგ მეც მაინტერესებს და სწორედ შენთვის უნდა მეკითხა, რატომ არ მოგაქვთ მიმართვაო.

რისი მიმართვაო, კოტემ.

რომელიმე სახელოვნო კავშირმა უნდა მოგვმართოს, დიდუბეში დაკრძალვის თხოვნითო.

დაკრძალვის კომისიის თავმჯდომარის პასუხში ბუნდოვანი კი არა, ძნელად გასაგებიც არა იყო რა.

მივიდა კოტე მწერალთა კავშირში. მართალია მოთხრობებსაც წერდა, მაგრამ ბატონი გოკა, ძირითადად, მოცეკვავე იყო და ჩვენგან უხერხულია შუამდგომლობის დაწერა. მიმართვა ქორეოგრაფთა კავშირმა უნდა დაწეროს, ელემენტარული კოლეგიალობის ამბავიაო.

რაზე შენუხებულხარო, ჰკითხეს ქორეოგრაფთა კავშირის კიბეზე ხვნეშით ამომავალ კოტეს.

გოკას მიმართვაზე გაახელითო.

რა მიმართვაზეო? გაიკვირვებს.

გოკა ხომ ძირითადად მოცეკვა-

ვე იყო, ამიტომაც მერიის სახელზე მიმართვა თქვენ უნდა დაწეროთო, კოტემ. ქორეოგრაფთა კავშირში, როგორც ჩანს, ელოდნენ კოტეს მოსვლას და პასუხიც მზად ჰქონდათ:

გოკა, ჩემო ბატონო, ძირითადად მოცეკვავე კი არა, კინომსახიობი იყო. ჩვენ სიამოვნებით დავწერდით მიმართვას, მაგრამ უხერხულია, კინემატოგრაფისტთა კავშირს თავზე ხომ ვერ გადავახტებითო. მიმართეთ კინემატოგრაფისტთა კავშირს, სწორედ გოკას მიერ შესრულებული როლებით (განსაკუთრებით როცა იგინებოდა) მიიღო არაერთი ჯილდო ქართულმა კინემატოგრაფმაო.

მივიდა გოკა კინემატოგრაფისტთა კავშირში.

როდიდან გახდა გოკა კინომსახიობი, გაიკვირვებს კინემატოგრაფისტებმა. მდარე ხარისხის ფილმებში ერთი-ორი ეპიზოდური როლის შესრულება კინომსახიობობას (და მით უმეტეს კინოვარსკვლავობას) როდი ნიშნავსო. გოკა ძირითადად მწერალი გახლდათ (ყოველ შემთხვევაში ჩვენ ასე გვეუბნებოდა) ამიტომაც მიდით მწერალთა კავშირში და მიმართვას ისინი მოგართმევენო. ჩვენთვის უხერხულია მწერალთა კავშირს წინ რომ გადავურბინოთ ამ საკითხში, წინამასწარობა გამოგვივა და ეწყინებათო.

კოტე მწერალთა კავშირში არ მიბრუნებულა, იცოდა მწერალთა კავშირი კვლავ ქორეოგრაფთა კავშირისკენ მიუთითებდა და არ ისურვა წრეზე სიარული.

გოკა ბაინტურაშვილი დაკრძალეს ვერის ძველ სასაფლაოზე ხოზე დიასის და სერგეი ლაზოს საფლავებს შორის.

დაკრძალვის ცერემონიამ მშვიდობიანად, ჭყლეტვისა და მსხვერპლის გარეშე ჩაიარა.

რაა ბოლოს და ბოლოს, ამხელა პიროვნება, თბილისის ჭეშმარიტი კოლორიტი გარდაიცვალა და რა გაჭირდა მისთვის დიდუბეში მომცრო ადგილი, ან თუნდაც ერთი ხეირიანი ნეკროლოგის გამოქვეყნებაო, დაწერა გოკას დაკრძალვის კვირის თავზე ერთმა ნეიტრალურმა გაზეთმა.

ეს იყო ერთადერთი სწორი აზრი გოკა ბაინტურაშვილზე, რომლის შექმნაში ქალაქის კოლორიტი, სრულიად საპატიო მიზეზით, არ ჩარეულა.

“ვეფხისტყაოსნის” ტრიუმფი



„ტრიუმფი“ – ერთი სიტყვით ასე შეიძლება დახასიათდეს პანტომიმის თეატრის მიერ რუსთაველის 850 წლისთავისადმი მიძღვნილი „ვეფხისტყაოსნის“ წარმოდგენა თეატრალურ საქართველოში. სპექტაკლი დადგა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ამირან შალიკაშვილმა, სცენარის ავტორია რევაზ მიშველაძე.

თეატრმა გადაწყვიტა „ვეფხისტყაოსანი“ მთელ საქართველოს უჩვენოს და ამით ნაწილობრივ მაინც მოიხადოს საერთოდ ქართული თეატრის ვალი უკვდავი შოთა რუსთაველის 2016 წელს ჩაშლილი იუბილის წინაშე.

სპექტაკლი უკვე ნახა გორელმა, ფოთელმა და საჩხერელმა მაყურებელმა. უახლოეს ხანებში „ვეფხისტყაოსნით“ თეატრი ესტუმრება ქუთაისს, ჭიათურას, ზესტაფონს, ბათუმს, ოზურგეთს, ჩოხატაურს, ლანჩხუთს, თელავს, რუსთავს, გურჯაანს, ახმეტას, საგარეჯოს, ამბროლაურს, მარტვილს, სენაკს და სხვა ქალაქებს.

- ბატონო ამირან, გთხოვთ ორი-ოდე სიტყვით გვითხრათ „ვეფხისტყაოსნის“ სახელოვან გასტრო-

ლებზე საქართველოს სხვადასხვა ქალაქში.

- „ვეფხისტყაოსნის“ პრემიერა შედგა მარჯანიშვილის თეატრში, დარბაზი სავსე და მაყურებელი აღფრთოვანებული იყო. სწორედ მაშინ გადაწყვიტე, რომ ეს სპექტაკლი ყველგან მეჩვენებინა. თუმცა ამას მუდამ ვაკეთებდი, ჯერ კიდევ მაშინ, როცა პანტომიმის თეატრი პირველ ნაბიჯებს დგამდა. ყველგან დავდიოდი, ვაცნობ-

სპექტაკლი-მეთქი. მე სხვანაირად არ შემიძლია, სადაც ხელი მიმიწვდება, ყველგან უნდა ჩავიდე და ვაჩვენო „ვეფხისტყაოსანი“. ჩემთვის ქუთაისი ნიუ იორკია. პირველი ქალაქი გორი იყო. გადაიჭედა დარბაზი, დიდი წარმატებით ვითამაშეთ. ეს ჩემთვის სულაც არ იყო მოულოდნელი, საქართველოში შოთა რუსთაველი და „ვეფხისტყაოსანი“ ყველას უყვარს. აღფრთოვანებული იყვნენ გორელები, არ


ხეთო. ყველგან, სადაც მივდივართ ვცდილობთ მაყურებლის გასაჭირის გაზიარებით ბილეთის ფასი შესაბამისი იყოს. როდესაც ქვეყანაში სოციალურად დაუცველი მოსახლეობა გყავს, არ შეიძლება თეატრმა ეს არ გაითვალისწინოს, ამიტომ რაიონებში ბილეთის ფასი 5 ლარია. ამ ეტაპზე მეტი ვერ მოვახერხეთ. რომ ჩავდივართ ჩვენ ხომ გვინდა ელემენტარული პირობები. დავბრუნდით თბილისში. შემდეგისთვის წავალთ ქუთაისში, ბათუმში, ჭიათურაში, მესხეთში... ყველგან, სადაც სცენაა, ჩავიტანთ სპექტაკლს და საქართველოს ყოველ კუთხეში ვაჩვენებთ, კახეთშიც ჩავიტანთ.

- ბატონო ამირან, მომავლის გეგმებზე რას გვეტყვით.

- წელს ნიკოლოზ ბარათაშვილის 200 წლის საიუბილეო წელია. მე მინდა ეს ჩვენც ავსახოთ და სცენარიც უკვე არის. საოცარ მუსიკას მივაგენი. ხომ იცით პანტომიმის სპექტაკლისთვის მუსიკა რამდენად მნიშვნელოვანია და არ შემიძლია არ გაგიზიაროთ ერთი სასიხარულო ამ-



დი ხალხს, ვესაუბრებოდი. ჩვენ არტისტები ხომ ბავშვები ვართ, მოფერება გვინდა. რაც უფრო მეტად მოგვეფერებინ, უფრო მეტს გავაკეთებთ. ადრე კულტურის სამინისტრო გეგმავდა ყველა თეატრალური დასის გასტროლს საქართველოს რაიონებში. დღეს ამას აღარავინ აკეთებს, სამწუხაროდ. ყველა ხარჯს ჩვენ თვითონ ვანერსებთ, არავინ გვაფინანსებს. ჩემს შვილებს ვუთხარი, მოდი, დავიძრაოთ საქართველოს რაიონებში, ყველგან უნდა ჩავიტანოთ ეს



დამავიწყდება გორელი მწერლის ვანო ჩხიკვაძის შეფასება. მერე დასავლეთში წავედით. ფოთში ორი სპექტაკლი ვითამაშეთ. საჩხერეში გადავედით. ყველგან თბილად გვხვდებოდნენ. განსაკუთრებით მინდა გამოვყო ფოთის სცენაზე სამი ქალბატონის ამოსვლა, ისინი ალბათ პედაგოგები იყვნენ, აღტაცებული გვიზიარებდნენ შთაბეჭდილებებს და მითხრეს, ბატონო ამირან, ერთი საათი როგორ გვამყოფეთ რუსთაველთან, ეს რა ვნა-

ბავი. „ვეფხისტყაოსნის“ ლიბრეტო რეზო მიშველაძისაა და პრემიერის შემდეგ მან მითხრა, ეს რა ბომბი ისროლე, ახლა რა უნდა ქნაო. მე მივუგე, გალაკტიონი-მეთქი. გაუკვირდა, მაგრამ ძალიან რომ ვთხოვე, სულ რაღაც ერთ კვირაში სცენარი მომიტანა. ასე რომ, სულ მალე პანტომიმის თეატრი ახალ სპექტაკლს შესთავაზებს მაყურებელს.

- დიდი მადლობა, წარმატებებს გისურვებთ.

ესაუბრა მანანა ბორბიშვილი



პროფესორ ამირან მეჩავაბიშვილის წიგნზე „მოქალაქეობათმცოდნეობა“

სარეცენზიო ნაშრომი ეძღვნება დღეისთვის უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს მომავალ თაობაში საქართველოს წარსულისა და დღევანდელი აქტუალური პრობლემების გაცნობას.


როგორც ავტორი წერს: „საქართველოს ნებისმიერმა მოქალაქემ, მიუხედავად ეროვნებისა და პროფესიისა, ხელი უნდა შეუწყოს საკუთარი სამშობლოს კეთილდღეობასა და აყვავებას, არ დაიშუროს ამისთვის უნარი, გამოცდილება და ცოდნა.

უძველესი დროიდან იყო საქართველოში განათლება და კულტურა ყურადღების ცენტრში. ეს კარგადაა ასახული წიგნის ფურცლებზე. ავტორი განიხილავს ზნეობრივი აღზრდის როლს ახალგაზრდობის განვითარებაში. იგი მოუწოდებს მომავალ თაობას გაითვალისწინონ ეკლესიის, დიდი მამების, ბრძნული აზრები სწავლა-აღზრდის საქმეში. ამ კუთხით ავტორი განსაკუთრებით ამხევილებს ყურადღებას ერის დიდი შვილის ექვთიმე თაყაიშვილის თავდადებაზე, მის ზნეობასა და ფასზე... ასევე მნიშვნელოვანია მიხეილ ჯავახიშვილის ათი მცნება, რომელიც ქალიშვილს დაუტოვა.

ავტორი მსჯელობს აღზრდის ყველა ფაქტორზე და მოჰყავს ქართველი პოეტებისა და სასულიერო პირების ცხოვრებიდან ეპიზოდები, რაც წიგნში ფაქიზად არის გადმოცემული.

ამირან მეჩავაბიშვილის მიერ შემოთავაზებული ჭეშმარიტება, რომელიც მისი წიგნის ფურცლებზეა გაჟღერებული, უდაოდ იმსახურებს დიდ ყურადღებას. ვინაიდან სულიერებისა და კარგად გაშალაშინებული ზნე-ჩვეულებების გარეშე კაპიკია ადამიანის ფასი. განათლებასა და პროფესიულ დარგში წარმატებას ფასი არა აქვს თუ ადამიანი სულიერად განუვითარებელია და მისი ზნე-ჩვეულება თანხვედრაში არ არის მის განათლებასთან, ან მისი ნიჭიერებასთან.

ჩვენ ვიცით რომ უფლის ერთ-ერთი ანგელოზი, საკმაოდ ნიჭიერი და განათლებული „ლუცი-ფერი“ უარყოფილი იქნა უფლის ზენა სამყაროს მიერ, ვინაიდან მისმა ზნე-ჩვეულებამ ვერ მიიღო ის მაღალი შეფასება, რასაც უფა-



ლი ითხოვდა. მისმა ესოდენ დიდმა ნიჭიერებამ და განათლებამ ვერ დააკმაყოფილა სულიერი სამყაროს მოთხოვნა.

ამრიგად ილიას უნდა დავეთანხმოთ, რომ უგუნური უზნეო სჯობია, განათლებულ უზნეოს.

ამირან მეჩავაბიშვილის წიგნი, სახელწოდებით: „მოქალაქეობათმცოდნეობა“, უდაოდ მაღალ საფეხურს იმსახურებს დღევანდელი თაობაში. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ აღნიშნული წიგნი, რომელიც დამხმარე სახელმძღვანელოდ გამოიყენებოდა უმაღლეს სასწავლებლებში, დღესაც აქტუალური უნდა გახდეს. თანამედროვეობისთვის მისი აუცილებლობა ნამდვილად ღირებულია.

ვინაიდან მომავალ თაობას სჭირდება არა მარტო პროფესიული განათლება, არამედ სულიერი და მათი პიროვნული ზნე-ჩვეულებების აღზრდა-გაშალაშინება ნიპარების კვალზე. აუცილებლად უნდა დადგეს საკითხი, ამ ფრიად მნიშვნელოვანი წიგნის დამკვიდრებისა, როგორც უმაღლეს სასწავლებლებში, ასევე საჯარო სკოლების მაღალ კლასების სწავლება-განათლებაში.

ეს წიგნი მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის, რომელიც ზნეობას და სულიერებას ემსახურება. ე. ი. თითოეული ჩვენთაგანისთვის...

ამ ღირებულ წიგნში, ბატონი ამირან მეჩავაბიშვილის კალამი ზნეობის სამსახურში ჩამდგარა. მაღლობის მეტი რა გვეთქმის?!

დალი ყარაულაშვილი

გერონტი მესხი

ზარი

(შვიდი წლის დაწყებული იყო პირქუში მეოცე საუკუნე, ილია რომ გამოგვა-ცალა ხელიდან. შვიდი წელი აკლდა მის გასრულებას, ზვიადი რომ მოგვიკლეს...)

ცამ შეისრუტა მორუხო ნისლი და უმაღ ბინდმა შთანთქა თვითონაც. სადღაც გრუხუნებს – სატანას ესვრის, თოფიც ეშმაკმა გამოიგონა. ადამის ჯიშმა გასწირა ღმერთი – ღვთის ძე, რომელიც მათთვის ანთო. არც ჩვენ დავზოგეთ, და არა ერთი, ვისაც ქრისტესთან ჰქონდა საერთო. ეშმამ დასჭეჭა „ბერდენკის“ ლულით და წინამურთან დგამენ ობელისკს. ზეცად გაფრინდა მბრწყინავი სული, მოკაშკაშე და ჩაუქრობელი. ძველ ხიბულაშიც გავარდა ტყვია ხმაურით... თითქოს, მაინც ფაქიზად... მოკვდა ღმერთკაცი... და ერთიც კია: ამ ხმამ ვერავინ გამოაფხიზლა. შორიდან რეკავს სამრეკლოს ზარი, რეკავს და თითქოს, მკრთალდება ბნელი... ...შენც საზიდი გაქვს კუთვნილი ჯვარი, შენც საკუთარი გოლგოთა გელის...

სიცოცხლის გაელვება

ხორცი შემასხა მშობელმა მიწამ, სისხლი ჟუჟუნა წვიმებმა მომცეს. სული ნიაგმა შთამბერა იმ წამს და „დაბადება“ ეწოდა პროცესს. მოვედი, რათა მცირედი წვლილით შევალამაზო ქართული სივრცე. მტერს-მტრის მივუზღო, ძმას კი – ძმის წილი და მიწის ქმნილი კვლავ მიწად ვიქცე.

როდის ძრება სილამაზი

კობტა ქალს ვეტრფი... გრძნეულს... გამა სდევს მწუსხავ ფერთა. სახე უმშვენებს სხეულს, სული-ორივეს ერთად. მაგრამ თუ ასე მოხდა, – სულს გაერია წყალი, გაქრება შენი „კობტა“, შეგრჩება მხოლოდ „ქალი“...

ლამაზი ქალი

საიდუმლოს, გადანახულს ხვალისთვის, წამში გასცემს მისი მზერა ფარული. სილამაზე სიმდიდრეა ქალისთვის, მზითვია, სკივრში გადამალული. ვნების მტვერი მოგაფრქვია თუ ქარმა და ღიმილი შეგაყინა ბაგეზე, სილამაზე, იტყვი, შექმნა უფალმა, ფიქრიც, მზერაც მის მხარეს რომ გაგექცეს. და თუ სუნთქვაც აგიჩქარა მშვენებამ, ჯადოსნური ხელით როა ნაქარგი, ყველა ქალი შენად მოგეჩვენება, შეგაფოთებს შიში მათი დაკარგვის. სილამაზე დღე მზეს ჩრდილავს, ღამე – ცას,

გულს, უსისხლოს, გესლით უვსებს შურიანს. ...თვალს, თუ კვლავ სხვა ლამაზისკენ გაგექცა, ნუ დასძრახავ, წყალი თვალსაც სწყურია!...

სამი დღე, რომელმაც შეძრა ჩემი სამშობლო

(გუშინ თბილისში ერთი დღით თოვდა... – ავტ.)

—როგორ ჩანს, თუნდაც, ერთი დღით თოვა?! —როგორც უტყეოდ მოჩანს აფთარი!... უფროვე მოჰგავს უცრემლო გლოვას, – დალახვროს ღმერთმა მსგავსი ზამთარი! ...და მაინც, ყველა დღე მიჯობს ახლა აგვისტოს სამ დღეს, მსხვერპლით მოფენილს, რომელსაც მართლა კომმარი ახლდა, რომელმაც შთანთქა ჩემი სოფელი...

სისხლით მოწმინდეთ სოფელს ნამუსი

(ეძღვნება 1991 წლის 11 ოქტომბერს ს. ახალშენში ოსი ექსტრემისტების მიერ ვერაგულად ჩახოცილ მოხუცებს: ამ ლექსის ავტორის მშობლებს – ეთერ და ლევან მესხებს, ასევე ელენე და ილიკო სადღობელაშვილებს, ვასილ ხუციშვილს)

თქვენს ნათელ სახეს დაცვა ჩრდილი ჩახმახშემართულ შავი სატანის. ეშმაკთან მკვლელთა ნაყარი წილი ჯოჯოხეთშია მათი გამტანი. ცოდვა აჰკიდეს სინდისს საკუთარს, უკუნისამდე მოუწევთ თრევა. ღვთისგან მოიმკის მოდგმის სანუხარს, ვინც თქვენი ცოდვით ჯოჯოხეთს შევა. კეთილს რომ თესდით და შუღლს კიცხავდით, გეგონათ, მაღლი გზად, ქვაზე, თუ დევს... ეჰ, ხუთეული, ვერ დაგიცავით, ვერ დაგიდევთ შეუვალ ზღუდედ. ქართულ სიმართლეს ხაზი გაუსვით... შუბლგანგმირულნი შერჩით ახალშენს. სისხლით მოწმინდეთ სოფელს ნამუსი და უკვდავებას გაეთამაშეთ. სასუფეველში გადასულები ლოცვა-კურთხევას გვითვლით ციდანაც. ღმერთმა აცხონოს თქვენი სულები, ფრონის ჰავამ რომ გაანმინდანა.

ქალის ხიბლში ერთის ნაცვლად სამი მზეა... ვნებამ დრომდე ყველა გვერდზე გასწია... ქალი მხოლოდ სიყვარულის სამიზნეა, ქალის მხრებზე ამური თვლემს პანია... ცას ასკდება დიდი გრძნობის მატინე, და კვალს სტოვებს მასზე ერთი გადავლით... სიყვარულით ისე უნდა გატილდე, მკლავს შემორჩეს ამურული ნადავლი... ...მერე რა რომ ქალის ხიბლში სამი მზეა... მზე ხომ, ხშირად, ერთიც ჭარბობს ბევრისთვის... ქალი მხოლოდ სიყვარულის სამიზნეა, ვაი, იმ კაცს, ვინც მიზანში ვერ ისვრის...

„26 მაისის რუსთაველის საიუბილეო ზეიმად გადაკეთება არ იქნება“

რევაზ მიშველაძის განცხადებით, რუსთაველის იუბილეს არგამართვით საქართველომ თავი შეიკავებინა

„26 მაისის, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის, რუსთაველის საიუბილეო ზეიმად გადაკეთება ლამაზი არ იქნება. ვერც დამოუკიდებლობის დღეს ვიზეიმებთ და ვერც რუსთაველს სათანადო პატივს მივაგებთ“.

ასე ეხმიანება რუსთაველის პრემიის ლაურეატი, მწერალი რევაზ მიშველაძე მთავრობის გადაწყვეტილებას – 26 მაისი „ვეფხისტყაოსნის“ თემატიკით აღინიშნოს.

„რეზონანსი“: მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილეს აღსანიშნავად 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, მიეცემა დამატებითი დატვირთვა – „ვეფხისტყაოსანი“. თბილისსა და მთელ საქართველოში ღონისძიებები გაიმართება ლოზუნგით – „მე რუსთაველის ქვეყნიდან ვარ“. ალბათ ქართველი მწერლები კმაყოფილი დარჩიან ამ გადაწყვეტილებით, რადგან, რამდენადაც მე ვიცი, თქვენ იყავით ამ ღონისძიების ინიციატორები.

რევაზ მიშველაძე: ეს გადაწყვეტილება არის საქართველოს ხელისუფლების დამორცხვებული ნაბიჯი, რაკი მაშინ ჩავშალეთ შეგნებულად თუ შეუგნებლად რუსთაველის 850 წლის იუბილე, მოდი, ახლა პატარა-პატარა იუბილეებით გამოვიწყიდით ამ ცოდვასო.

ქართული ანდაზა ამბობს: „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“ და მე, რუსთაველის ჩაშლილი იუბილეს გამო ერთ-ერთი წამებული, გითხრათ სიმართლე, არ ვარ წინააღმდეგი კულტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებული რუსთაველის დღეებისა მაისის მეორე ნახევარში.

რუსთაველის დღეები საქართველოში ყოველთვის არის; ჩვენ „ვეფხისტყაოსანზე“ უფრო დიდი განძი არ გავაჩნია, მაგრამ სრული პასუხისმგებლობით მოგახსენებთ, რომ ხელისუფლებას არა აქვს უფლება, ერს წაართვას 26 მაისი.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღის რუსთაველის საიუბილეო ზეიმად გადაკეთება, ჩემი ფიქრით, მთლად ლამაზი არ იქნება. ვერც დამოუკიდებლობის დღეს ვიზეიმებთ და ვერც რუსთაველს სათანადო პატივს მივაგებთ. ასე, რომ, მამაჩემს აქვს ცხონება, 26 მაისი დავტოვოთ ტრადიციულ 26 მაისად.

რაც შეეხება რუსთაველის 850 წლის იუბილეს, რაკი საქართველოს ხელისუფლებას საერთაშორისო მასშტაბით ჩატარების თავი არ აქვს, რუსთაველის დღეები ჩატარდეს საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ერს მივცეთ საშუალება, ერთ დღეს კი არა, რამდენიმე დღე აღინიშნოს ერის უპირველესი მწერლის 850 წლისთავი.

„რ.“: რა იყო მიზეზი იმისა, რომ შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილე საერთაშორისო მასშტაბით ვერ ჩატარდა, მით უმეტეს, რომ 2016 წელი იუნესკომ შოთა რუსთაველის წლად გამოაცხადა?

რ. მ: რუსთაველის 850 წლისთავი შარშან უნდა გვეზეიმა – 2016 წელს. ისტორია რუსთაველის საიუბილეო წლებისა ასეთია – 1937 წელს, მოგესვენებათ, რა წლები და რთული ვითარება იყო ქვე-

ყანაში, ლავრენტი ბერიამ ჩაატარა შოთა რუსთაველის 750 წლისთავის იუბილე, მაშინ გამოვიდა „ვეფხისტყაოსნის“ ძვირფასი საიუბილეო გამოცემა და იგი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად არის ამჟამად ქცეული. მე მას, როგორც ერთ-ერთ სანდო გამოცემას, სათუთად ვინახავ ჩემს ბიბლიოთეკაში.

მეორედ შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილე 1966 წელს ჩატარდა. საიუბილეო ღონისძიებებს ხელმძღვანელობდა მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ირაკლი აბაშიძე.

საქართველომ უმასპინძლა სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ უცხოელ სტუმრებს. არ იკითხავთ, რამდენი უცხოელი მწერალი ესწრებოდა ამ იუბილეს – 311, როცა დღეს მწერალთა კავშირის თავისი სახსრებით საზღვარგარეთიდან ერთი მწერლის მოწვევაც არ შეუძლია, მაგრამ ეს ჩვენი უბედური ყოფის ამბავია და ამას თავი გავანებოთ.

მაშინ 25 წლის ახალგაზრდა მწერალი ვესნრეზი ამ გრანდიოზულ იუბილეს, რომელიც ოპერის თეატრში გაიმართა. პატივი მერგო, ჩამოსულ მწერალთა დელეგაციას გავყოლოდი მესხეთ-ჯავახეთში.

როცა გადაწყდა 2016 წელს, ისევ 50 წლის შემდეგ, რადგან ყოველ 50 წელიწადშიტარდება ეს იუბილე, თადარიგი აღრიდანვე დავიჭირეთ და მწერალთა კავშირის ლიტერატურულ ორგანოებში გაიმართა უკვდავი შოთა რუსთაველის 850 წლისთავისადმი მიძღვნილი მასალების ბეჭდვა.

იმთავითვე გამოვაცხადეთ, რომ სექტემბერში გაიმართებოდა საიუბილეო საღამო. საზღვარგარეთიდან გამუდმებით გვეხმიანებოდნენ მწერლები, „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელები და გამომცემლები გვთხოვდნენ, საშუალება მიგვეცა მათთვის, ჩამოსულიყვნენ და პატივი მიეცოთ „ვეფხისტყაოსნის“ გენიალური ავტორისათვის.

მიიღია სექტემბერი. მე, როგორც მწერალთა კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, შემფოთებამ შემიპყრო, ხელისუფლების მხრიდან (მინისტრთა კაბინეტი, კულტურის სამინისტრო) ჩამიჩუმი არ ისმოდა. მართალია, საარჩევნო ციებ-ცხელებაში იყვნენ ჩართული, მაგრამ იმდენად ათორიაფხი ხელისუფლებამ, რომ საიუბილეო კომისიაც კი არ შექმნეს, არადა, ამას სულ 5 წუთი უნდოდა.

„რ.“: გკონდათ მცდელობა ქართველ მწერლებს, პირადად შეხვედროდით ხელისუფლების წარმომადგენლებს?

რ. მ: პირადად მივწერე 7 წერილი ქართველ მწერალთა კავშირის სახელით პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს და კულტურის მინისტრ მიხეილ გიორგაძეს, მაგრამ პასუხის ღირსადაც არ ჩავგავდეს.

საოცარი ის იყო, რომ ენერგიულად გვემალეობდნენ და პასუხის მოცემას თავს არიდებდნენ. რადგან ჩემს შვიდ წერილზე არ მიპასუხეს, დავინწყე ენერგიული რეკვა პრემიერ-მინისტრის და მისი თანაშემწის ტელეფონებზე.

პირველ ზარზე, ფიცში ვერ ჩავიყოლებ, პრემიერ-მინისტრის თანაშემწემ მიპასუხა; როცა ავუხსენი, რომ რევაზ მიშველაძე ვარ და რუსთა-

ველის მოახლოებულ იუბილეზე სასაუბროდ მინდა შევხვედე პრემიერ-მინისტრს მეთქი, – კარგი, ბატონო, შევათანხმებ პრემიერთან და დაგიკავშირდებითო. ვის დაკარგვიხარ, ვინ გექვს.

რაკი ჩემი ტელეფონის ნომერი ცხადი გახდა მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელობისთვის, ამის შემდეგ ენერგიულად არ იღებდნენ. ყურმილს, როცა შევჩვილე ჩემს კოლეგებს ეს ამბავი, ბევრი იცინეს, ჩვენც მაგ დღეში ვართ, სამუდამოდ მიკეტილი აქვს თავისი კაბინეტის კარი გიორგი კვირიკაშვილს ქართული ინტელიგენციისთვისო – მითხრეს.

გიორგის კარგად ვიცნობ, პარლამენტში ოთხი წელი ერთად ვიყავით, მშვიდი, წყნარი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, უხმოდ, შელოცვილივით იჯდა, არც ერთხელ მიკროფონთან არ მისულა. ვერ გავიგე, რამ შეაძულა ასე შოთა რუსთაველი, თორემ ჩემს თავს აღარ დავეძებ.

რაკი კვირიკაშვილთან იმედი გადამენურა, ავატალახე კულტურის სამინისტრო, კვირიკაშვილის სენი რუსთაველისადმი უყურადღებობისა მიხილ გიოგაძესაც გადასდებოდა. ბიძინა ივანიშვილამდე ვერ მივანვდინე ხმა, თორემ დარწმუნებული ვარ, ყოფილი პრემიერ-მინისტრი შოთა რუსთაველის 850 წლისთავის იუბილესადმი მსგავს უყურადღებობას არ გამოიჩენდა.

„რ.“: მაინც რას ითხოვდით ასეთს ქართველი მწერლები ამ იუბილეს აღსანიშნავად?

რ. მ: მწერალთა კავშირი გამუდმებული წერილებით და დეპეშებით ერთ რამეს ითხოვდა, იქნებ დეკემბრის მეორე ნახევარში (როცა საარჩევნო ვნებათაღელვა დამთავრებული იქნებოდა) მოეცათ საშუალება, ოპერის თეატრში გაგვემართა საიუბილეო სხდომა.

საზღვარგარეთელი მწერლები გამუდმებით გვირეკავდნენ, თუ საქართველოს არ აქვს ფინანსური საშუალება, გვითხარით და ჩვენი სახსრებით ჩამოვალთო. დღეს, ხვალ, დღეს, ხვალ, გაუთავებელი ტყუილ-დაპირებებით 2016 წელი ჩამთავრდა.

საქართველომ თავი შეიკავებინა, რუსთაველის იუბილის ტრადიცია პირველად დაირღვა ამ 100-ზე მეტი წლის განმავლობაში. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რუსთაველის იუბილესთვის ერთი ლარიც არ იყო საჭირო.

საიბილეო საღამო მომზადებული გვკონდა. პირველ სიტყვას ბრძანებდა საქართველოს პატრიარქი (მასთან უკვე შეთანხმებული ვიყავით), მერე – პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და კულტურის მინისტრი. ამას მოჰყვებოდა რამდენიმე ქართველი მწერლის და „ვეფხისტყაოსნის“ სპეციალისტთა გამოსვლა.

საღამო დამთავრდებოდა კონცერტით. იმდენად დიდი იყო რუსთაველისადმი სიყვარული, რომ არც ერთი გამომსვლელი მსახიობი ჰონორარს არ ითხოვდა. პანტომიმის თეატრმა დადგა „ვეფხისტყაოსანი“ და ეს სპექტაკლიც იქნებოდა წარმოდგენილი საღამოზე. აი, ასე ჩაიშალა შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილე.

ია აბულაშვილი
„რეზონანსი“, 19 მაისი

ნომადი ბართაია

ღაკით აღმაშენებლის ეხთი დამსახეხების მესახებ ქახთვედი ეხის წინამე

(გაგრძელება,
დასაწყისი იხ. წინა ნომერში)

**ვეფხისტყაოსანი - ვულკანი
საერო მწერლობისა**

ქართული მწერლობა მეხუთედან მე-
თორმეტე საუკუნემდე, წამებათა უწყ-
ვეტი ჯაჭვით, იყო ჰაგიოგრაფიული.
მეთორმეტე საუკუნეში კი მის გვედით,
„ვეფხისტყაოსნის“ სახით, უცებ ამოიფ-
რქვა საერო მწერლობის ვულკანი.

ეს მოულოდნელი მოვლენა იყო არა
მარტო ქართულ, არამედ მთელი საქა-
რისტიანოს მწერლობისთვის, რამაც
მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხ-
ვაობა გამოიწვია. ნაწილმა ეს მიიჩნია
გარე ფაქტორის ძალიდან - სპარსუ-
ლიდან მომდინარედ (მარი 1989: 251),
ნაწილმა - შიდა ფაქტორის (კეკელიძე
1945: 14) და ნაწილმაც - ორივე ფაქ-
ტორის არსებობა დაუშვა (იუსტ. აბუ-
ლაძე, „შაჰნამეს“ ქართული ვერსიების
წარმოშობისათვის, თ ს უ შრომები, ტ.
53, გვ. 95, თბილისი, 1954).

საბოლოოდ კი გაბატონდა აზრი ამ
მოვლენის შიდა ფაქტორის ძალის მომხ-
რეთა სასარგებლოდ. აი, რას წერს აკადე-
მიკოსი ალექსანდრე ბარამიძე საქართვე-
ლოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული
ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ 1966
წელს გამოცემული სახელმძღვანელო
წიგნის, ქართული ლიტერატურის ისტო-
რიის მეორე ტომში: „ნ. მარის ადრინდელ
თეორიას ქართული საერო მწერლობის
სპარსული ლიტერატურის ზეგავლენით
წარმოშობის შესახებ ახლა აღარავინ იზი-
არებს (ამ თეორიას თავის დროზე ბევრი
მიმდევარი ჰყავდა). სადავო არ არის, რომ
ისეთი დიდი მასშტაბის მოვლენა, როგო-
რიც არის ქართული საერო მხატვრული
მწერლობის წარმოშობა, არ შეიძლება უც-
ხოური გავლენით აიხსნას“ (ა. ბარამიძე,
საერო მწერლობის აღმოცენება-განვი-
თარება, ქართული ლიტერატურის ისტო-
რია, II, გვ. 8, საქართველოს მეცნიერება-
თა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის
ქართული ლიტერატურის ისტორიის ინს-
ტიტუტი, თბილისი, 1966).

შევნიშნავთ, რომ ეს კრებული დღემ-
დე სახელმძღვანელო წიგნად არის მიჩ-
ნეული.

თუმცა აკადემიკოს კორნელი კე-
კელიძეს მაინც დარჩა გაუგებარი ამ
მოვლენის არსი და წერს: „ის, რაც საეკ-
ლესიო მწერლობის წიაღში სტიქიურად
მზადდებოდა, გარკვეული დროიდან,
როდესაც შესაფერისი პირობები მომ-
წიფდა, სახელდობრ, მეთერთმეტე-მე-
თორმეტე საუკუნეებიდან, მკვეთრად
გამომჟღავნდა და მხატვრული საერო
ლიტერატურის სახით გაიშალა და გა-
იფურჩქნა. თუმცა შესაძლოა, ასეთი
წინასწარი კულტურული პირობები
სხვა ქვეყანაშიც არსებობდა, მაგალი-
თად, ბიზანტიაში, მაგრამ იქ საერო
ლიტერატურა არ აღმოცენებულა, მა-
შასადამე, საჭირო იყო კიდევ რაღაც
სხვა პირობა“ (კ. კეკელიძე, ეტიუდები
ძველი ქართული ლიტერატურის ის-
ტორიიდან, გვ. 12, თბილისის, 1945).

ჩვენი აზრით, ის „კიდევ რაღაც“ სხვა
პირობა“, რომელიც ბურუსით იყო მო-
ცული სულმნათი მეცნიერისთვის, სა-

ძიებელია სწორედ ქართულ-სპარსულ
ლიტერატურულ ურთიერთობებში

**ცივილიზაციათა დიალოგის
ჩარჩოში**

მართალია, ამ დროს სპარსული ლი-
ტერატურული ცენტრი მოქცეულია
ქართულ პოლიტიკურ და კულტურულ
სივრცეში, მაგრამ თვით ქართული
ქრისტიანული სამყაროა მოქცეული ის-
ლამურ ოკეანეში, როგორც ერთი კუნ-
ძული. საქართველოს ხომ XI საუკუნის
70-იანი წლებიდან, სელჩუკთა იმპერიის
ნაგრევებზე წარმოშობილი კონიის
თურქული სასულთნო დაუშვებლდა.

ბუნებრივია, ასეთ პირობებში, ოკეანის
ჰავა შეეზავებოდა კიდევ კუნძულის ჰა-
ვას, რამაც დააჩქარა და თავისებური
იერი მისცა ქართული საერო მწერლო-
ბის აღმოცენება-განვითარებას.

სწორედ ამ პირობებში წარმოიშვა
„ვეფხისტყაოსანი“, ასე ვთქვათ, ნაზავი
სპარსულ-მუსლიმური „ოკეანისა“ და
ქართულ-ქრისტიანული „კუნძულისა“
ჰავისა, რაშიც უნდა ვეძიოთ ამ პოემის
უნიკალურობაც.

გამომდინარე აქედან, XII საუკუნის
ქართულ-სპარსული ლიტერატურული
ურთიერთობანი შეიძლება ჩავსვათ
ქრისტიანულ და ისლამურ ცივილიზა-
ციათა უნიკალური დიალოგის ოქროს
ჩარჩოში.

**აღმოსავლეთი არის
აღმოსავლეთი, დასავლეთი
კი - დასავლეთი**

თანამედროვე მსოფლიოში, პო-
ლიტოლოგთა შორის ([Samuel] P.
Hantigton, the Clash of Civilizations,
Foreign Affairs, summer, V 72 n.p.22
(28), 1993), მუსირებს რადიარდ კიპ-
ლინგის მოარული ფრაზა: „აღმოსავ-
ლეთი არის აღმოსავლეთი, დასავლეთი
- დასავლეთი, ისინი ვერასოდეს შეხვ-
დებიან ერთმანეთს“ („Oh, East is East,
and West is West, and never the twain
shall meet.“) (Rudyard Kipling, Poems,
Short stories, გვ. 71, Moscow, 1983).

აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის
იგულისხმება ისლამი და ქრიატიანობა,
რომლებთანაც საქართველოს მიმართე-
ბაზე ი. ჯავახიშვილი წერდა: „აზიისა და
ევროპის საზღვარზე მდებარე საქარ-
ველო აღმოსავლეთისა და დასავლეთის,
ქრისტიანულისა და მაჰმადიანურის
კულტურისა და განათლების შემთვისე-
ბელი და შემაერთიანებული იყო“ (ი. ჯა-
ვახიშვილი ქართველი ერის ისტორია, II,
გვ. 306, თბილისი, 1965).

მიგვაჩნია, რომ ეს თეზა უსაფუძე-
ლოა, რადგან, ჩვენი აზრით, დიალოგი
მათ შორის მოხდა ერთხელ XII საუკუ-
ნის საქართველოში და რახან მოხდა
ერთელ, ასევე შეიძლება მოხდეს იგი
მომავალშიც.

ცივილიზაციათა დიალოგი შეიძლება
შედგეს ორი გზით - მშვიდობიანი და
ძალდატანების. დიალოგი სპარსულ-
მუსლიმურ და ქართულ-ქრისტიანულ
კულტურათა შორის იმით არის უნი-
კალური, რომ იგი შედგა მშვიდობიანი
გზით, მაშინ როცა საქართველო იყო

მძლავრი დამოუკიდებელი სახელმწი-
ფო და მას კულტურის გამცემი სამ-
ყარო მოახვევდა თავზე ძალით თავის
ნებას.

**მიმართება უცხოურ
ლიტერატურასთან**

ქართველებს უცხოური ლიტერატუ-
რისთან ჰქონდათ იმდენად შემოქმე-
დებითი დამოკიდებულება, რომ თვით
რელიგიურ ტექსტებსაც კი, რომლე-
ბიც „ღვთის სიტყვად“ ითვებოდა,
იმდენად თავისუფლად ექცეოდნენ,
ქრისტიანობაში ქართული ნაკადიც კი
შეიტანეს და იმდენად დაშორდნენ დე-
დანს, რომ ხელმეორედაც შეიქნა ისინი
სათარგმნი.

ამ დროს ადვილი წარმოსადგენია,
თუ რა თავისუფლად მოეპყრობოდნენ
ისინი საერო მწერლობას, თანაც მუს-
ლიმურს. მართლაც, ამის თაღნათლივი
ნიშნებია თუნდაც „შაჰნამე“. რომლი-
დანაც ჩვენს წინაპრებს თავიანთთვის
საინტერესო ამბები გადმოუღიათ არა
თარგმანის, არამედ მიბაძვა-გადმოკე-
თებისა და ვერსიების სახით.

„შაჰნამე“ მსოფლიოს მარავალ ენა-
ზეა თარგმნილი და ყველგან თავისი
სახელი აქვს შენარჩუნებული. ერთა-
დერთია ქართული მწერლობა, სადაც
მას არა „შაჰნამე“, არამედ „როსტომი-
ანი“ ეწოდება. ეს იმიტომ, რომ ქარ-
ველები მისი მთავარი მითოლოგიური
გმირის როსტომის გარშემო არსებული
საგმირო-საფალავნო ამბებით დაინტე-
რესებულან და არა - ირანელ მითოლო-
გიურ თუ ისტორიულ მეფეთა ისტო-
რიის გადმოცემით.

აღბათ, სწორედ ამიტომ არის, რომ
„შაჰნამეს“ გმირთა სახელები: როს-
თამ (როსტომი), სოჰრამ (ზურაბი), გიგ
(გივი), მანუჩეჰრ (მანუჩარი), გოდარზ
(გოდერძი), თაჰმასპ (თამაზი), ჰუშანგ
(უშანგი), ლოჰრასპ (ლუარსაბი), ჯამ-
შიდ (ჯემშიდი), თაჰმურასპ (თეიმურა-
ზი), ქაიხოსროვ (ქაიხოსრო) და სხვა,
ოდითგანვე ქართულ ეროვნულ სახე-
ლებად ქცეულა.

XII საუკუნემდე ქართული ლიტერა-
ტურა მოდიოდა ერთი ნაკადით - რელი-
გიურით, XII საუკუნიდან კი მის გვერ-
დით ჩნდება მეორე ნაკადი - საერო.

თუ პირველ ნაკადზე გავლენა მოახ-
დინა ბ ე რ ძ ნ უ ლ მ ა ს ა ს უ ლ ი
ე რ ო მწერლობამ, მეორეზე გავლენა
იქონია ს პ ა რ ს უ ლ მ ა ს ა ე რ ო
ლიტერატურამ. ორივე შემთხვევაში
მოხდა ერის ფსიქოლოგიაში მათი გა-
დამუშავება, რის შედეგადაც მივიღეთ
დიდი ქართული ს ა ს უ ლ ი ე რ ო და ს
ა ე რ ო მწერლობა.

ს ა ს უ ლ ი ე რ ო მწერლობას ჩვენ არ
ვვხებით. ს ა ე რ ო მწერლობის აღმოცე-
ნება-განვითარება კი, ჩვენი აზრით, უკავ-
შირდება დავით აღმაშენებლის სახელს.

რომ არა დავითი

ჩვენი აზრით, რომ არა დავით აღმა-
შენებელი:

საქართველო იქნებოდა თურქ-სელ-
ჩუკთა სამფლობელოში შემავალი ერთ-
ერთი ქვეყანა, სადაც სალიტერატურო
ენა იყო სპარსული და „ყველა, ვისაც
მწერლობისა და კულტურის ასპარეზ-
ზე დაწინაურება და სახელის მოხვეჭა
სურდა, სპარსულად წერდა“ (გაბაშვი-
ლი 1980: 14).

ბუნებრივია, საქართველოშიც სალი-
ტერატურო და კულტურის ენა იქნებო-
და სპარსული.

მაშინ მიღებული წესის თანახმად,
შირვანშაჰ ალსათანმა, რომელიც იყო
დავითის შვილიშვილი - მანუჩარ მეორე-
სა და თამარის ძე, უბრძანა ნიზამი გან-
ჯელს გაეღებოდა ლეილისა და მაჯნუ-
ნის სასიყვარულო ამბავი, ოღონდ არა
თურქულ, არამედ „მთთვის საკადრის
ფარსულზე“.

ნიზამიძეც ბრძანება ისე შესრულა,
რომ არაბული სამყაროს სამიჯნურო
ამბავი მთელი სპარსულენოვან სამყა-
როს პოეტთა თავდავინწყების თემად
იქცა და არა მხოლოდ სპარსულენოვან
სამყაროსი.

დღეს ლეილისა და მაჯნუნის ასეულო-
ბით პოეტური ვარიანტი არსებობს, მათ
შორის ქართულ ლიტერატურაშიც,
რომლის ძირისძირი სწორედ ნიზამის
აღნიშნული პოემაა.

ისევე, როგორც შირვანშაჰმა უბრძანა
ნიზამი განჯელს გაეღებოდა ლეილისა და
მაჯნუნის ამბავი არა თურქულ, არამედ
„მთთვის საკადრის ფარსულზე“, ასევე
საქართველოშიც ვინმე შაჰი თუ სულ-
თანი უბრძანებდა ვინმე მესხ მეღებეს,
ექცია წყობილსიტყვად რომელიმე ლე-
ილისა და მაჯნუნის ამბავი, ოღონდ არა
ქართულ, არამედ „მთთვის საკადრის
ფარსულზე“ და ისიც, შეიძლება, არა-
ნაკლებ ნიზამი განჯელზე, შეასრულებ-
და ბრძანებას.

აქვე ხაზი უნდა გაესვას ერთ გარე-
მოებას: დავით მეფემ რამდენადაც გა-
დაუკება გზა სპარსულ ენას საქარ-
ველოში, იმდენად გაუხსნა კარები ამ
ენაზე შექმნილ უდიდეს ლიტერატურას,
რამაც დიდად განაპირობა ქართული
საერო მწერლობის აღმოცენება-განვი-
თარება.

ეს რომ არ მომხდარიყო მონღოლებამ-
დე, მონღოლების მერე როგორ აღმო-
ცენდებოდა და განვითარდებოდა ქარ-
თული საერო მწერლობა - საკითხავია.

რომ არა ქართული საერო მწერლო-
ბის ასეთი ძლიერი პირველი პერიოდი,
რომელიც ოქროს ხანადაა წოდებული
ლიტერატურის ისტორიაში, საკითხა-
ვია, როგორი იქნებოდა მისი მეორე
პერიოდი - ცნობილი ვერცხლის ხანად,
როცა ისეთი მძიმე იყო სპარსული ენისა
და ლიტერატურის ზენოლა ქართულზე,
რომ ქართველი პოეტი თეიმურაზ პირ-
ველი ამბობს: „სპარსული ენის სიტკბო-
მან მასურვა მუსიკობანი“.

ეს კიდევ არაფერია იმ ტაქტთან შედა-
რებით, რაც მოსდევს მას: „მძიმეა ენა
ქართველთა, არ ძალმძს მათებრ თხრო-
ბანი“ (თეიმურაზი 1975: 44).

ამ პოეტური სიტყვების ავტორი ხომ
უკვე მენტალობით სპარსელია, რითაც
ნათლად ჩანს თუ როგორ ეკიდა ბენე-
ზე ამ დროს ქართული სალიტერატურო
ენის ყოფნა-არყოფნის ბედი.

ასეთ ვითარებაში თეიმურაზ პირველს
უნდა ვუმაღლოდეთ, რომ ის მაინც წერ-
და ქართულად და არა - სპარსულად.

ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ XVIII-XIX
საუკუნეებში არა ერთი და ორი გამაჰ-
მადიანებული ქართველის მხატვრული
ქმნილება ამშვენებს სპარსულენოვან
მწერლობას.

ამგვარად, რომ არა დავით აღმაშე-
ნებელი, XII საუკუნის საქართველოში,
და არა მხოლოდ XII საუკუნის, საერო
მწერლობა იქნებოდა სპარსულენოვა-
ნი.

გიორგი სოსიაშვილის 2016 წლის უხვი ღიშკრატუხუდი მოსაზრება

თამილა გოგოლაძე

მწერალ გიორგი სოსიაშვილისათვის ყოველი წელი ცხოვრებისა შემოქმედებითი პროცესია და მისი „ნაყოფიც“ ყოველთვის საინტერესო კრებულად ევლინება მკითხველს. ამჯერადაც 2016 წელი საოცარი სიუხვით აღინიშნა, მით უმეტეს, რომ მისთვის მოგზაურობა ცალკე წყაროა „შემოქმედებითი ბალის“ „საპკურებლად“, ხოლო სამაჩაბლოს თემის გატანა უცხოურ ლიტერატურულ სივრცეში აუცილებელი, საჭირო და საოცრად ჟღერადია. ასე დაიბადა „წმინდა მიწაზე“ მოგზაურობის ჭეშმარიტად მხატვრული გასხივოსნება „თეთრი ქალაქის“ სახით, ხოლო პოლონეთში პოლონურ ენაზე დაიბეჭდა ლოძის „ჭყდანნიცტნო Библиოტეკა“-ში თარგმნილი სამაჩაბლოს ტრაგიკული მოვლენების ამსახველი ნოველები „გრუზინსკიე ოპონიესცი სპოდ ზასიეკონ“, (რედაქტორი მონიკა პორადეცკა) რომლის პრეზენტაციაც 2016 წლის დეკემბერში შედგა თვით პოლონეთში. მეორე წიგნი („თეთრი ქალაქი“) იერუსალიმში მოგზაურობას ეძღვნება (რედაქტორი თამარ გელიტაშვილი).

ამჯერად ჩვენი ყურადღება შეჩერდა მესამე წიგნზე „წითელი უდაბნო“, რომელმაც ასევე ახალი თემით გაამდიდრა მწერლის შემოქმედება. გამოცემის რედაქტორები არიან პროფესორები იოსებ ჭუმბურიძე და გიორგი ხორბალაძე. იოსებ ჭუმბურიძის წინათქმა „ვიდრე „წითელ უდაბნოში“ იმოგზაურებდეთ“ უძღვის კრებულს.

რატომღაც აღნიშნულ კრებულზე მსჯელობის წინ მახსენდება ეგვიპტეში შარმ-ელ-შეიხის უდაბნოში აქლემზე ამხედრებული გულხელდაკრეფილი არაბი, არა, ამხედრებული კი არა, ფეხზე, ზეზეულად მდგომი არაბი, რომელიც შეუშფოთვლად გაჰყურებს მის წინ გადაშლილ,

უკიდევანო უდაბნოს ერთფეროვან პეიზაჟს და, ვინ იცის, რას ფიქრობს, რატომ დამდგარა აქლემზე და როგორი იქნება მისი საბოლოო მიზან-ადგილი...

არაბი კი, არა, არამედ ქართველი მიჰყვება უდაბნოს, მწერლის მიერ „წითელ უდაბნოდ“ წოდებულ წლებს საბჭოეთის ეპოქის სისხლიან ფურცლებში რომ აღინუსხა და არა აისახა, მაგრამ პროცესი კვლავ გრძელდებოდა „უდაბნოებისა“ თუ „ახალ სიცოცხლესთან“, ოაზისთან, შეჭიდებისა...

უცნაურად სწრაფად, თვალსა და ხელს შუა, იზრდება მწერლის ოსტატობა, მას ახლა მარტო რეალური ყოფის ასახვა არ აკმაყოფილებს, იგი წინა წლებში „გახაზულ“ საკითხებს ყოფნა-არყოფნის, თვი უზენაესთან მიმართების ჭრილში წყვეტს, თუ ამზადებს მკითხველს მის აღსაქმელად. დიდხანს უტრიალა ავტორმა ვილაციის მონათხრობს ერთი ტაძრის დამანგრეველ საბჭოელ პარტიულ მუშაკზე, ეს ამბავი იყო არა მხოლოდ ერთეული, არამედ მრავალსახოვანი, მრავალგვაროვანი „წითელი უდაბნოს“ სამუმის ძალით განხორციელებული, თუ თვით ახალი, ურწმუნო ცხოვრების მონადინეს თვალთ გაცხორციელებლი („დასასრული და დასაწყისი“). პერსონაჟის ტანჯვა არაა მხოლოდ მწერლის ოსტატური ნაყალმევი, იგი თვით გარდაისახება „დამნაშავესა“ თუ „აღმსარებელ-მონანიეში“, თვით გაისიგრძეგანებს მთელ სიმძიმეს უზარმაზარი ზნეობრივი ტვირთისა. ამიტომაც ჟღერს ასე გამოკვეთილად ავტორისეული მეტაფორა, შედარება, თუ განპიროვნება მოკლედ, მხატვრულ ხერხთა საოცარი ერთობლობა, რომელიც ნაღდი ქართულით ხიბლავს მკითხველს:

„დროს კუჭის ქარად არ ჰყოფნის შენი თანამედებობა და სხვა რაღაცეები“;

„ადგილის დედამ თითქო მარმა-

შის ქსოვილი წამოახვია სალოცავის მთას“;

„ყოველ ჩქამზე გული აშვებული ნაგაზივით აწყდება ღობემკერდს“;

„დილა იბადებოდა მშობიარე ცის წიაღიდან და იისფერი შუქი ჟონავდა რაიკომის მდივნის საძინებელში“;

„წისლი შემოეწმინდა მთას და ციდან ღვთის ხომალდით გამოცურდა ტაძარი...“

სოფლური მწარე ხუმრობა „ტანკლი-ტუნკლის“ ოინია, თითქოს იუმორით გაჟღენთილი და მაინც მწარე იმ გაგებით, „რამდენნაირ სულელს აჩენს ეს დალოცვილი ღმერთი“ („მოკითხვა საიქიოდან“).

ბავშვობის სანეტარო წლები რამდენ ხანს ბოგინობს თითოეული ადამიანის მეხსიერებაში, თითქოს ამას იკვლევს მწერალი, თითქოს იქ ეძებს დრო-სივრცის ხანგრძლივობას, როცა „ცრემლები ჩამომდის, ჩემი ბავშვობის ბოლო მზე ჩადის. ასე მეგონა, ეს მზე სულ იქნებოდა, სულ ენთებოდაო“.

პერსონაჟი ხან ხასიათით გამოჩნდება, ხან გარეგნობით, ხან მეტსახელით, ხან ლაპარაკ-ყბედობით. ამიტომ იკვეთება ასე „კერენსკი“, „სალამანდერ...“ ქართული სიტყვის უცნაურად მრავალწახნაგოვანი, გადავიწყების აღმნიშვნელი „გადაქართულება“, სულ-ხორცის გასაყარზე იმზირება, „ადამი(ა)ნგელოზი“ „მეც აქ ვიქნები, არსად წავალ... მცირე ხანს გავჩერდები. შენი არსება ორად გაიყოფა ანგელოზად და ადამიანად“. სწორედ აქეთ მიდის მწერლის კალამი, რადგან ამასოფლის ყოფიერებაში ადამი ან ადამიანად რჩევა ან ანგელოზად. მისი პერსონაჟებიც ასე მწკრივდებიან თითზეგადათვლილივით. „დეკორატორი“ ე.წ. „პრიტიკა“, თეატრალურ-ადამიანური, სადაც არაფრის მკეთებელი კაცი ბოლოს პოულობს საყრდენს-სიყვარულს. სწრაფვა სრულყოფილებისაკენ კი მაინც არსებობს, ჩაგუბებული ადამიანში.

იკვეთებიან, მეხსიერება-ცხადის ზღვარზე ჩნდებიან მწერლის საყვარელი პერსონაჟები („ჩვენი ძველი მესურათე“, „წერილი“). ხან ხუმრობა გამოარჩევს პერსონაჟს, ხან ვისაც გაეხუმრნენ, ცუდადაც რომ გაეხუმრნენ („სიმონიჩი“).

მოიგონა თუ მწერლურმა ფანტაზიამ დაბადა ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლის გასაყართან ყოფნის აღმნიშვნელი ულამაზესი სიტყვა „დაისლაძე“. ბევრის მონატრული შინაბერა ქალის წუხილში ჩაპნეული ის უბრალო ადამიანური სურვილი, რომლიც დაუკმაყოფილებლობის განცდაში „ქვესკნელის სუნად“ აღიქვა ქალმა.

და, ბოლოს, თვით „წითელი უდაბნო“ პიესა, რომელიც ბოლოდროინდელი მოვლენების გამოხატულებაა და „წითელ უდაბნოში“ აქლემზე ამხედრებული, ამხედრებული კი არა, ფეხზემდგომი ქანდაკების სიმბოლოდ გასდევს მთელს ჩვენს ყოფას XX საუკუნეში. ავტორი ცდილობს ყველა თვალსაზრისის მფლობელს თავისი სიმართლე აღმოუჩინოს, სატირულ-ტრაგიკომოკულ ფარსად წარმოჩენილი პიესა უცნაურად შთამბეჭდავია.

და, ბოლოს იქნებ არც ბოლოს, გ. სოსიაშვილის მხატვრული სიტყვა მყარ კვარცხლბეკზე დგას, მზითა და ზნეობის მაღლით ივსება, ქართლური დიალექტის ალაგ-ალაგ, ისიც საჭირო, სტილის გამოსაკვეთად მოშველიებასთან ერთად და ახალ ფურცელს ამყარებს თანამედროვე ქართულ პროზაში.

მწერალი ღრმა მაღლიერებით იხსენიებს იმ ადამიანთა წვლილს, რომელთა მხარში შედგომით გამოიცა ეს შესანიშნავი კრებული „წითელი უდაბნო“ და „თეთრი ქალაქი“. ესენია გორის მუნიციპალიტეტის მერი ზურაბ ჯირკველიშვილი და მოსწავლე ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის დირექტორი ვლადიმერი შულღიაშვილი.

როცა საქართველოში კვლავ დათარჯუნდა დასაბრუნებელი ქადაგი...

ზინაიდა უბილაური

მაშინ როდესაც ქვეყანა, კოჰაბიტაციის შედეგების მკაფიო გართული, რადარებზე ახალი პოლიტიკური გამონვევები ჩნდება... — გამონვევები რომლებიც ერთნაირად ქმნის გარკვეულ შეფერხებებს, საშინაო და საგარეო პოლიტიკის მიმართულებით. ქვეყანაში არის სერიოზული ანტაგონისტი პოლიტიკური ძალა, რომელიც ქვეყანას ბევრ გართულეზას უქმნის, უკვე საგარეო პოლიტიკაშიც და ქვეყანას აყენებს საფრთხის წინაშე... — აი რა მოუტანა პოლიტიკურმა კოჰაბიტაციამ ქვეყანას, — შედეგი სახეზეა... რატომ ვერ შეძლო ახალმა სახელისუფლებომ ძალამ მოეხდინა „ნაცმოძრაობის“ როგორც დამნაშავე პოლიტიკური ორგანიზაციის დემონტაჟი?! — როგორც ჩანს ამის განსახორციელებლად მართო ქართველი ერის და ხელისუფლების ნება არაა საკმარისი... ხელისუფლებას ყოველდღიურად უნევს დესტრუქციული ძალების იერიშების მოგერიება. ამ უგუნურ ჭიდილში ქვეყნის პოლიტიკური პროგრესი ფერხდება. ჯერჯერობით ესაა კოჰაბიტაციის შედეგი. რაში სჭირდება ქვეყანას ორხელისუფლებიანობა?! ეს იყო ერის პოლიტიკური დაკვეთა?! — დაკვეთა მგონი ის იყო, რომ „ნაცმოძრაობა“ როგორც დამნაშავე პოლიტიკური ძალა საერთოდ გამქრალიყო რადარებიდან, ერთხელ და სამუდამოდ ჩამოშორებულიყო ქართულ პოლიტიკას. დღევანდელმა სახელისუფლებომ ძალამ კი, ახალი სიცოცხლე შთაბერა. კოჰაბიტაციის პარალელურად ხელისუფლებამ თავადვე დააყენა საფრთხის წინაშე პოლიტიკური ანმყო და მომავალი. აქ მოიაზრება ის რისკები და სირთულეები რა პირობებშიც უხდება ხელისუფლებას ქვეყნის მართვა... ამ ყველაფრის ფონზე ჩნდება კითხვა, ვის ინტერესში შედის საქართველოში ორხელისუფლებიანობა და ამ ორი პოლიტიკური ძალის თანაცხოვრება?! — დავინწყით იქიდან, რომ ყველამ კარგად ვიცით, ეს არაა ქართველი ხალხის დაკვეთა და არც ის მგონია, რომ კოჰაბიტაცია დღევანდელი ხელისუფლების მოგონილი იყოს და არც ის, მაინცდამაინც დიდ კომფორტს გრძნობდეს მთავრობა ამ თანაცხოვრებით. მაშ ვისი შემოგორებული იდეაა და რა მიზნებს ემსახურება?! — ამ ყველაფრის კვალი ქვეყნის გარეთ მიდის... როდემდე უნდა გაგრძელდეს საქართველოში დესტრუქციული ძალების პარაზი?! — მანამ, სანამ მათი ლობისტები იარსებებენ ოკიანის გაღმა...

ქვეყნის გარედან შემოდის საქართველოში პოლიტიკური კლიმატის განმსაზღვრელი მასები. გვინდა თუ არა, ეს ასეა და ხელს ვერაფერი შეუშლის. მოსწვდა გლობალიზაციის გრძელი ხელები საქართველოსაც და ისინი მფარველობენ, იმ პოლიტიკურ ძალებს რომლებიც მათი ინტერესების გამტარებლები არიან ქვეყანაში. მათ არ სჭირდებათ ეროვნული სულისკვეთებით ანთებული პატრიოტები, არ სჭირდებათ ილიას იდეოლოგიის მიმდევარი ინტელიგენცია. დღეს ქვეყანა გლობალიზაციის ფარული იერიშების წინაშეა. არ იქნება ლოგიკას მოკლებული თუ ვივარაუდებთ იმას, რომ „ნაცების“ სახით რაღაც

ძალას ჭირდება პოლიტიკური ორგანიზაციის არსებობა, რომელიც მათი საიმედო საყრდენი იქნება საქართველოში. მაგრამ ისიც მარტივი მისახვედრია, რომ ეს ძალა სახელმწიფოს საზღვრებს გარედან მოქმედებს. თავის გასაკეთებელ საქმეს კი საქართველოს სამტროდ გამოგზავნილ უხეირო მოყვარეებს აკეთებინებს. ვისი იმედილა უნდა ჰქონდეს ქვეყანას მაშინ, როცა თავის ფრთებქვეშ გამოზრდილები არ ინდობენ?! ვისი?! — უცხოელი გადამთიელების, რომლებიც საქართველოს სადემარკაციო ხაზს რისთვის მოსდგომიან კაცმა არ იცის... მაშ ვისთან უხდება სახელისუფლებო ძალებს დაპირისპირება?! — დღევანდელ მთავრობას დაპირისპირება უხდება, არც მეტი არც ნაკლები, კარზე მომდგარ გლობალიზაციის მონსტრთან და იმ ძალებთან ვინც მათი წარმომადგენლები არიან საქართველოში...

ბუნებრივია დესტაბილიზაციის ლოკალური კერების გაჩანაგების მცდელობები გაგრძელდება როგორც ყოველთვის, ეს შეიძლება იყოს ეთნიკურ ნიადაგზე აღმოცენებული კერა ან სულაც პრობლემურ საზოგადოებრივ საკითხზე გამოხატული ხალხის პროტესტის ესკალაციის შედეგად მიღებული მუხტი, რომელიც ოპოზიციური ძალისთვის ის ნოყიერი ნიადაგი აღმოჩნდეს, სადაც მათი ჩანაფიქრი აღმოცენდება. — ამიტომ მართებს მთავრობას დიდი სიფრთხილე, რაც მთავარია უნდა გადაიდგას კარგად მოზომილი პოლიტიკური ნაბიჯები, რომელიც აუცილებლად ერის ინტერესებს სცემს პატივს. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელისუფლება თავად ჩაიგდებს საფრთხეში თავს. ისეთ უკიდურესობამდე მიიყვანეს „ნაცებმა“ ქვეყანა, რომ იმ ჭაობიდან მთლიანად განთავისუფლება ასე ადვილი არაა...

დღეს ჩვენ ვხედავთ გაშმაგებულ, დაჭრილ მხეცივით მყოფ „ნაცმოძრაობას“ ჩასაფრებულ მდგომარეობაში, რომელიც მთავარ სამოქმედო გეგმაზე გადასვლის მოლოდინშია... აი ამიტომაც უნდა მოუსმინოს ბოლომდე ხელისუფლებამ ხალხს. ამის გარეშე ქვეყანა ვერ მიიღებს სტაბილურ პოლიტიკურა მინდს. ხალხსა ა ხელისუფლებას შორის ჩადგება ოპოზიციური ძალა, რომელიც დიდ ნაპრალს წარმოქმნის მთავრობასა და ხალხს შორის და პროცესებს ქაოსისკენ წაიყვანს. სწორედ ამის მცდელობის გამოძახილია დესტაბილიზაციის მაპროვოცირებული პატარა-პატარა ლოკალური ვანდალური აქტები... უკმაყოფილო გაჭირვებული ხალხის, ვქვეყნის სტაბილურობისთვის წარმოადგენს დენთით სავსე კასრს — პატარა ნაპერწკლის წარმოქმნაც კი პირდაპირ „ნაცების“ წისქვილზე დაასხამს წყალს. გაუგებარია მაინც რატომ ქმნის ხელისუფლება ისეთ ამინდს, რომ მთავარ ოპოზიციურ ძალას ექმნება ოპტიმიზმის საფუძველი, ისწრაფვის რევანშზე... სწორედ შეცდომაზე ესაა ხელისუფლების, რომ არ დგამს ისეთ პოლიტიკურ ნაბიჯებს, რომელიც საბოლოოდ შეუკრავს ხელ-ფეხს „ნაცმოძრაობას“, რომ ხელოვნურად ვეღარ წარმოქმნას ბარიერები რომლებიც საშინაო და საგარეო პოლიტიკურ პროგრესს შეაფერხებს ან უკეთეს შემთხვევაში შეანელებს. საითკენაა „ნაცების“ სამოქმედო ტაქტიკა გამოზნული?! — იქითვე, რომ ხელი შეუწყონ მწვავე საპროტესტო ტალღის წარმოქმნას და ესკალაციას და ხელისუფლების ყოფნა-არყოფნის საფრთხის წინაშე დააყენოს. ყოფილმა სახელისუფლებომ ძალამ კარგად იცის თუ არა ძლიერი იარაღია უკმაყოფილო ეგზალტირებული ხალხის მასა. მათ ეს მწარედ გამოსცადეს. ასე რომ ხელისუფლებას საქმე აქვს ისეთ პოზიციურ ძალებთან, რომელიც კარგადაა განაწილებული პოლიტტექნოლოგიურ ხელოვნებაში. სამთავრობო გუნდმა ყველაფერი უნდა გააკეთოს საიმისოდ, რომ არანაირი მსგავსება არ ქონდეს „ნაცებთან“ — ეს არის დღევანდელი ხელისუფლების უმთავრესი გამოწვევა. გასაგებია, რომ კოჰაბიტაციის პირობებში ეს ადვილი საქმე არაა, მაგრამ ხელისუფლება

პაატა გობეჯიშვილი

მე ვარ ქართველი

უცხო ქვეყნებში დიდხანს ყოფნისას არაერთხელ ვარ მათი მნახველი, რომელთაც უთქვამთ ცნობის გულისთვის, რომ წინაპარი ჰყავდათ ქართველი.

ფაქტი რამდენად დასანანია მხოლოდ ქართველი თუ მიხვდებოდა, ყველა ასეთი ფრაზა ნასროლი, როგორც ისარი გულზე მხვდებოდა.

ასე თანდათან ჩვენმა სამშობლომ შვილები მრავლად დაკარგა, რადგან ისინი ჩვენთან აღარ დაბრუნდნენ და ვერაფერი შევიტყვეთ მათგან.

ვერ დავრჩებოდი სხვა ქვეყანაში, რომც ვყოფილიყავ მისი მმართველი, ამას ვარჩიე ჩემი მამული. რატომ? იმიტომ, რომ ვარ ქართველი.

სწორი აზროვნება

ზოგს ბევრი აქვს, ზოგს ნაკლები, გააჩნია მარიფათს. უფულო კაცს ნუ დაძრახავთ, მას ნუ ჩათვლით არიფად. ხარბი ცდილობს გამუდმებით, ყველაფერი ერგოს მას. ღვთისნიერი, სხვას რომ უჭირს, სწორედ მაშინ იღებს ხმას. განსხვავდება აზროვნება ღარიბის და მდიდრისა, კეთილის და ბოროტისა, პატარის და დიდისა. ვფიქრობ, კეთილშობილებას უნდა ერგოს პატივი, ასე სწორი აზროვნება არის უფრო მარტივი!

დამეფიცება

დამეფიცება, უსაქართველოდ ვერსად ვიცხოვრებ მე ბედნიერად. როგორ გავიგო, ჩემი სამშობლო თუ ვინმეს უყვარს ჩემზე ძლიერად, მოდით, ერთმანეთს შევეპაექროთ, მზად ვარ, რომ გულის კარი გავაღო, ჩემს სიყვარულში დარწმუნებულმა, ყველა შეჯიბრი ნეტავ წავგო. ეს სიყვარული უხვად ვაფრქვიოთ, საქმეც გამოვა ჯანსაღ კამათში. გთხოვთ გავისარჯოთ მამულისათვის, ჩვენი ხსნა არის მხოლოდ ამაში.

საქართველოს ვინაცვალე

საქართველო, შენი მიწის ყოველ მტკაველს ვინაცვალე, გაჭირვებას გაუძელი, სასიკეთოდ შეიცვალე! თავისუფალ სამყაროში შეაბიჯე, გახდი წევრი, ღმერთმა მუდამ დაგიფაროს და სიკეთე მოგცეს ბევრი! ყველა ჩვენგანს გვაკისრია მოვიხადოთ შენი ვალი — უზრუნველყვით ჩვენი ერის ხვალისდელი მომავალი!

თხვევაში შეანელებს. საითკენაა „ნაცების“ სამოქმედო ტაქტიკა გამოზნული?! — იქითვე, რომ ხელი შეუწყონ მწვავე საპროტესტო ტალღის წარმოქმნას და ესკალაციას და ხელისუფლების ყოფნა-არყოფნის საფრთხის წინაშე დააყენოს. ყოფილმა სახელისუფლებომ ძალამ კარგად იცის თუ არა ძლიერი იარაღია უკმაყოფილო ეგზალტირებული ხალხის მასა. მათ ეს მწარედ გამოსცადეს. ასე რომ ხელისუფლებას საქმე აქვს ისეთ პოზიციურ ძალებთან, რომელიც კარგადაა განაწილებული პოლიტტექნოლოგიურ ხელოვნებაში. სამთავრობო გუნდმა ყველაფერი უნდა გააკეთოს საიმისოდ, რომ არანაირი მსგავსება არ ქონდეს „ნაცებთან“ — ეს არის დღევანდელი ხელისუფლების უმთავრესი გამოწვევა. გასაგებია, რომ კოჰაბიტაციის პირობებში ეს ადვილი საქმე არაა, მაგრამ ხელისუფლება

ვალდებულია ყველა რესურსი ამოწუროს და შექმნას ისეთი პოლიტიკური რეალობა, რომელიც ხელჩასაჭიდ იარაღად არ იქცევა „ნაცებისთვის“. მაშინ როდესაც ქვეყნის მართვის მექანიზმი ძლიერი იქნება, ვერანაირი გამონვევა სერიოზულ დაბრკოლებად ვერ მოეწივება. ქვეყნის სუსტი იმუნიტეტი კი მრავალ პრობლემას გამოაღვიძებს და წარმოქმნის. ყოველშემთხვევაში ხელისუფლების მოქიშპე ძალები, შეეცდებიან სასურველი პოლიტიკური ტემპერატურის სექმნას და რაც მთავარია შენარჩუნებას, იმ მოტივით, რომ მომზადდეს მათი მზაკვრული პოლიტიკური ჩანაფიქრის ამოცენები. ამ ყველაფრის ფონზე მთავარია ქვეყანა არ შეუშინდეს კარზე მომდგარ გამოწვევებს და გადადგას ისეთი პოლიტიკური ნაბიჯები, რომელიც არ შელახავს ქვეყნის სახელმწიფოებრივ ინტერესებს!...

ვიტალი ჩაჩანიძე

ხილვა ცხინვალთლან

დადუმებულან ნაძვები ლიახვის პირას, განვლილ დრომ დაფარა ნანატრი მზერა, რამ მიგიყვანა მთის კალთის ძირას, იქ რომ იხილო, მშობლიურ კერა.

ძალებმა ცისანმა, უფლის წყალობით ციდან გიბოძეს წარსულის ხილვა კურთხეულ იყოს, ის დღე, ის წამი, რასაც ამ ქვეყნად, ბავშვობა ჰქვია.

თვალი უსწორე, იდუმალ წარსულს, ნისლად დაფარულ სევდის ჩრდილითა, და ნეტარებამ აგავსო კვლავაც, გაჯვრებულმა ხსოვნის ხილვითა.

ხმა წარსულთ, მოგესმა ხეობის მხრიდან, ხმა თბილი, ნანატრი, უფლისმყოფელი, ორი სამყაროს კავშირს რომ იცავს, ხსოვნა, ნათელი – განუყოფელი.

თითქოს ისმინა უფალმა შენი, ზეცად გადიხსნა, ხილვისა ფარდა, გადაგეშალა წყაროდ ნადენი, წლებიწარსული, განსაცდელთ გარდა.

აგერ გამოჩდა ყვავის საყდარა თითქოს მწუხარე რალაცას ჩივის, ყვავ–ყორნებისა დარჩა ამარა, მიტოვებული ხმამალა ტირის.

გადაგიცურავს ლიახვი როდესაც ჩქებდა მრუდე სანუთროს ტრიალსაც შეხვდი, ვერას დაგაკლებს ვერაგი სევდა, ცხოვრების განცდას, ბოლომდე ებრძვი.

სათუთად დაეძბე, ვერ ხედავ ვერსად თითქოს, აღესრულა არსება მისი, შორიდან, მოგესმა ტირილი კვნესად სინათლე ბავშვობის, სოფელი დგვრისი.

პატარა ბიჭუნა ეზოდ გამოჩნდა, შენ რომ წაგაგავს თავისი ქცევით წარსულთან შეხვედრა, ეს არის განცდა? სულს რომ გაიამებს თავისი ვნებით.

ვით არწივი, ზეცის საუფლოს, ხეობის მთიდან გადმოფრენილი, ციდან, შენ უმზერ დედა სამშობლოს, ბალნარ–ედემათ, წამოჩენილი.

ლიახვის პირას ამაყი ღირსებით დაფიქრებულნი, დგანან ნაძვები, ხარობენ ბეჩაენი შენთან შეხვედრით, ცდილობენ ამაოდ, ლახონ საზღვრები.

მოგონებანი წარსულ ცხოვრების, რომ გაიხსენებ მეტად მძიმეა, ნურც შეძრწუნდები, შენ დანახულით, დრონი განვლილი, ბენვის ხიდია.

გაუძელ ტკივილს, გასაჭირს ბევრსა, სულით დარჩი შენ შეუდრეკელი, ხალხში შენ თესავ ადათს და წესსა, რომ ჰქონდეთ სავსე სულისა ბელელი.

მამის ნუგეში, ტკბილ–სანუკვარი, სულს რომ გიმალლებს, ენევი ცასა, დედის ალერსი, ვით კელეპტარი, დღესაც გინათებს ცხოვრების გზასა.

ყველა წმინდანის ლოცვით ნაკურთხო, მაღლი შენშია განუსაზღვრელი, თითქმის არ დაგრჩა ღმერთთან საკურთხო, გასცემ და არ გასურს, სამადლობელი!!!

გოგიტა თუშმალოვი

ვაზი

მე გაზაფხულის დადგომას ველი, რომ შევაბიჯო ფეხი ვენახში, მივეფერები ვაზისა ტოტებს ამიჩქარდება სისხლი ვენაში. გავსხლავ, შევყელავ, მამა–პაპურად რომ გაიკეთოს კარგი მტევანი,

გორული მწვანის და ჩინურ ვაზის უნიკალური მაქვს ხეივანი. სულმოუთქმელად, გულისფანცქალით, მე შევცქერივარ დატვირთულ ტოტებს, ერთი სული მაქვს, როდის დავწურავ, და დავავსებ პირდაღებულ ცარიელ ბოცებს.

ბედაშე

ეკლესიასთან ქვევრი ჩავაგდე, და შიგ ჩავასხი შავი ზედაშე, აღდგომის შემდეგ მეორმოცე დღეს ერთად მივიდეთ ქვევრთან მე და შენ. პატარა ტაბლას გავიშლით ქვევრთან, ცივად მოხარშულ დედალსაც დაეჭრით, შოთებს, ყველსა და მწვანილს დავაწყობთ მერე ზედაშის მოხდის ლენტს გაეჭრით. იქ მხოლოდ ჩვენ არ ვიქნებით ძმაო, იქ სხვებსაც, ხომ აქვთ ქვევრები ღვინით, მიწვევ, მოწვევა დაიწყება იქ ერთმანეთში ისინიც მოვლენ ჩვენს სურაზე თავიანთ ღვინით.

თათია გიგილაშვილი

გორის უნივერსიტეტის სტუდენტი

ან რატომ ვდუმვარ, ან რატომ ვწუხვარ რომ ვიცოდე, ხმამალალ დუმილს აღარ შევეუშინდებოდი, ასე თავ-გამოდებით აღარ შევხედავდი მზის სხივებს, თუ შენ... თუნდაც დილით, ან საღამოს სახლში შემოსვლისას, თაფლისფერ ზღვის ტალღებში თუნდაც ცოტახნით მომცემდე ფიქრის უფლებას, თუნდაც მიტოვებული ან უნიჩხო ნავით ვგრძნობდე თავს, თუმცა არც ახლა ვარ ზღვაზე მონავარდე თოლიასავით. შენ თვითონ ხარ ზღვა, რომლის ტალღებიც მაშინებს ისე მაშინებს, რო-გორც ზაფხულის თბილ, კრიალა ცაზე მთვარის დანახ-ვა. უცნაური ხარ ამ უცნაურობით მითრეე შენს ტალ-ღებში, მაგრამ არ მაშინებს ასე ბობოქარ ქარიშხლიან შენს ფიქრებში მოხვევა, ფსკერზე ჩავიდირები ო ღონდ თაფლისფერ ზღვაში მომცემდე ფიქრის უფლებას.

შენ მეიდებ ხელს ხელზე და ასე მშვიდად სუნთქვა გახშირებით მივდივართ. შეუძლებელია ახლა უსინათ-ლომ ვერ იგრძნოს თვალის ახელა.

ჯემალ ბაშარელი

(ნაჭარმაგვეელი)

სამხრეთ ოსეთი არ არსებობდა

სამხრეთ ოსეთი არ არსებობდა და არასოდეს არ იარსებებს, შიდა ქართლს სახელს ვერვინ შეუცვლის კარგად ახსოვდეთ ექსტრემისტ ოსებს. ყველამ იცოდეს ჩვენი მიწისკენ, ვისაც თვალები რჩება, ჩვენგან ვერაფერს მიიღებს თავისიც ოხრად დარჩება.

ნიკო ოთინაშვილი

სიცრუე პერასოდეს

ბაიმარჯვეზს

გასული საუკუნის ოციან წლებში საბჭოთა სტრუქტუ-რების ჩამოყალიბების პროცესში ეროვნულ–ტერიტო-რიულ ერთეულები იქმნებოდა ხელალებით, ნაჩქარევად, ეთნიკური ჯგუფების წარმომავლობის, ისტორიის, გეოგ-რაფიის, ობიექტურ მიზეზთა გაუთვალისწინებლად. ეს საკითხები წყდებოდა პირთა ვიწრო ჯგუფის მიერ, ზოგ-ჯერ ერთი კაცის ნება–სურვილითაც. ანგარიში არ ეწო-და მკვიდრი მოსახლეობის აზრსა და პროტესტს.

შემთხვევითი არ არის, რომ ოსი ექსტრემისტები და კრემლის ლაქიები: ჟირინოვსკები, მიგრანინები და მა-მანი მათნი გვერდს უვლიან ამ თემას, ვერ უთითებენ სამართლებრივ წორმას, რომელიც გაამართლებდა ოსე-ბის პოზიციას. ვერ მოჰყავთ თუნდაც ერთი მაგალითი იმისა, რომ რომელიმე ხალხს თავის ისტორიული საც-ხოვრისში ჰქონდეს სახელმწიფო და მეორე სახელმწი-ფოში მიიღოს ახალი სახელმწიფო.

ჩრდილო კავკასიელმა ოსებმა, რომლებიც ვითომ სამშვიდობო ბატალიონში იყვნენ გაერთიანებულები დიდი როლი ითამაშეს ლიახვის ხეობის ეთნონმენდაში და ძარცვაში. ამ ბატალიონმა, რომელნიც ქართულ სამ-შვიდობოებს სამჯერ სჭარბობდა, კიდევ უფრო გაამწ-ვავა კრიზისი და სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანა. ქართულმა ბატალიონმა თავი ვერ გამოიჩინა მათთან დაპირისპირებაში, სამაგიეროდ უფრო ადრე გაყოყო-

ჩებული ოსები როგორ მთლიანად განწყვიტეს გროზნოს მისადგომებთან ჩეჩნებმა ოსები კარგად მოგესხენებათ. ავტონომიებს საქართველოში დაყოვნებული მოქმედე-ბის ბომბის ფუნქცია უნდა შეესრულებინა, შეასრულა კიდეც და იმ დროს აფეთქდა, როცა ეს ყველაფერი მოს-კოვს სჭირდებოდა. რა წესით მისცეს ავტონომია ოსებს საქართველოში არავის არა აქვს პასუხი.

ოსები საქართველოს მკვიდრი მოსახლეობა არ არის, ისინი ჩამოსულები არიან და ავტონომიის უფლება არა აქვთ, ავტონომია ეკუთვნის მხოლოდ მკვიდრ მოსახ-ლეობას. რაკი ოსები მკვიდრი მოსახლეობა არ არის, მათთვის ავტონომიის მინიჭება ქართველი ხალხის სუ-ვერენული უფლების დარღვევაა და ეს არის ოკუპაცია, რომელიც უნდა დაისაჯოს საქართველოს კანონებით და ძალით.

ოსებს აქვთ უფლება ისარგებლონ კულტურული ავ-ტონომიით და განავითარონ მნიგნობრობა, ზნე–ჩვე-ულებანი და სხვა.

საქართველოში ავტონომიების შექმნა არის ლენინ–სტალინის პოლიტიკა. ნიშანდობლივია, რომ ოლქის შექმნამდე ჩრდილო კავკასიაში მოკალათებულმა ყაჩა-ლებმა, რომლებიც თავიანთ თავს ბოლშევიკებს უწო-დებდნენ ძალადობით შექმნეს ოლქი ქართველ ხალხის დაუკითხავად. სეპარატისტებმა თავი აიშვეს მაშინ, როცა იმძლავრა ისტორიის მძიმე ტალღებმა და საქარ-თველოს ბოლშევიზმის მძიმე უღელი დაედო.

მოვა დროს და ყველაფერს თავისი შეფასება მიეცემა.

ლიკა კასრაძე

გორის უნივერსიტეტის IV კურსის სტუდენტი

„ეს იყო გუშინ და არის დღესაც“

მთელი დღეა სცრის, ჟინჟლავს და ცაც მრუდედ იც-ქირება, უზასიათო კაცივით შეუკრავს გარემოს შუბ-ლი და სადაცაა აქვითინებული ქალის ცრემლებად დაიღვრება ეს ნაცრისფერი კაბადონი, მე რომ ტლან-ქად მივაბიჯვბდი ისე თითქოს ეს ჩემი კიდურები დიდ ტვირთს ეზიდებოდეს, თითქოს ფეხს მითირედექს და სიარული ეძნელებოდეს. ლარივით ჩარიგებულ მატა-რებლებს, რომ ჩავუყევი წარწერაც შევნიშნე გალეულ ხის ძელზე „ბაქანი“ მეც ავისვეტე მდუმარედ ამ დიდი აბრას წინ და აიშალა ფიქრებიც, ღირს თუ არა ახლა იქ ჩასვლა? ალბათ არა, ან იქნებ კი? რაც არის არის! ტყვიანაკრავივით მოვნყდი ადგილს და ბილეთით ხელში ჩემს კუბეს დაეუნყე ძებნა. შემდეგ იყო ერთ საათიანი მგზავრობა და დაორთქლილ მინას შერჩენი-ლი იმედები, იმედები იმისა, რომ ჩემი სხალი ისევ გა-მილებდა კარს, ისევ მივეფერებოდი იასამანს და ისევ გავიგებდი ნაცნობ ხმას.

ისევ ჟინჟლავდა, თუმცა დასავლეთით მაინც შესამჩ-ნევი იყო ალაკრული ცა. ღრუბლებმაც იწყეს დაფანჯვ-რა და მალე ალბად უმისამართოდაც გადაიკარგებოდ-ნენ ეს ფთილები. სოფლის მდგომარეობა ნატყვიარმა და ოთხგან გაგლეჯილმა რკინის აბრამ მამცნო, „ერ... თი“, იკითხებოდა უკვე რთულად, ნატყვიარებს ასოები ნაეშალათ,თ უმცა მზეს სხივები გაეტარებინა მათში მთელი სიზუსტით. მალევე შევეყევი ატალახებულ ორლობეს და ზაფრადაცემულს მით უფრო მიმძიმდა მეზიდა ჩემივე სხეული, ფიქრებმაც დაიწყეს გაყინ-ვა და რამდენიმე წუთში არაფრით გავნსხვავდებოდი ტინი კლდისაგან, იმ უსიცოცხლო ნაშალი კედლების-გან, იმ ფერფლისგან იქ, რომ დამხვდა, ვიგრძენი, რო-გორ მომანვა სისხლი, როგორ შეიფაკლა სახე წითლად და როგორი ამაო იყო ჯერ კიდევ ერთი საათის უკან დაორთქლილ მინას შერჩენილი იმედები. მთელი ცხოვ-რება დამხვდა ოთხ კედლად, თითქოს გვერდში მედგა თავად სიტყვა „ომი“ და ქირქილებდა კმაყოფილებით, თავს ინონებდა ნამოქმედარით, კიბის კუთხეში ისევ იდგა იასამანი, ისევ ბრიალებდა თავის სილამაზით და მაკვირვებდა კიდეც მისი ამგვარი სიჯიუტე, მხნეობა. ახლა მოგეხსენებათ და რა საამოა გაზაფხულს ამო-ყოჩილი მწვანე ბალახი, ცვარი, რომ ააბრდღვიალებს ხოლმე ზურმუხტისფრად, მაგრამ არაფერია უფრო მტკინვეული ეს მწვანე ბალახი კიბის საფეხურსა და ეზოს, რომ მოედება, გახეთქავს ამ ნაშალ კედელს მწვანედ გააფერადებს. გაუკაცრიელდა სახლიც, კა-რიც და იასამანმაც მითხრა არ გიცნობო...

ეს იყო გუშინ და არის დღესა, ისევ აცვია სევდა ჩემს საფელს, ისევ ლოცულობენ პატარა სანთლები მომცრო ტაძარში და ისევ თავისთვის ჩუმად დრტვინავს დედამი-ნა. მეგობრებო ჯერ კიდევ დიდ ილიას უთქვამს, „მოქ-მედება უმოქმედობის ნაცვლად, ახლის ქმნა დარდის ნაცვლად, მიზანმიმართულება უმიზნობის ნაცვლად, პასუხისმგებლობა და ზრუნვა უდარდებლობის ნაცვ-ლად „და სწორედ ამიტომ დღეის იქით მოქმედება იქ-ნება უმოქმედობის ნაცვლად და ახლის ქმნა, დარდის ნაცვლად. დღეს მოვამორე ეზოს ბალახი, დღე იყო ნა-თელი, ცა მონმენდილი, უციაგესი, იასამანი? იასამანი ისევ ისეთი შეუვალი და თან ჯიუტი.

უზუჯაგაშოკი კუნძულის მოქმედება

1793 წელი. 17 დეკემბერი.

საფრანგეთი მთელი ევროპის პირის-პირ იდგა. ესპანეთი და იტალია მათ მტრებს მიემხრო. ინგლისელებმა რომაელების (ფრანგი მონარქისტები) დახმარებით მელთაშუა ზღვის უმნიშვნელოვანესი პორტი (გემსადგური) – ტულონი დაიპყრეს.

ბოლოსდაბოლოს დირექტორია დათანხმდა 24 წლის არტილერიის კაპიტანის კორსიკელი ბონაპარტის იდეას იერიშით აეღოთ ტულონის სიმაგრეები. ციხე-სიმაგრის დასალაშქრად აუცილებელი იყო ნახევარკუნძულ ლე-კერის დასავლეთი სანაპიროს აღება, სტრატეგიული სიმაღლის ფორტი ეგილიეტის ხელში ჩაგდება, რომ იქიდან არტილერიის ცეცხლით უკუ ეგდოთ ინგლის-ესპანეთის ფლოტი.

... 17 დეკემბერი. თოვს. ზღვიდან ძლიერი სუსხიანი ქარი უბერავს. კაპიტანმა ბონაპარტმა მზერა ნახევარკუნძულს მიაპყრო, მარჯვენა ხელი ეგილიეტის მიმართულებით გაიწვდინა და აუღელვებლად წარმოთქვა:

მეომრებო, იქ ტულონია! თქვენ „უკუ-დავი ფრანგული ბატარეის“ ნაცადი მებრძოლები ხართ. სახელმწიფოსაგან ჩვენ ბევრი გვეკუთვნის, მაგრამ ზაზინა ცარიელია, მთავრობას ნაღდი ფული არ აქვს, გასამრჯელოს ვერ გვაძლევს. იქ კი, ტულონში ბურჟუაზია რთილავს, მდიდარი მესაკუთრეები მაძლრად არიან, სამშობლოს გამყიდვლები... უღალატეს რევოლუციას, დახოცეს რესპუბლიკის მთავრობის წევრები და დასახმარებლად მოუხმეს მეკობრე ჩარჩ-ვაჭრების – ინგლისელების ფლოტს. ისინია მიზეზი, რომ ხართ ლარიბი, შიშველი და მძიერი. კონვენტის არმიის მამაცი მებრძოლებო, გამარჯვების ღირსნო ფრანგებო! ჩვენ იერიშით უნდა ავიღოთ ეს პირქუში სიმაღლე! იქ თქვენ მოგელით სიმდიდრე, პატივი, დიდება! მომყევით, შეტევაზე, მე გაგიძღვებით წინ და თუ დავეცი არ შეჩერდეთ, გადამაბიჯეთ მე, დოლაშქრით ეგილიეტში, მტვრად აქციეთ რევოლუციის მტრების – როთალისტების ციტადელი.

სიტყვის დასრულებისთანავე კაპიტანი წინ გაიჭრა. ფრანგები საბრძოლო ყიჟინით გადავიდნენ შეტევაზე, ციტადელიდან ცეცხლი გახსნეს; მოიერიშეების წინ ბევრი ჯარისკაცი და ცხენი იქნა მოკლული. თვითონ კაპიტანი სასწაულით გადარჩა. მის გვერდით მოიერიშე მეომარმა მეთაურისკენ გამოსროლილი სამიზნე შენიშნა და კაპიტანს წინ აეფარა. იგი მოკვდა (მოგვიანებით ბონაპარტი მის სახელს თავის ფრეგატს დაარქმევს). იერიშის დროს იგი მარცხენა ფერდში დაიჭრა და ფეხის მოსალოდნელი ამბუტაციისაგან ექიმებმა ძლივს გადაარჩინეს.

18 დეკემბერს, დილით, კონვენტის რესპუბლიკური არმია ტულონში შეიჭრა. ამბოხების წამომწყები რომაელების ინგლისელთა გემებისაკენ გაიქცნენ. ინგლის-ესპანეთის ფლოტი ნახევარკუნძულს გაეცალა და ღია ზღვაში გავიდა. კონვენტის არმიის მეომრებმა მოიპოვეს „სიმდიდრე, პატივი, დიდება“.

ოგიუსტენ რობესპიერმა – იგი უფრო ცნობილია, როგორც რობესპიერ უმცროსი – წერილი გაუგზავნა თავის ძმას მაქსიმილიანს; იგი აღფრთოვანებული წერდა ახალგაზრდა არტილერიის კაპიტანის იშვიათი სიმამაცის და მებრძოლი სულისკვეთების შესახებ.

ტულონის აღებისათვის ბონაპარტმა ბრიგადის გენერლის წოდება მიიღო.

9 თერმიდორის (27 ივლისი, 1794) მერე გენერალი ბონაპარტი დაიჭირეს. გილიოტინისაგან იგი საკუთარმა წერილმა იხსნა, რომელიც მან კონვენტს ციხიდან გაუგზავნა. წერილში ის ერთი მხრით – ოგიუსტენ რობესპიერს იხსენიებდა, როგორც კარგ ადამიანს და ახლო მეგობარს, ხოლო მეორე მხრით –

აღნიშნავდა, რომ იგი არ დარდობდა და სიცოცხლეს გამოასალმებდა საკუთარ მამასაც კი თუ ის ტირანი აღმოჩნდებოდა (ეს იყო გადაკრული ნათქვამი მაქსიმილიან რობესპიერის მისამართით).

ტულონიდან ვატერლომდე ღმერთი რევოლუციის და ღმერთის ომის წინ უძღოდა ნაპოლეონს. მის მიერ გადახდილი ყველა 60 დიდი და მცირე ბრძოლა (ეს რაოდენობა უფრო მეტია ვიდრე ჯამი ალექსანდრე მაკედონელის, ცეზარის, ჰანიბალის და სუვოროვის მიერ გადახდილი ომებისა), მიმართული იყო ინგლისელების წინააღმდეგ. საცნაური ის არის, რომ ინგლისის ბურჟუაზიის ინტერესებს იცავდნენ არა ინგლისელი ჯარისკაცები, არამედ რუსეთის და ევროპის ეკონომიურად ჩამორჩენილი მონარქიული სახელმწიფოების დაქირავებული არმიები. ცნობილია, რომ ძვ. წ. XVII-XIV სს. ეგვიპტე-ხეთების მრავალწლიანი ომების დროს, ეგვიპტელები იყენებდნენ ბერძნების დაქირავებულ არმიებს, მაგრამ ეს ომი ისტორიაში შევიდა, როგორც ეგვიპტე-ხეთების ომი და არა საბერძნეთ-ხეთების ომი. თუ ეს ასეა, რატომ არ უნდა დავარქვათ ნაპოლეონის ომებს „ინგლის-საფრანგეთის“ ომი და არა „რუსეთ-საფრანგეთის“? როდემდე უნდა აღვიქვათ დაქირავებული ჯარები როგორც „კოალიციური“?

იმპერატორი

ბონაპარტის იმპერატორად კურთხევა შედგა 1804 წ. 2 დეკემბერს პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში. როცა რომის პაპმა პიი VII საიმპერატორო დიდი გვირგვინი მალა ასწია, რათა ნაპოლეონისათვის თავზე დაედგა, მოულოდნელად იგი პაპს ხელებში სწვდა, გამოსტაცა გვირგვინი და თვითონ მოირგო თავზე; მერე კი შედარებით მომცრო გვირგვინი მის წინ დაჩოქილი ცოლის ჟოზეფინას თავზე მოათავსა. ამ რიტუალის მერე ბონაპარტმა ზედწოდებად მიიღო: „საფრანგეთის რესპუბლიკის იმპერატორი“ და არა „საფრანგეთის იმპერატორი“.

ამით ნაპოლეონი შეეცადა ყველასთვის ეგრძნობინებინა, რომ მისი თავგანწირული ბრძოლების მამოძრავებელი ძალა იყო საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია.

მაშინ როცა რევოლუცია უიდეობის გამო ჩიხში შევიდა, როცა არც კონვენტმა, არც დირექტორიამ აღარ იცოდა რა მიმართულებით უნდა მომხდარიყო მისი განვითარება, ნაპოლეონმა ამ რევოლუციას ახალი სული შთაჰბერა, შთასახა მასში იდეური პერსპექტივა. ეს პერსპექტივა მის აზროვნებაში გამოიხატებოდა, როგორც საფრანგეთის, მთლად ევროპის და რუსეთის განთავისუფლება დიდობრივანეთის ტირანიისაგან¹. აი მიზეზი იმისა თუ რატომ მიაჩნდა ნაპოლეონს უპერსპექტივოდ რუსეთის ჩარევა ინგლისსა და საფრანგეთს შორის მიმდინარე სამკვდრო-სასიცოცხლო ომში. მისი აზრით ამ ომში ჩაურევლობა რუსებისათვის იყო ერთადერთი შანსი, ერთადერთი შესაძლებლობა, რომ ისინი ბოლოსდაბოლოს დამშვიდობებოდნენ ფეოდალურ წარსულს და თანაბარი უფლებებით შესულიყვნენ ევროპის ახალი ეკონომიური პოლიტიკური განვითარების ეპოქაში. ამ შემთხვევაში ამიერკავკასიის ქვეყნების, განსაკუთრებით საქართველოს ეკონომიური ბედ-იღბალი თავისთავად, პირდაპირ დაუკავშირდებოდა ევროპას. აი, ამ კონტექსტში მოჩანს პავლე I როგორც დიდი პიროვნება, როგორც დიდი პოლიტიკოსი. მან დაინახა ეს პერსპექტივა, განწყვიტა კავშირი ინგლისელებთან და საფრანგეთის პირველი კონსულის მეგობრულ

1 იხ. ი. პაპიაშვილი, „გენერალ შარლ დე გოლის ხანგრძლივი სვლაგები“, „მწერლის გაზეთი“. თბ. 2013 წ.

ინიციატივას, მეგობრობითვე უპასუხა. სამწუხაროდ ეს მეგობრობა ხანმოკლე აღმოჩნდა. მალე პავლე I მიხაილოვსკის სასახლეში ბალიშით გაგუდეს. რუსეთის ახალმა იმპერატორმა ალექსანდრე I-მა მამის მიერ ინდოეთისაკენ გაგზავნილი 50 ათასი რუსი ჯარისკაცი უკან დააბრუნა. ბონაპარტმა მას მამისმკვლელი უწოდა.

დღევანდელი გადასახედიდან არ არის რთული გასაანალიზებელი თუ რატომ გამოიხმო პავლე I-მა ალ. სუვოროვის ძღვეამოსილი არმია იტალიიდან, რომელმაც ნაპოლეონის დაპყრობები ევროპაში ნულამდე დაიყვანა. ვის შეუძლია იმის უარყოფა, რომ ალპებში ილუპებოდნენ გმირი რუსი ჯარისკაცები, რუსეთში კი ოქროს მონეტების მარტო ჟღარუნია აღწევდა, მაშინ როცა ბაჯალლო ოქროს თუშნიაწები ლონდონში ჩხრიალებდა.

ალექსანდრე I-ის უსაფუძვლო ომი საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის წინააღმდეგ პირდაპირ კავშირშია ნიკოლოზ II-ის დამისი ოჯახის ამოწყვეტასთან – ცნობილია, რომ ინგლისმა მათ თავშესაფარზე უარი უთხრა. მონარქიის დროებითმა აღზევებამ, რუსეთში ბურჟუაზია დააქნინა, რამაც განაპირობა ბოლშევიკების მოსვლა ხელისუფლებაში.

ლ.ნ. ტოლსტოი მონარქისტი იყო და გასაკვირი არ არის, რომ მას ეძნელებოდა საკუთარი პრივილეგიების დათმობა.

ბონაპარტი სხვა

რაკურსით

პავლე პეტრეს ძეს მკვლელობიდან ოთხი წლის მერე, 1805 წლის აგვისტოს ბოლოს ბულონში, ლა-მანშის სრუტესთან, ინგლისის სანაპიროს მოპირდაპირე მხარეს, იდგა საბრძოლო მზადყოფნაში მყოფი ნაპოლეონ I-ის არმია. ბონაპარტი თავის ადმირალებს არწმუნებდა, რომ მას სჭირდებოდა არა სამი, არამედ ორი დღე, თუნდაც კი ერთი დღე წყნარი ზღვა, ქარიშხლის გარეშე, რათა გასხლტომოდა ბრიტანელების ფლოტს და გადაესხა დესანტი ინგლისელთა კუნძულზე. ნაპოლეონის ზოგი ბიოგრაფი წერს, რომ იმპერატორი არ იყო დარწმუნებული გამარჯვებაში. რა შეიძლება ითქვას? ალექსანდრე I რომ არ ჩარეულიყო ამ დავაში, ჩვენ დღეს ზუსტად გვეცოდინებოდა „სად გამოიზამთრებდნენ კიბორჩხალები“, ნაპოლეონს დესანტი რომ გადაესხა ინგლისელთა კუნძულზე.

მაშინ ბევრი ფიქრობდა, რომ ინგლისის ჰეგემონიის დასასრული შორს აღარ იყო, მაგრამ უილიამ პიტის ოქროს ბრჭყვიალებამ, ბულონში ვითარება შეცვალა, მალემსრბოლელები გამოჩნდნენ იქ და ნაპოლეონს აცნობეს, რუსის ჯარი შეუერთდა ავსტრიელებს და ისინი ჩქარი მარშით პარიზისაკენ მოდიანო.

გაკვირვებულმა ბონაპარტმა ჯერ ლა-მანშს გახედა, მერე ლურჯად მოკაჟსკანუ ბულონის ცას... მას არ ესმოდა რატომ, რისთვის ებრძოდნენ რუსები ფრანგებს. მან შემოაბრუნა თავისი ჯარი, რომ დაეცვა რესპუბლიკა დაქირავებული მოიერიშეებისაგან, მაგრამ კარგად იცოდა, ის ებრძოდა არა რუსებს და ავსტრიელებს, არამედ ინგლისელებს.

ძნელია, ძალიან ძნელია შეეხო ნაპოლეონის პიროვნებას და დამორდე მას როგორც დამარცხებულ იმპერატორს. ამიტომ გადავწყვიტე წინამდებარე ნაშრომი დავასრულო სხვა რაკურსით.

... ზუსტად ერთი წლის მერე ნაპოლეონის იმპერატორად კურთხევიდან, 1805 წლის 2 დეკემბერს, პრაცენსკის მაღლობის ირგვლივ განთავსებულ ბორცვებიან სივრცეზე, სოფელ აუსტერლიცის დასავლეთით, ვენიდან 120 კმ, გაიმართა „არავისთვის საჭირო ბრძოლა“, როგორც თქვეს თვითონ ნაპოლეონმა და ლ. ნ. ტოლსტოიმ. ეს ომი ისტორიაში შევიდა როგორც „სამი იმპერატორის

ბრძოლა“. ალექსანდრე I-ის და ფრანც II-ის არმიები რიცხობრივად ჭარბობდნენ ნაპოლეონისას. ომი დამთავრდა რუსეთის და ავსტრიის არმიების სრული განადგურებით. ნაპოლეონი პირადად ხელმძღვანელობდა არმიებს ბრძოლის დაწყებიდან ბრძოლის დამთავრებამდე.

რუსეთის და ავსტრიის არმიებში ისეთი ძლიერი შემფოთება იყო, რომ ორივე იმპერატორის ამაღა ძრწოლით გაიფანტა სხვადასხვა მხარეს. ცხენების მიერ გატაცებული ალექსანდრე I და ფრანც II ბრძოლის ველიდან ჯერ კიდევ ომის დამთავრებამდე გაიქცნენ. რუსეთის იმპერატორმა თავდაჭერილობა დაკარგა, იგი კანკალებდა და ტიროდა. ორი დღის შეუსვენებელი ჭენების მერე მისი ცხენი ძლივს მილასლასდა პეტერბურგამდე. დაჭრილი კუტუზოვი ტყვეობას შემთხვევითი გადაურჩა.

მრავალტანჯული ქართული ისტორიოგრაფიით დაინტერესებულ მკითხველს, ალბათ გააოცებს ორი უსასტიკესი ომის ფინალური ეპიზოდი:

შიონგრატენის (4 ნოემბერი, 1805) და აუსტერლიცის (20 ნოემბერი, 1805) ომების შემდეგ ალექსანდრე I ნაპოლეონს გაუგზავნა წერილი, რომელშიც იგი ქებით იხსენიებდა რუს გენერლებს, ხოლო დამარცხება შემთხვევითობას მიაწერა, რაზეც ნაპოლეონმა მოკლედ უპასუხა: „თქვენ ცდებით, ბატონო! კარგი გენერლები რუსეთში არ არიან, გარდა ერთადერთი ბაგრატიონისა“.

ეპილოგის მაგიერ

მოდით, დავასრულოთ ეს ნაშრომი, ჩემი აზრით, ასეთი უჩვეულო, არაჩვეულებრივი სახით:

ალექსანდრე I რომ არ დაპირისპირებოდა საკუთარ მამას იმპერატორ პავლეს I-ს, არამედ პირიქით, მხარში ამოდგომოდა მას წესრიგის დაცვაში და ემხილა შეთქმულები, მაშინ რუსები ფრანგებთან ერთად გაათავისუფლებდნენ არამარტო ინდოეთის, არამედ მსოფლიოს ყველა წყლებს ზღვის მეკობრეების და ტერორისტების ჰეგემონიისაგან. დიდი ბრიტანეთის იმპერია არსებობას შეწყვეტდა. ევროპა და რუსეთი განთავისუფლდებოდა ინგლისის ბურჟუაზიის ტირანიისაგან. ევროპის და რუსეთის ბურჟუაზია მოსპობდა ფეოდალურ წესწყობილებას (ნაპოლეონის ოცნება – ი. პ.), კონტინენტებს შორის დაინყებოდა თავისუფალი ვაჭრობა, ბაქონწყობა გაუქმდებოდა, პური მისაწვდომი გახდებოდა ყველა ხალხისათვის, არისტოკრატია ახალი ეკონომიური პოლიტიკის თანამოაზრედ მოგვევლინებოდა. რუსეთში არ მოხდებოდა თებერვლის და ოქტომბრის რევოლუციები, არ იქნებოდა პირველი და მეორე მსოფლიო ომები, არ იარსებებდა მითი კომუნიზმის აუცილებელი გამარჯვების შესახებ.

მე მესმის, აქ დავხატე ფანტასტიკური სურათი ხალხებს შორის იდეალური, მშვიდობიანი ურთიერთობისა, მაგრამ დამისახელეთ თუნდაც ერთი მწერალი – ჰუმანისტი, რომელიც არ ოცნებობს ჩვენი უნიკალური პლანეტის გადარჩენაზე, რომ ბოლოს და ბოლოს ვიხილოთ დედამიწა ტერორის და ტერორისტების გარეშე, რომ აღარ იყოს რელიგიური და პოლიტიკური ლოკალური ომები.

იაპოზ პაპიაშვილი

საქართველოს და ისრაელის მწერალთა კავშირების წევრი,

ივ. მაჩაბელის პრემიის ლაურეატი 2016, დეკემბერი

ბათ იამი
ავტორის შენიშვნა: წინამდებარე ნაშრომის შედარებით ვრცელი ვარიანტი შევიდა ავტორის ახალ წიგნში რუსულ ენაზე.

ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო!

გვსურს გაგაცნოთ წერილი, რომელიც ეძღვნება ჩვენი ცივილიზაციის უმნიშვნელოვანეს საკითხს: მთელი კაცობრიობისათვის სასიკვდილო ტექნოლოგიის შექმნას - ხელოვნური ინტელექტის სწრაფ განვითარებას. პრობლემა იმდენად მტიკიენეულია, რომ თქვენი დახმარების გარეშე თანამედროვე გონიერი მსოფლიო გაქრება.

თუ თქვენ სურვილი გაგიჩნდებათ ამ პრობლემის განხილვის აქტუური მონაწილე გახდეთ, ჩვენ სიაშოვნებით ჩაერთავთ თქვენ ჯგუფში, რომელიც შეეცდება ამ პროექტის განხორციელებას.

ჩვენ ვგეგმავთ მოქმედების ორგანიზებას რამდენიმე სტრუქტურაში: იურიდიული, ჰუმანიტარული, სამეცნიერო, რელიგიური და მსხვილი ბიზნესი. თქვენ შეგიძლიათ ჩაერთოთ იმ მიმართულებაში, რომელსაც პრიორიტეტად ჩათვლით.

თქვენს ყურადღებას მივაქცევთ იმას, რომ ეს არ არის ბიზნეს-პროექტი, ეს გრძელვადიანი ჰუმანიტარული პროექტია, რომელმაც უნდა გადაარჩინოს კაცობრიობა.

გზავნილი, რომელიც გადმოგეცათ გამოქვეყნებული იქნება მსოფლიოს ყველა მსხვილ გაზეთში სხვადასხვა ენაზე, ასევე გაეგზავნება ყველა სახელმწიფოსა და რელიგიური კონფესიების ლიდერებს.

პატივისცემით ალექსანდრე პოტიომკინი
მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი

საკონტაქტო მისამართი: apotemkin25@gmail.com

საქართველოს, რუსეთის, ჩინეთის, აშშ-ს პრეზიდენტებს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერს, საქართველოს, ისრაელის, ესპანეთის, იაპონიის პრემიერ-მინისტრებს და სხვა ხელისუფალთა მეთაურებს, ნობელის პრემიის ყველა ლაურეატს, მეცნიერებათა ნაციონალური აკადემიის პრეზიდენტებს, რუსეთის მთავარ რაზინს ბერლ ლაზარს, რომის პაპას, მის ბრწყინვალეზას ფრანცისკს, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს, მის ბრწყინვალეზა კირილს, სრულიად საქართველოს უნმინდესსა და უნეტარეს კათოლიკოს პატრიარქს ილია მეორეს, რუსეთის მუფტის საბჭოს თავმჯდომარეს, რუსეთის უმაღლესი მუფტის აზიური ნაწილის მუსლიმთა სულიერი სამმართველოს პრეზიდენტის თავმჯდომარეს, რუსეთის მუფტების საბჭოს თანათავმჯდომარეს, შეიხ ნაფიგულა აშიროვს, რუსეთის ტრადიციულ ბუდიის სანგხის მთავარს XXIV პანდიტს სამბო დამბე ზახმაევის ძე აუშევს

პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო!
თანამედროვე ელიტის ინტელექტუალურმა და სოციალურმა კუთვნილებამ თქვენში უნდა გააღვიძოს სურვილი აზრი გამოთქმათ ჩვენი ცივილიზაციის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე - მთელი კაცობრიობისათვის სასიკვდილო ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიის შექმნა. დღეს მსოფლიო აკვირდება ტექნიკის უსწრაფეს განვითარებას, თუ როგორ მივყავართ ადამიანის მთელი არსებობის ღრმა ტრანსფორმაციამდე. ჩვენს თვალწინ ხდება კარდინალური ცვლილება არა მხოლოდ ჩვენი ყოფის ეკოლოგიური და ტექნიკური ლანდშაფტისა, არამედ ასევე საინფორმაციო-კომუნიკაციური სფეროსი. ეს პროცესი არ არის ექსტენსიური ხასიათის, ეს ადამიანის მხოლოდ ტექნიკურ-ეკონომიური უზრალო გაფართოების შესაძლებლობა არ არის ეკოსფეროს ახალი რესურსების მობილიზაციის ხარჯზე.

ხელოვნური ინტელექტის შექმნილი სისტემები რომ რეალურ საფრთხეს წარმოადგენს კაცობრიობისთვის ამაში უკვე დარწმუნებული არის მრავალი მეცნიერი და იზიარებენ ამას. თუმცა, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მომავალი მსოფლიოს მოცემული უსერიოზულესი პრობლემის გამოტანა საზოგადო ასპარეზზე აუცილებელია. ხომ სწორედ მეცნიერებისა და რელიგიის გამოჩენილ პირთა სფეროში დაგროვდა უზარმაზარი ცოდნა ადამიანზე, ხომ სწორედ ისინი არიან, ვისაც შეუძლიათ ადამიანისთვის რობოტექნიკის უსაფრთხოების გზის განვითარება. სხვაგვარად ხელოვნური ინტელექტის არაკონტროლირებული წარმოება და შემუშავება გახდება გარემომცველი სამყაროსთვის ისეთი რამ, რომ ადამიანი გარიყული, დამარცხებული ან განადგურებული აღმოჩნდება. „არ არსებობს ფიზიკის ისეთი კანონი, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევდა ხელოვნური ინტელექტის ურთიერთობებს საკუთრივ და მთლიანად დამოუკიდებელ ლოგიკურ კომბინაციას, რაც ადამიანის ტვინისთვის მიუღწეველია“ - მიაჩნია გამოჩენილ ფიზიკოსს სივენ ზოკინგს.

ხელოვნური ინტელექტის საკითხები ერთ-ერთი ყველაზე დინამიურად განვითარებულია საერთო დისციპლინალური ცოდნის სფეროში.

ამ გამოკვლევების საფუძველს წარმოადგენს უახლესი ექსპერიმენტები ტვინის სტრუქტურის შესწავლაში: ნეირონული ქსელი, ცნობილი რო-

გორც სარკისებრი ნეიტრონები, რომლებიც პასუხობენ შესწავლასა და კომუნიკაციას, ასევე ტვინის ბევრად უფრო რთული ქსელის სტრუქტურები (კონექტომები და კოგნიტომები). უკვე დღეს მსოფლიოს რიგი ქვეყნების კომპანიები ქმნიან ნეოკოპტექსის (ხელოვნური თავის ტვინის) ციფრულ მოდელს, რომელსაც შეუძლია სენსორული აღქმა, გააზრებული აზროვნება და მეტყველება. ამ მიზნის მიღწევისას არა მხოლოდ შრომითი ბაზარი შეიცვლება კარდინალურად, რადგან მისგან აღმოჩნდება გამოთიშული ასობით მილიონი და ასევე მილიარდი ადამიანი. დადგება ხელოვნური ინტელექტის განვითარების ისეთი ეტაპი, რომლის დროსაც ადამიანი იქცევა რობოტად ან საერთოდ გაქრება. ხელოვნური ინტელექტის უმართავი განვითარება წარმოადგენს ძალიან დიდ საფრთხეს, უფრო დიდს, ვიდრე ატომური იარაღი და სხვა თანამედროვეობის გამონგვევები. მეცნიერება ადამიანებს უნდა ემსახურებოდეს და არ ავიწროვებდეს მათ. თუ ხელოვნური ინტელექტი მუდმივ განვითარებაში იქნება, მაშინ თავად ადამიანი ბიოტექნოლოგიის ჩაურევლად ვერ შეძლებს მის დონემდე მიღწევას. ჩვენი პროგნოზით 2035 წლისთვის მხოლოდ უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები დაკარგავენ სამასმილიონზე მეტ სამუშაო ადგილს, ხოლო 2070 წლისთვის ეს ციფრი გახდება თითქმის მილიარდი. სად წავა ადამიანი? ჩვენი პლანეტის გარდა მას სხვაგან არსად არ შეუძლია ცხოვრება.

ხელისუფლებები კი არ დებენ ინვესტიციებს პროგრამებში, რომლებიც მიმართულია ბიოინტელექტის განვითარებისთვის. გენური ინჟინერია საერთოდ არ ჩართულა მსგავსი პროექტების მუშაობაში. ბოლოს და ბოლოს ხელოვნური ინტელექტი შეავიწროვებს ადამიანს. ეს რომ არ მოხდეს საჭიროა გენური ინჟინერიისა და ორგანული საშუალებების (ნანოპინცეტის მონოპოლიზების და ატომების შემკრებების, რომელთაც შეუძლიათ ეფექტურად ემსახურონ ამ მიზანს) მეთოდების გამოყენება. გარდა ამისა უახლოეს მომავალში საჭიროა შეიზღუდოს ხელოვნური ინტელექტის განვითარება.

ჩვენ ტკივილით აღვნიშნავთ, რომ ხელოვნური ინტელექტი მჭიდროდ ინერგება ჩვენს ცხოვრებაში. უმაღლესი სისწრაფით „ვექნის თაობა“ უკვე დღეს აიგივებს თავს ამ სისტემასთან „მე და გაჯეტი“, გულწრფელად პოულობს ასეთ სინთეზს „მზარს“ და მოდურს. ხდება ადამიანთა ფსიქოლოგიური მიჩვევა მასთან ურთიერთობაში, მყარდება მასზე დამოკიდებულება და მთლიანად მისი მორჩილება. მსგავსი „გადაადამიანება“, სამწუხაროდ უაზრო და უპასუხისმგებლო განწყობის პროგნოზირებადი შედეგია ხელოვნური ინტელექტის ბუნებრივი კონცეპტზე. კიბერდამოკიდებულება ენი-ნაალმდეგება აქსიოლოგიის (სიკეთე-სიბოროტე) სისტემას, ადამიანის მორალურ და რელიგიურ აზროვნებას.

დღეისათვის კაცობრიობისთვის მეტად მნიშვნელოვანია და გადაუდებლად აუცილებელი დი-ალოგი ხელოვნური ინტელექტის განვითარების გზების დონის განსაზღვრაზე. ხომ რაც უფრო მაღალია მისი წილი ცივილიზაციის სფეროში, მით უფრო დაბალია რეალური შესაძლებლობები ადამიანების პირადი პოტენციის რეალიზებისა, დაიკმაყოფილონ თავისუფლების, შემოქმედების, სიყვარულის, თვითგამოხატვის საკუთარი მოთხოვნილებები. კაცობრიობა ეგზისტენციალიზმის რისკის ზღურძელზე აღმოჩნდა - ხელოვნური ინტელექტი სასიკვდილოდ ემუქრება გონიერ ცხოვრებას.

ჩვენ მოგონოდებთ თქვენ და ყველა სხვა ავტორიტეტულ მეცნიერს, ასევე საზოგადოებრივი აზროვნების ლიდერებს და მსოფლიო რელიგიის მეთაურებს 2017 წლის 20 – 23 ნოემბერს შეიკრიბოთ (თქვენგან ველოდებით რეკომენდაციებს შეხვედრის ადგილის შესახებ) პირველი კონსულტაციებისათვის ხელოვნური ინტელექტის განვითარებისთვის წინააღმდეგობის განწევის ფართო პროგრამების შესამუშავებლად. ბიზნესი ხომ ინვესტიციების ტემპს ზრდის ხელოვნური ინტელექტის განვითარების პროექტში, მაგრამ კაცობრიობა ხომ აღმოცენდა ინვესტიციური პროექტების გარეშე. ნუთუ ჩვენი საერთო ქალაქის მესაფლავე გახდება რეალობაში?

რობოტები, მანიპულატორები - რა თქმა უნდა, დიას! ხელოვნური ინტელექტის განუსაზღვრელი განვითარება - კატეგორიულად არა!

თანამედროვეობის ეს უმნიშვნელოვანესი პრობლემა მწვავედ ითხოვს თქვენს მონაწილეობას, დახმარებას და ფიქრს.

P.S. ეთავაზობთ შეხვედრის ვარიანტებს ნოემბერში - ტოკიო, პეკინი, მოსკოვი, ჰამბურგი, ტელავივი, ბოსტონი.

ალექსანდრე პოტიომკინი
ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი.
მოგელი სუპუტია
პროფესორი, დოქტორი აკადემიკოსი
ვასილ კოლესნიკი
ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი,
აკადემიკოსი



ემიგრაცია დიდი ტკივილია, განსაკუთრებით ისეთი მგრძნობიარე და ერთგული ადამიანებისათვის, როგორც მაყვალა მესხაძე, როცა გტკივა ყველაფერი, საშობლოსთან და შენს ოჯახთან განშორება, მოგონებად დარჩენილი საქმიანობა, წესიერად და სამაგალითოდ გატარებული წლები, რომელიც დიდი სიყვარულის წყარო იყო. შემდეგ კი ყველაფერი შეიცვალა, მაყვალა ნაზი ფოთოლივით მოწყდა ღერძს და ასე დააფრიალებს ემიგრანტული ცხოვრება უკიდვანო სივრცეში, მაგრამ ის სპეციაკი ადამიანური თვისებები და ნიჭი, რომელიც ამ ქალბატონს ალამაზებს, შეუმჩნეველი და დაუფასებელი არსად დარჩენილა. მისი ერთგული სამსახური საყვარელი პროფესიის მიმართ ემიგრაციაშიც გამოადგა. ქართველ ბავშვებს, ათენის საკვირაო სკოლაში, იმ ერთ თვისუფლად დღეს, რომელსაც საბერძნეთში მისი სამსახური აძლევდა, ისევე ქართულ საკვირაო სკოლას ახმარდა, ემიგრანტ ბავშვებს ქართულს ასწავლიდა და თუ რომელიმე მოსწავლე მოსვლას ვერ ახერხებდა, მას უანგაროდ სახლშიც აკითხავდა გაკვეთილის ჩასატარებლად. ლამაზობით კი ქართული გაზეთის „ელადას“ და ჟურნალ „ემიგრანტი ქალის“ მასალებს ალაგებდა და ასწორებდა. ემიგრაციაში შექმნილი და დაწერილი მასალების კრიტიკოსიც იყო და თანამდგომიც. მისი მხარდაჭერით და თანამონაწილეობით გამოდიოდა სისტემატიურად ჟურნალ-გაზეთები საბერძნეთში, ეს არის ადამიანი, რომელიც უანგაროდ პირნათლად ემსახურება ემიგრაციის საჭიროებებს, მისი სულიერი თანადგომა და ერთგულება განსაკუთრებულია, ამ პრობლემებით გამძაფრებულ და დატვირთულ გარემოში მაყვალა სამაგალითო სულიერი მასწავლებელია ემიგრანტების, მისი შემოქმედება კი ნათელი სხივია ადამიანური ღირსებების შესანარჩუნებლად, უანგარო ერთგული თავყანისმცემელია მეგობრობის და ყველაფერს აკეთებს ამ ხიდეზის განსამტკიცებლად, რომელიც მტრობას და შურს ასე მოურყევია.

შორენა ჰენგელია

ქართველი ემიგრანტებისთვის და არა მარტო მათთვის, ლენჩუმის მკვიდრი, ინჟინერ-პედაგოგი, პატარა ემიგრანტების „სამშობლოს მასწავლებელი“, მაყვალა მესხაძე არაჩვეულებრივი სულიერებით შემკული, ზნეობრივად ამაღლებული, საიმედო და სამაგალითო ქართველია. იგი არის არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა კავშირის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და პასუხისმგებელი მდივანი, ჟურნალ „ემიგრანტი ქალის“ რედაქტორი. „პატარა ემიგრანტის ფიცის“, იგავ-არაკეზის, საბავშვო ნაწარმოებების, დიდქტიკური თეზისების, იუმორესკების, კრიტიკული წერილების, ნოველების ავტორს გამოცემული აქვს სამი წიგნი. იგი ხშირად იბეჭდება გაზეთ „ელადას“ სერიით გამოცემულ კრებულებში. არის საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი.

ნუნუ ღურჭუმაღიძე

მაყვალა მესხაძე

ტაოხების მტარი

ქსენოფონტი!
მწერლის სახელს რომ მაზარებ, გესლ-კალამით სისხლძარღვებს რომ მიზანზარებ...
თუკი გაჩნდი, მინას აჩნდი და მომავალს დაენახე, რად წაართვი ჩემს წინაპარს სახლ-კარი და სავენახე?!
გვევლ ქვეყნად, ჩემი მხარეც შეგესწავლა, დაგენერა, ვით შეჭფერის მოგზაურს და მწერალს, გათქვა კალმით, არა ხიშტიით და სიმართლით მოგეფხანა ასპიტური ენაც...
დაგეძლია არა ჩემი წინაპარი, მხოლოდ შენი გრძნობიერი ქვენა.

შენ, ბერძენო და ბრძენო, გევაჭრა და შეგესვენა ტაოხებთან, დასაწერიც დაგენერა, თუმც დაწერე - რა გაამო ჩემი ტომის აოხრებამ?!

306?!

ვინ უფრო აღმა აჰყვება ენგურს, ვინ უფრო კარგად დაზვერავს ალაგს, ვინ გაგვიცოცხლებს სამას არაგველს, ვინ დაგვდებს ამის სანატრელ ამაგს?!
ვინ გვაპოვნინებს ქართლოსიანთა სანუკვარ დამლას?
ვინ შეაერთებს იმერს და ამერს, ვინ გადასცურავს ფსოუს და არაგვს?!
ვინ გააღვიძებს ბაზალეთის ყრმას, ტბის ძირზე დამშვრალს, ვინ განამტკიცებს აღმაშენებლის სასაზღვრო დავთარს?!

კავკასიონს შემოვავლებ ზღუდეს

უცხო ჰაერს უსიამო სუნთქვა ახლავს...
და ყველაფერს ხელიკისფერი აკრავს...
მენატრება ხატნამსვლელის ხატაური კაბა და ჩვენს წმინდა ადგილებზე ფეხმძივული ავლა-ჩავლა.
ჯავრი დამდევს ხევისბერის, მახვშის, ვრჩები ისევ ობოლი და გაბუტული ბავშვი...
მეომება მაჯლაჯუნა გაცრეცილი წლები და ჟანგისფერ ხასიათზე ვდგები...
ეჰე-ჰეი! - გადავძახებ ყაზბეგს, შევაჩვენებ პიტიახშს და ათაგ-ბეგს, კავკასიონს შემოვავლებ ზღუდეს, სამუდამოდ გავასახლებ მრუდეთ!
ჟამი დგება, ჩამოგვცვილდეს ვასალობის ტვირთი, ნართმეულის დაბრუნების ნამებს, მოთმინებით ვითვლი...
თუკი ვინმეს, გადავშენდეთ, უნდა, სჯობს, აიკრას ნაბადი და გუდა!
უცხო მინას უსიამო გემო ახლავს და თვით ზეცას ხელიკისფერი აკრავს...
ნარყალას სანამ კვლავ არ წავალ, ლიკავიტუს მეორედ არ ავაღ!

სავალო ძვა

ამდენი ღმერთი, ქალღმერთი, მითი, ბრძოლა და ატანა, უზრალო ხალხის სულის წვა, არისტოკრატია - სატანა?!
უცხოთ შემფარე ქალაქი, უთვალავ კანონს ატარებს, ხან სოლონს ემორჩილება, ხანაც დრაკონებს ახარებს. მიჯობს ფიქრი და ღუმლი...
მითებს გულისყურს ვერ ვუდებ...
ქვის და თიხა-ქვის ხანიდან, „სავალო ქვა“ რომ დაუდევს. სხვისია ეგეოსის ზღვა და არც მე ვუახლოვდები...
პოსეიდონის საბრძანის ჩუმად, ჯიუტად ვშორდები...
ხანდახან მომეფერება, ზევსის ასული ათინა...
სამაგიეროს ვუბრუნებს, განაწყენება არ მინდა...
უნებურად თუ კვლავ ნებით, როცა ამდენ ხანს გავძელი, კვლავ ვრწყავ, ზეთისხილს მორჩილად და მამულის გზას გავცქერი...



აკაკი ჩხაკიშვილი – 80

და გაუტეხლობა და დღევანდლამდე მოგვატანინა ქრისტესავით ჯვარცმული საქართველო.

თქვენი პოეზია თქვენივე პროზის ორგანულ გაგრძელებად გვესახება. პოეტური კრებულები „სიბერის ჟამს გაჩენილი ცეცხლი“, „მიმწუხრის ჟამის ელეგიები“, „მესამე შეხვედრა მკითხველთან“, ფოთი, ჩემი კოხტა ფოთი“, „შენ, ჩემო მანათობელო“, რაც მიფიქრია და მითქვამს“ ღრმად გვაფიქრებს წუთისოფლის ამაოებაზე და ამავე დროს ნათელი მომავლის რწმენით აღგვავსებს.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქართულ ლიტერატურისმცოდნეობას თქვენი სახით მეტად საინტერესო და სოლიდური წარმომადგენელი ჰყავს. თქვენი საკანდიდატო („მიხეილ ჯავახიშვილის მხატვრული ოსტატობის საკითხები“ 1973 წ.) და სადოქტორო („20-30-იანი წლების ქართული სალიტერატურო კრიტიკის ისტორიიდან“ 1985 წ.) მონოგრაფიები ქართული ლიტერატურისმცოდნეობის მნიშვნელოვან შენაძენად გვესახება. ასევე, მეტად საინტერესოა თქვენი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების ისეთი კრებულები, როგორიცაა „დრო, განცდა, მწერალი“, „მხატვარი და პერსონაჟები“, „ეპოქის მხარდამხარ“, „ლიტერატურულ-კრიტიკული ბრძოლების ახლო წარსულიდან“, „ქართული სალიტერატურო კრიტიკის უახლესი ისტორიიდან“.


მთელი ცხოვრება საზოგადოებრივ ასპარეზზე გაქვთ გატარებული. სხვადასხვა დროს მუშაობდით ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკად, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორად, ტელერადიოკორპორაციის რედაქტორად, ნიგნის პალატის მთავარ რედაქტორად, საბიბლიოთეკო კოლექტორის დირექტორად და ყველგან რწმენით, ძველქართული ერთგულებით ემსახურებოდით ქართული მწერლობის, კულტურის, განათლების წინსვლასა და განვითარებას.

ჩვენო რევაზ!

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ბოლო დროს მოძალებული ავადმყოფობა ვერას დააკლებს თქვენს საბრძოლველად შემართულ სულს და კვლავაც გაისმება თქვენი ხმა საქართველოს გადარჩენისთვის გამართულ ომებში.

კიდევ ერთხელ სიყვარულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ერთგულ თანამოკალმეს, დღეგრძელობასა და მზერძელობას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა
კავშირი



შალვა სალუკვაძე – 75

მემკვიდრეობის შესწავლასა და შეფასებაში, ძველი ქართული ასტრონომიული კალენდარული ტრაქტატების კვლევაში. ქართული ასტრონომიული ტერმინოლოგიის დახვეწაში.

ერთი სიტყვით, თქვენი სახით ქართულ მეცნიერებას გამორჩეულად საინტერესო წარმომადგენელი ჰყავს.

თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ თქვენს პიროვნებაში მეცნიერს ტოლს არ უდებს შემოქმედი პოეტი, თანამედროვე ქართული პოეზიის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენელი.

თქვენი პირველი ლექსები 1958 წელს დაიბეჭდა საგარეჯოს რაიონულ გაზეთ „სტალინურ ხმაში“. მას შემდეგ თქვენი ლექსები, მხატვრული თარგმანები, ლიტერატურული წერილები პერიოდულად ქვეყნდება სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე ნიგნებად.

თქვენი პოეტური კრებულები „წყალვარდნილი“, „ასი ლექსი“, „უსაზღვროება“ ქართული მკითხველის მოწონებით სარგებლობს. ამ მოწონებას კი ის გარემოება განაპირობებს, რომ დახვეწილი პოეტი ბრძანდებით, რომელსაც საკუთარი პოეტური ხელწერა, თვალსაჩინო, მსოფლალქმა გააჩნია. ამ კრებულებში შესულ ლექსებს მაძიებელი სულის მქონე ავტორის ხელი ამჩნევია, რომლის მზერა ჩვენს ისტორიულ წარსულსაც წვდება და მომავლისკენაცაა მიმართული. ქართული ზეცა ისევე ძვირფასია თქვენთვის, როგორც ის მიწა, უფალმა რომ უბოძა ქართველობას. თქვენი ღრმა განსწავლულობა ასტრონომიაში ამ შემთხვევაში სულაც არ ამძიმებს თქვენეული ლექსების მდინარებას. უფრო კი პირიქით, სათქმელის ცხადად და ნათლად მიტანაში გეხმარებათ მკითხველამდე, რომელიც სულაც არ რჩება გულგრილი თქვენი კოსმიური ხილვების მიმართ.

თქვენი საუკეთესო ლექსები შესულია ქართული პოეზიის ანთოლოგიებში.

მონიჭებული გაქვთ საქართველოს კომკავშირის პრემია, მიღებული გაქვთ საქართველოს პრეზიდენტის მაღლობა პედაგოგიურ და სამეცნიერო მუშაობაში წარმატებისთვის.

ბატონო შალვა!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩინებულ შემოქმედს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ შემოქმედებით მიღწევებს.

საქართველოს მწერალთა
კავშირი

ეს აუცილებლად უნდა გაიჩვენოს

რევაზ მაჭარაშვილი

„შეცდომის შემჩნევა იოლია, შეუმცდარად უკეთესის შექმნა – ძალზე ძნელი“.

მ.ლომონოსოვი

ხუთი ათეული წლის წინ, როცა ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე გახლდით, ერთ დღეს მამამ წიგნების კარადიდან ალექსანდრე გვეტაძის „აზრთა კონა“ გამოიღო, გვერდით მომიჯდა და კითხვა დაიწყო. მისი მცდელობა, გამოენვია ჩემი ინტერესი მსოფლიოს ბრძენთა გამონათქვამებისადმი, წარმატებული აღმოჩნდა... და აგერ უკვე 60 წელს გადაცილებულმა თავი ვეღარ დავადღნიე საინტერესო და ლამაზი, მოკლე გამონათქვამების მოძიებას, რომელიც ჩემი შობი გახდა.

ვერ გეტყვით, წინასწარ ვგრძნობდი მათი გამოყენების აუცილებლობას, თუ პირიქით, საკითხით დაინტერესებამ და მრავალი მათგანის ზეპირად სწავლამ განაპირობა მათი გამოყენება წიგნების წერის, საზოგადოების წინაშე გამოსვლის თუ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას - როდესაც მიწევდა დაწესებულების ხელმძღვანელთათვის მოხსენებათა პროექტების მომზადება. ფაქტი კი ერთია: ვეძებდი მათ დაუსრულებლად ყველგან და ვპოულობდი კიდევ. მათი წყალობით მრავალი საქალაქე აივსო ჩემს მაგიდაზე.

ბოლოს გადავწყვიტე ეს მასალა გარკვეული წესით დამელაგებინა და წიგნად მიმეწოდებინა დაინტერესებული მკითხველისათვის. წარმოიდგინეთ, რომ სწორედ აქ დავედექი იმ პრობლემების წინაშე, რომლებზეც მინდა ვისაუბრო.

ჩემდა და, ალბათ, ყველას გასაოცრად, აღმოჩნდა, რომ ძალიან ბევრ შემთხვევაში ერთსა და იმავე საკითხზე, ერთი და იგივე ტექსტის ავტორად, სხვადასხვა წყაროში სხვადასხვა პირი იყო დასახელებული.

ძალიან კარგია, როცა მრავალ საკითხზე ერთი, ან სხვადასხვა ქვეყნის ბრძენი ადამიანები ერთნაირი აზრისანი არიან, რაც გამოთქმული აზრის ჭეშმარიტებაზე მიუთითებს (თუმცა ეს არ არის ტექნიკური აღმოჩენა, რომ ერთმანეთს დაემთხვეს), მაგრამ ძალიან ცუდია, როცა აღრეულია ამ აზრის ავტორთა გვარ-სახელები. ამიტომ, ვფიქრობ, ეს საკითხი სპეციალისტებისათვის ცალკე კვლევის საგანად უნდა იქცეს, რათა მკითხველში არ გამოიწვიოს დაბნეულობა და მან იცოდეს კონკრეტული გამონათქვამის ნამდვილი ავტორი.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ მინდა მოვიყვანო მხოლოდ რამდენიმე მაგალითი, რომელთა მსგავსი საკმაოდ მრავლად აღმოჩნდა ჩემ მიერ შეგროვილ მასალაში:

1. „არიან ქვეყნები, სადაც სილამაზე უპირატესობად არ ითვლება, რადგან ყველა ლამაზია. მოგზაურები ამას ერთხმად ამბობენ საქართველოზე“ - ამ სიტყვების ავტორები არიან, თურმე იოჰან იოახიმიზიკელმანი, სტრაზონი.

2. „აზრები ერთმანეთს იმიტომ ებრძვიან, რომ დასძლიონ შეცდომა და მიაღწიონ ჭეშმარიტებას“. სიტყვების ავტორები არიან ერთ შემთხვევაში პლატონი, ხოლო მეორე შემთხვევაში - სოკრატე.

3. „ყველას მეგობარი არავის მეგობარი არაა“ - არისტოტელე, სტენდალი.

4. „ადამიანი იმდენ ხანს არ ცოცხლობს, რომ საკუთარ შეცდომებზე ისწავლოს. მთელი სიცოცხლის განმავლობაში უშვებს შეცდომებს და ერთადერთი, რისი მიღწევაც შეუძლია, არის – მოკვდეს გამოსწორებული...“ - ჟან დე ლა ბრუიერი, კუპერი.

5. „ქალისა და კაცის მეგობრობას, საფრთხეს უქმნის დაღამება“ - გოეთე, სტენდალი, ბისმარკი.

6. „სწავლა სტუმარს ჰგავს მოსულსა, ჭკუა კი მასპინძელია, თუ სტუმარს მწყარლად დაუხვდის, მათი თანხმობა ძნელია“. *აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე.*

7. „დიდი სიბრძნეა კაცისა ცნობა თავისი თავისა“. ილია ჭავჭავაძე, არჩილი.

8. „აუცილებლად დაქორწინდი. თუ კარგი ცოლი გარგუნა ბედმა, გამოწაკლისი იქნები და თუ ცუდი - ფილოსოფოსი მაინც გახდები“ - ევრიპიდე, სოკრატე.

9. „მატყუარას კარგი მესხიერება უნდა ჰქონდეს“ - კვინტილიანი, აბრაამ ლინკოლნი.

10. „ოჯახში თუ ბავშვი არ იზრდება, იგი ილუპე-

ბა“ - ოსური ანდაზა, ლაუბი.

11. „ყოველსა სიტყვას დრო უნდა, ლაპარაკს - მისი ადგილი“ - ქართული ანდაზა, სულხან-საბა ორბელიანი.

12. „მოკლედ თქმაში გამოჩნდება ოსტატი“ - ქართული ანდაზა, კონსტანტინე გამსახურდია.

13. „ერთი სულელი ჩაადგებს ჭაში ქვას, ასი ბრძენი ვერ შესძლებს მის ამოღებას“ - აზერბაიჯანული ანდაზა, უცნობი ავტორი.

14. „ჭკვიანს უყვარს სწავლა, სულელს სწავლე-ბა“ - რუსული ანდაზა, უცნობი ავტორი.

15. „ქალი თვალის სამოთხეა, სულის ჯოჯოხეთი და ჯიბის განსაწმენდელი“ - ბერნარ ფონტენელი, ესპანური ანდაზა.

16. „შეცდომა ადამიანურია“ - სენეკა, ინგლისური ანდაზა.

17. „ცხოვრება ბრძოლაა“. ბოამრში, სენეკა უმცროსი, ევრიპიდე.

18. „წიგნებსაც თავიანთი ბედი აქვთ“ - ტერენციანემაერე, ლათინური ანდაზა, უცნობი ავტორი.

19. „უსწავლელი ქვაზე დაჯდეს, - ქვა ქვაზედა დაემატოს“ - ვახტანგ მეექვსე, დავით გურამიშვილი, ქართული ანდაზა.

20. წუთი-სოფელი ესეა:

ლაშე დღეს უთენებია,

რაც მტრობას დაუქცევია -

სიყვარულს უშენებია. ილია ჭავჭავაძე, ქართული ხალხური ლექსი

21. „სიწინაუმი არის გონიერება, რომელიც გვიან მოიხსნა“ - ფოიხტერსლენი, ბიორენ.

22. „პოლიტიკოსი უნდა უსმენდეს მასებს, მაგრამ მათი ბაგეებით არ უნდა ლაპარაკობდეს“ - უცნობი ავტორი, ვაშინგტონი.

23. „თანასწორობა ომს არ იწვევს“ - გერმანული ანდაზა, სოლონი.

24. „ბედნიერების საიმედო გასაღებს მხოლოდ მოთმინება იძლევა“ - გლოგი, ქართული ანდაზა.

25. „ნუ აქცევთ ბავშვს კერპად, თორემ გაიზრდება და თაყვანისცემას მოითხოვს“ - პიერ კლოდ ბუასტი, ვოლტერი.

მეორე შემთხვევა:

ერთი და იგივე შემოქმედი ადამიანის, ერთი და იგივე შინაარსის გამონათქვამი, სხვადასხვა ლიტერატურულ წყაროში განსხვავებულადაა წარმოდგენილი. აქ საუბარია ტექსტებში შესაძენე ცვლილებებზე, უბრალო ცვლილებებზე უკვე აღარაფერს ვამბობ. მაგალითები:

ა) „მადლიერება ტვირთია და იმიტომაც მოგონილი, რომ მოიხსნა“ - დენის დიდრო;

ბ) „მადლიერება ტვირთია და ყოველი ტვირთი უნდა მოიხსნა“ - დენის დიდრო.

ა) „ჩვენთვის ძვირფასია მშობლები, ძვირფასია შვილები, მახლობლები, ნათესავები; მაგრამ სიყვარულზე ყოველგვარი წარმოდგენა თავს იყრის ერთ სიტყვაში - „სამშობლო“ - ციცერონი;

ბ) „ჩვენთვის ძვირფასნი არიან მშობლები, ძვირფასნი არიან ბავშვები, მახლობლები, ნათესავები; მაგრამ ყველა წარმოდგენა რაიმესადმი სიყვარულის შესახებ შეერთებულია ერთ სიტყვაში „სამშობლო“ - ციცერონი.

ა) „ვასწავლით რა სხვას, ჩვენც ვსწავლობთ“ - სენეკა;

ბ) „როდესაც ვასწავლით, თვით ვსწავლობთ“ - სენეკა.

ა) „ღრმა აზრები - რკინის ლურსმნებია, კაცის გონებაში ისე ჩაჭედია, რომ გერავითარი ღონისძიებით ვეღარ ამოაძრობ“ - დენი დიდრო;

ბ) „ღრმა აზრები რკინის ლურსმნებია, ჩაჭედილი ადამიანის გონებაში და მათი იქიდან ამოგდება აღარაფრით შეიძლება“ - დენი დიდრო.

ა) „ჭეშმარიტად დიდია ადამიანი, რომელმაც შეძლო თავისი დროის დაპატრონება“ - ჰესიოდე;

ბ) „ჭეშმარიტად დიდი ადამიანი იგია, ვინც შეძლო და დაეუფლა თავის დროს“ - ჰესიოდე.

ა) „არც ერთმა ექიმმა არ იცის ისეთი წამალი ილაჯგანყვეტილი სხეულისათვის და ტანჯული სულისათვის, როგორიც არის იმედი“ - შტეფან ცვაიგი;

ბ) „არც ერთ ექიმს არ გააჩნია დაქანცული სხეულისა და გატანჯული სულის სამკურნალოდ იმისთანა წამალი, როგორიც იმედი“ - შტეფან ცვაიგი.

ა) „მოსამართლე ამეტყველებული კანონია, ხოლო კანონი მუწჯი მოსამართლე“ - ციცერონი;

ბ) „მოსამართლე მოლაპარაკე კანონია, კანონი კი მუწჯი მოსამართლე“ - ციცერონი.

ა) „არაფერია დედის სიყვარულზე უფრო წმინდა და უანგარო; ყოველგვარი სიყვარული, ყოველგვარი ვნება და ერთგულება ან სუსტია, ან ანგარებანია მასთან შედარებით...“ - ბ. ბელისკი;

ბ) „დედის სიყვარულზე უფრო წმინდა და უანგარო გრძნობა არ არსებობს; მასთან შედარებით ყოველგვარი სიხლოვე, სიყვარული და ყველა ვნება გაცილებით სუსტი და ანგარებანია“ - ბ. ბელისკი.

ა) „მშობლებს ისე მოექცევი, როგორც გინდა, რომ შვილები მოგექცნენ“ - სოკრატე

ბ) „მშობლებს ისე მოეპყარი, როგორც შენ გსურს, რომ შენი შვილები მოგეპყრონ“ - სოკრატე

გ) „მშობლებს ისე მოექცევი, როგორც ისურვებდი, რომ შენი შვილები მოგექცნენ“ - სოკრატე

დ) „ისე მოეპყარი მშობლებს, როგორც შენ ისურვებდი, რომ საკუთარი შვილები მოგეპყრან“ - სოკრატე

ა) „ერთ საუკუნეში გმირული სიკვდილი ადამიანს ასაჩუქრებს სიცოცხლით ყველა მომდევნო საუკუნეში“ - ჯორდანო ბრუნი;

ბ) „ერთ საუკუნეში გმირული სიკვდილი ადამიანს მომავალში საუკუნო სიცოცხლეს ანიჭებს“ - ჯორდანო ბრუნი.

ა) „სიყვარული დედაკაცისათვის ცხოვრებაა, მამაკაცისათვის მარტო ამბავია ცხოვრებისა“ - ჟან პოლი;

ბ) „სიყვარული ისტორიაა ქალის ცხოვრებაში და ეპიზოდი კაცის ცხოვრებაში“ - ჟან პოლი.

ა) „ადამიანის არსი სურვილებში გამოიხატება“ - ბენედიქტ სპინოზა;

ბ) „სურვილებში შეიცნობა კაცის რაობა“ - ბენედიქტ სპინოზა.

ა) „სიკვდილი მხოლოდ ერთხელ მოდის და მთელი სიცოცხლე კი მოველით: სიკვდილის შიში უფრო საზარელია, ვიდრე თვით სიკვდილი“ - ჟან დე ლა ბრუიერი;

ბ) „სიკვდილი ერთხელ მოდის და ცხოვრების ყოველ წუთს კი ველოდებით მას. სიკვდილის შიში უფრო მძიმე ასატანია, ვიდრე თვით სიკვდილი“ - ჟან დე ლა ბრუიერი.

ა) „კარგი წიგნი საჩუქარია, რაც ავტორმა კაცთა მოდგმას უსახსოვრა“ - ჯოზეფ ადისონი;

ბ) „კარგი წიგნი ავტორის მიერ კაცობრიობის მოდგმისადმი ნაანდერძევი საჩუქარია“ - ჯოზეფ ადისონი.

ა) „ჭკუა სამართებელსა ჰგავს: გაღესილი სხვებს აყენებს ჭრილობას, ზღაგვი კი – საკუთარ პატრონს“ - ჟონათან სვიფტი;

ბ) „ჭკუა სამართებელივითაა, მჭრელი სხვებს დაჭრის, დაჩლუნგებული კი საკუთარ თავს ავნებს“ - ჟონათან სვიფტი.

ა) „ადამიანში ყველაფერი უნდა იქნეს მშვენიერი: გარეგნობაც, ტანსაცმელიც, სულიც და აზრებიც“ - ა. ჩეხოვი;

ბ) „ადამიანში ყველაფერი ლამაზი უნდა იყოს: სახეც და ტანსაცმელიც, სულიცა და აზრიც“ - ა. ჩეხოვი.

ა) „გენიოსობა – ერთი პროცენტი შთაგონებაა და ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი ოფლი“ - ტომას ედისონი;

ბ) „გენიოსობა – ეს არის ორი პროცენტი შთაგონება და...ოთხმოცდათვრამეტი პროცენტი ოფლისღერა“ - ტომას ედისონი.

ა) „როცა სამართლიანობა ქრება, აღარაფერი რჩება ისეთი, რაც ფასს ანიჭებს კაცთა სიცოცხლეს“ - იმანუელ კანტი;

ბ) „როცა სამართლიანობა ქრება, მაშინ აღარაფერი რჩება ისეთი, რომ ადამიანის სიცოცხლეს ღირებულება მისცეს“ - იმანუელ კანტი.

ა) „უდიდესი ხელოვნებაა, თავის შეზღუდვა და თავშეკავება შეძლო“ - გოეთე;

ბ) „უდიდესი ხელოვნებაა ის, რომ თავის შეზ-

ღუდვა და იზოლირება შეძლო“ - გოეთე;

ა) „ვსწავლობთ არა სწავლებისა, არამედ ცხოვრებისათვის“ - სენეკა;

ბ) „ჩვენ ვსწავლობთ არა სკოლისათვის, არამედ ცხოვრებისათვის“ - სენეკა.

ა) „ჭკვიანია – ვინც დროზე მოვა, უფრო ჭკვიანია, ვინც დროზე წავა“ - გაიბელი;

ბ) „ჭკვიანია იგი, ვინც კაი დროზე მოვა, უფრო ჭკვიანია ის, ვინც კაი დროზე წავა“ - გაიბელი.

ა) „არაფერია უფრო ბრიყვეული, ვიდრე იმის სურვილი, რომ ყოველთვის ყველაზე ჭკვიანი ჩანდე“ - ფრანსუა დე ლაროშეუკო;

ბ) „არ არსებობს უფრო მეტი სისულელე, ვიდრე სურვილი, ყოველთვის იყო ყველაზე ჭკვიანი“ - ლაროშეუკო.

ა) „ფრთხილად იყავით წერილმან ხარჯებთან დაკავშირებით; პატარა ხვრელს დიდი ხომალდის დაღუპვა შეუძლია“ - ბ. ფრანკლინი;

ბ) „გაუფრთხილდით წერილ-წერილ ხარჯებს: ყველაზე პატარა ხვრელსაც კი შეუძლია ჩაძიროს დიდი გემი“ - ბ. ფრანკლინი.

ა) „როგორც კარგად გატარებული დღე იძლევა მშვიდ ძილს, აზრიანად გატარებული ცხოვრებაც იძლევა მშვიდი სიკვდილის საშუალებას“ - ლეონარდო და ვინჩი;

ბ) „კარგად გატარებულ დღეს მშვიდი ძილი მოაქვს, სასარგებლოდ გატარებულ ცხოვრებას კი – მშვიდი სიკვდილი“ - ლეონარდო და ვინჩი.

ა) „არავითარი მიზანი იმათ არ ღირს, რომ ის უღირსი გზით მოვიპოვოთ“ - ალბერტ აინშტაინი;

ბ) „არც ერთი მიზანი არ არის იმდენად ამაღლებული, რომ უღირსი საშუალება გაამართლოს მის მისაღწევად“ - ლეონარდო და ვინჩი.

ზემოაღნიშნულ განსხვავებებს, პირველ შემთხვევაში მიზეზს ვერ ვუძებნი, ხოლო მეორე შემთხვევაში განსხვავებათა მიზეზი შეიძლება იყოს:

უცხო ენაზე დაწერილი მასალის თარგმნა ან მათი სტილისტური სწორება სხვადასხვა ავტორის მიერ.

გამონათქვამების ავტორების მიერ სხვადასხვა წიგნებში ერთი და იმავე აზრის განსხვავებული ფორმით გამოყენება, რაც ნაკლებად საგარაუდოა.

საკითხთან დაკავშირებით ჩემი აზრი ასეთია: რადგან ქართველი ხალხის ინტერესი ბრძნული გამონათქვამებისადმი დიდია, ნუ დავუტოვებთ შთამომავლობას სხვადასხვა ფორმით მორაულ ბრძნული გამონათქვამების ტექსტებს. რუსთაველის ქვეყანას და ჩვენს ლიტერატურას ეს ნამდვილად არ ეკადრება. სპეციალისტებმა ამ საქმის მოსაგვარებლად უნდა მოიცალონ, რათა სწორი გამონათქვამები დამკვიდრდეს.

დღეისათვის ბრძნულ გამონათქვამებთან დაკავშირებით იმდენი წიგნია გამოცემული, რომ მათ დეტალურ გარჩევას და არსებულ შეუსაბამობათა გასწორებას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდება. მე რასაც მიწვევდი პატიოსნად ამოვნერე და კვლევისათვის ერთგვარი საფუძველი შეექმენი.

ზემოაღნიშნულ ჩამონათვალს სპეციალურად არ ვურთავ წიგნების ავტორების გვარებს, საიდანაც მოტანილია მაგალითები, რადგან ავტორები ამას კრიტიკად მიიღებენ - რაც ჩემს მიზნებში არ შედის. ჯერ ერთი იმიტომ, რომ:

„შეცდომა - ადამიანური თვისებაა“ (სენეკა უფროსი);

„ვინც შეცდომას არ უშვებს, ის არც აკეთებს რამეს“ (ინგლისური ანდაზა);

„შეცდომებისა ნუ გეშინიათ, მათ გარეშე ვერ იცხოვრებთ“ (მაქსიმ გორკი).

ამრიგად: ჩემი მიზანი მარტივია: დავიწყოთ შეუსაბამობათა გასწორება. ხოლო თუ ყველა ვერსია მართებულია, მაშინ ეს სპეციალისტების მიერ უნდა იქცეს.

ტელ: 5-77 22-24-52
rmacharashvili@economy.ge

რევაზ ჩხარტიშვილი

ფოთი, ჩემი კოხტა
ფოთი

(ფრაგმენტები პოემიდან)

მარცვალ-მარცვალ ამიკრიფავს
ლექსის თითო სტრიქონი,
ოქროს კვეთით ამოვკვეთე
დროის ქორონიკონი.
ფოთი, ჩემი კოხტა ფოთი,
სიყმანვილე მზის ფერი,
ცა, კრიალა როგორც სარკე,
მოლივლივე ზღვის ფერი.
ფოთი, ჩემი კოხტა ფოთი,
ზღვის ნაპირას გაშლილი,
დგას ლომივით შემართული,
ჯიქურ ფაფარაშლილი.
დიდი ნიკო ნიკოლაძის
ნიჭით შუქდაფერილი,
მზის გულივით სხივნათელი,
მზისებრ სხივგანფენილი.
მოშრიალე ზღვის ტალღები
ნაპირს ლოკავს ალერსით,
მსურს, ჩემს ქალაქს მოვეფერო
მგრძნობიარე ამ ლექსით.
ათასფერად ელვარებენ
ცისარტყელას ფერები,
მონატრებულ შვილის გრძნობით
ჩემს ფოთს მოვეფერები.
სიყვარულით მოვიკითხავ
ერთი ნაფოთელარი,
კალმის ნვერზე მიზის სიტყვა,
გულში დაუტევარი.
მოლივლივე ზღვის ტალღები
ნაპირს ჯიქურ აწყდება,
წარსულს ვერვინ დაიბრუნებს,
გული ნურვის დაწყდება.
თეატრის წინ შუქგახვეულ
მოედანზე დავდივარ...
გული მწყდება, გარდასულის
შორეული ლანდი ვარ.
უთეატროდ დარჩენილა
ჩემი კოხტა ქალაქი,
ლექსისა და ყრმობის ბუდე,
ჩემი წმინდა ალაგი.
ტრფიალი ვარ ჩემი ფოთის,
აქა ვარ თუ თბილისში,
მე აქ ყოფნა მიხარია
მაის-ივნის-ივლისში.
ყოველ ხეს და ბუჩქს და ქუჩას
სიყვარულით ვალმერთებ,
წარსულსა და დღევანდელ დღეს
ოქროს ძაფით ვაერთებ.
მაგრამ უკვე ვერავინ მცნობს,
ველარც მე ვცნობ ვერავის,
გზას მივყვები და მომყვება
ჩუმი თვალი მზვერავის.
მიცნო, მაგრამ ველარც მიცნო,
ფოთელის მაქვს იერი,
იცის, ვინც აქ დაიბადა,
ფესვები აქვს ძლიერი.
ფოთელობით თავი მოაქვს,
მისი ეშხით დიდგულობს,
დაემკვიდრა თბილისს, მაგრამ
მშობლიურ ფოთს ერთგულობს.
ახლა მე აქ თავს ვგრძნობ უცხოოდ,
თითქოს ფოთი სხვა არი,
თუმცა რიონი ისევ ერთვის
ნაპირს, სადაც ზღვა არი.
პალიასტომს, როგორც ადრე,
ქარი აქცევს ზვირთებად,
ტალღებს მივყვე ჭაბუკურად,
ნულარ გაგიკვირდებათ.
გული ისევ ისე მერჩის,
როგორც ყმანვილობისას,

თავს რომ ფოთში დავიგულებ,
ვგრძნობ ძალ-ლონეს ლომისას.
მერცხალი კვლავ დაიბუდებს
ბუდემოშლილ ერდოზე,
ნეტავ იმ დროს, როცა გულში
გაზაფხულის ენთო მზე.
რა ძალა აქვს ფაზის-ქალაქს,
რა ჯადო და თილისმა,
სიძველით და ისტორიით
ვერ აჯობა თბილისმა.
არგონავტებს წაულიათ
ჩვენი ოქროს საწმისი,
მთიდან ისევ შავი ზღვისკენ
მოგრიანებს ფაზისი.
აქ სამშობლოს ერთგულება
დაუფიცავთ ქართველებს,
მაგრამ უფრო უყვართ ფოთი
გურულებს და მეგრელებს.
დღეს სხვა არის ჩემი ფოთი,
ზღვის ნაპირას გაშლილი,
დედასავით დაგამშვიდებს,
გნახოს ნერვებაშლილი.
დილით მზეა, შუადღით კი
მოქუფრული ცა მოვა,
ელვა გაჰკრავს, გადიქუხებს,
უცბად თქემი წამოვა.
გადიკარებს, მერე ისევ
მზე თვალს გამოაბრწყინებს,
მზიანსა და წვიმიან დღეს
ერთმანეთთან აწყვილებს.
ზღვიდან დაჰქრის წელი სიო,
ხან წვიმა და ხან მზეა,
მისთა შვილთა საამაყოდ
ფოთი წინა ხაზზეა.
სხვანაირი იყო ყოფა,
სხვა ძმობა და იმედი,
მტრობასა და შურს და ღალატს
გულში ვერც გაივლებდი.
დარი იდგა გაზაფხულის,
ცას ნათელი ცვიოდა,
აცხუნებდა მზის სხივები,
ალარავის ციოდა.
მთვარეს გოგო, გოგოს ბიჭი
ლამეს ცრემლით უთევდა,
პირველ ტრფობით ანთებული
უფალს სანთელს უნთებდა.
სანეტარო იდგა ხანა,
გაზაფხულის დღეები,
კაპარჭინის გაღმა მხარეს
შრიალებდა ტყეები.
ფეხბურთსა და რიკტაფელას
ვთამაშობდით ხალისით,
მზე თვალს მიეფარებოდა,
დადგებოდა დაისი.
თამაშების თავი იყვნენ
ტუზია და დემური...
ოი, როგორ მენატრება
ის დრო წინანდებური.

დროს და ხანას წაულია
სიყმანვილის სურნელი,
გარდასულის დაბრუნების
ვინ არ არის მსურველი,
აქ ფოთური სიყვარულით
გული ღალად ერთობა,
სულ სხვა არის ფოთელების
ძმური ურთიერთობა.
თხილის გული ცხრა ფოთელმა
მეთესაც აკმარა,
გული, გრძნობა, სიყვარული
წყაროსავით ანკარა.
ზეცას სხივი შეადნება
მთვარისა და მზის ფერი,
ზღვას შავი ზღვა ვინ დაარქვა,
როცა არის ცისფერი.
დრო გადის და, თვალწინ მიდგას,
ზღვისპირული რიჟრაჟი,

ღრუბლებს ზემოთ დაცვიურავდი,
თვალს მტაცებდა მირაჟი.
ან იმ კოლხურ სალამოებს
რა დრო წაშლის, რა ხანა,
გულის სწორმა გულის სწორთან
თავი მორცხვად დახარა.
შევხაროდი ჩემს სიყვარულს,
ოცნებებს და გაზაფხულს,
ტოლ-სწორები გულს მიშლიდნენ,
ვერ მნახავდით დაზაფრულს.
ცა ოქროსფრად აციაგდა,
ფოთი თვალს ემზიანა,
იმ განუცდელ პირველ გრძნობას
გული აქ ეზიარა.

მახსოვს ის დღე, სიყვარული
შუქივით რომ მოვარდა,
გზა, ბნელი და ეკლიანი,
განათდა და მოვარდდა.
ცა რომ იყო ღრუბლიანი,
უცბად გამოლაჟვარდდა,
ცის თავანზე ცისარტყელა
ათასფერად ავარდა.
ცად ავმალდი, დედამინა
უცბად დაჰატარავდა,
გულს მოედო უფლის მადლი,
დარდი სულ გადამვარდა.
თვალი რომ ვერ გაგუსწორე,
ალისფერი ამვარდა,
გავდიდგულდი, გავქედმალდი,
არვის ვცნობდი მის გარდა.
.მთლად ქვეყანა ჩემი იყო,
როცა იგი მიყვარდა...
მერე ისიც გადიდგულდა,
ძლიერ რომ შემიყვარდა.
სახე სახეს არ უგავდა,
წარბებს რომ აზიდავდა,
უცბადეად გაქრა იგი,
მასში რაც მიზიდავდა.
საორჭოფო სიყვარულზე
გული მეც ამივარდა.
გულისა და მაჯის ცემა
ორივე ერთად დამვარდა,
მზიანი და ნათელი დღე
კვლავ სიბნელეს ჩაბარდა.
მერე წლები, სევდიანი,
თვალხელშუა გავარდა,
ქარიშხალში გადაშვებულს
კვლავ დამდევა მე დარდად,
რამდენი რამ ცხოვრებაში
მე ერთს უნდა მედარდა.
მერე გულმა სხვა იპოვა,
მომეფონა ის ვარდად...
ახლა თითქმის ყველაფერი
წარსულივით მინავლდა,
რადგან უკვე აღარც მახსოვს,
როდის გადამიყვარდა...

ხშირად ვსტუმრობ ჩემს უბანში
უძვირფასეს დაიკოს,
რა სიბერემ უნდა მძლიოს
სიყვარულმა დაიკოს.
„წამონექი, დაისვენე,“
მეფერება დაია,
მე კი ჩემი უბნის ქუჩებს
სულ ფეხდაფეხ დავიარ.
მივაშურებ ჩემს მალთაყვას,
გამიტაცებს ფიქრები,
სიყმანვილის წლებს ვიგონებ,
კვლავ იმ წლებთან ვიქნები.
ზღვის ტალღებში შევცვიურავ და
გავგრილდები წამიერ,
მივატოვებ თბილის-ქალაქს,
აქ დავგრჩები ამიერ.
დავსახლდები მამისეულ
ნაფუძარზე ხვალთან,
თავს გავიტან ცივი მჭადით,
ლობოთ და ფხალითა.
ხელს წამიკრავს მეზობლები,
საბოსტნესაც დავბარავ,
ხეხილს ჩავყრი, გავლადდები,
სიხარულს ვერ დავფარავ.

ყვავილებით გადავავსებ
ჩემს პატარა ეზოსა,
ბავშვურ სახელს დავიბრუნებ,
როს მეძახდნენ რეზოსა.
კარ-მიდამოს გამიცოცხლებს
ძალდი, ჩუმად მყეფარი,
ჩემს ბადეში ვერცხლისფერად
იფართხალებს კეფალი.
შევგროვდებით უბნელები,
ჩავცვივდებით რა დღეში,
ბურთის გავიგდებთ, მესხის ფინტი
გავხვევთ კარის ბადეში.
სრულიადაც არ შეგვრცხვება
სიბერის და ჭაღარის,
ბევრსაც წელი გვტკივა, მაგრამ
გახსენებაც აღარ ღირს.
კაპარჭინის პირას, მახსოვს,
ხელთ მეჭირა ანკესი,
რამდენი რამ მტკივა, მაგრამ
მტრის ჯინაზე არ ვკვნესი.
კვლავ მახსენებს იმ ტკბილ ხანას
ის ლურჯთვალა ასული,
სიყმანვილის ალტკინება
ცის მწვერვალზე ასული,
ელვარე მზის დიდი დისკო
ცის კიდურზე დასული,
ჩემი ხელით დაჭერილი
ლორჯო, ძაფზე აცმული.
დრო-ჟამს წლები მიაქვს-მოაქვს,
მე მივტირი წინა დროს,
ჩხარტიშვილთა ნაფუძარზე
დღეს სხვა გვარი ბინადრობს.
ახლა ისევ ფოთში ვარ და,
თვალს გარშემო ვაცეცებ,
ვარდნაყარი სიყმანვილის
ნაკვალევს აქ დავეძებ...
ჰაუ, მართლა, რა დრო იყო,
რა სიცოცხლის ხალისი,
თვალში მენტო გაზაფხული,
აპრილი და მაისი.
ცაში ვარსკვლავს შევხაროდი,
ძირს მეფინა ვარდები,
მთლად ქვეყანა ჩემი იყო,
არრის მქონდა დარდები.
გადავშალე ჩემი ყოფის
არაერთი ფურცელი,
დავრჩი ისევ ის ყმანვილი
წირ და ფერშეუცვლელი.
ეკალს ვთხრი და ვარდს ვახარებ,
გული მიხალისდება,
ვნატრობ, მთელი საქართველო
როდის გამაისდება.
ვის შევთხოვო, რომ მოწყალედ
გადმოხედოს უფალმა,
სამშობლოში თავი ვიგრძნო
მტრისგან თავისუფალმა.
ეს გზა ისე გამივლია,
ობლებს კვერებს ვუცხოვბდი,
უსახლკაროდ დარჩენილებს
თბილ საბუდარს ვუნწყობდი.
სიყვარულით დალდასმული
სულ სიყვარულს დავეძებ,
არ მსურს ახლა, სიბერისხანს
შუა გზაზე დავეცი.
სიკეთეს და სათნოებას
ვეძებ თვითონ ავსულში,
ღმერთო, ხშირად დამაბრუნე
სიყმანვილის წარსულში.
განვლილი გზა, სანეტარო,
გულს სიამით ამივსებს,
გავიხსენებ გაზაფხულს და
აპრილსა და მაისებს...
ახლა, როცა დილა მოდის,
გულის თრთოლვით ვწერ ამ ლექსს,
ღამის ბინდი ფარავს თბილისს,
შემოჯარულ მწვერვალებს.
ფოთი დღესაც ყმანვილივით
გულს მითბობს და მალაღებს,
მზად ვარ, წლები დავივინყო,
გადავიდე მალაყებს.
მოშრიალე ზღვის ტალღები
ნაპირს ლოკავს ალერსით...
ფოთელებო, თბილისიდან
მოგიკითხავთ ამ ლექსით.

ფშაური ყაფია და მისი ცხოვრებისეული ასპექტები

ხვთისაგარ არჩემაშვილი

ფშავი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის, კერძოდ, ახლანდელი დუშეთის რაიონის მაღაროსკარისა და შუაფხოს სასოფლო საბჭოების ტერიტორიას მოიცავს, წარმოადგენს. აქ მოედინება მდინარე არაგვი, რომლის თითქმის ორივე მხარეს ცხოვრობენ ფშავლები – საუკუნეების მანძილზე თავისუფლებისმოყვარე, მეზრძოლი ხალხი, რომელთაც დღემდე მოჰყვებათ განსაკუთრებული მაღალმხატვრული შემოქმედებითი ნიჭი, კერძოდ, ლექსის ზეპირად გამოთქმის უნარი.

ყაფია, როგორც ხალხური პოეზიის ჟანრი, ფშავში დაიბადა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყაფიის ოსტატები მხოლოდ ფშავლები იყვნენ. საუკუნეების წინათ, როდესაც ფშავლებისა და ხევსურების მიგრაცია დაიწყო თიანეთის, ახმეტის, საგარეჯოს, წითელწყაროს და სხვა მიმართულებით, მათ ეს ტრადიცია იქაც მიიტანეს, სადაც დასახლდნენ და ადგილობრივთა სახით ახალი მეტოქე მეზობლები გაიჩინეს.

ფშაური ხალხური პოეზიის მშვენიერად ითვლება ე. წ. „ყაფია“, ანუ ორი პირის მიერ ურთიერთშემღერება ლექსად, სალექსო სტრიქონებით. არსებობს როგორც მეტოქესთან პირადად ნათქვამი ყაფია, ისე შენათვალ–შემონათვალი, რომლის მაგალითებსაც ჩვენც მოვიშველიებთ.

ადრეულ ეტაპზე ყაფია მუსიკალური სახით სრულდებოდა. მეტოქეების გვერდიგვერდ დასხდებოდნენ მაგიდასთან და ერთმანეთს ისე შეუმღერებდნენ. ამას „შამღერება“ ერქვა. ყაფიაობა იმართებოდა ყველგან – ლხინში, ქორწილში, ნათლობაში და, თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგჯერ დაკრძალვაზეც კი. ყაფიაობას წინ უძღოდა, ასე ვთქვათ, „მოფშავლება“ – ცოტაოდენი ღვინის ან არყის მიღება, რათა მოლექსე–მიკაფიავეები ხასიათზე მოსულიყვნენ, გალაღებულიყვნენ, სიათამამე ეგრძნოთ. ისინი ცოტათი შეთვრებოდნენ კიდეც და მაშინ იწყებოდა მახვილსიტყვაობის ნაღდი შეჯიბრი...

ყაფიაში მთავრად მაინც აზროვნების სისხარტეა: მოლექსემ თავის მეტოქეს წამებში უნდა უპასუხოს, თორემ მას დამარცხებულად ჩათვლიან. შამღერებაში ნათქვამი უხამსი სიტყვებიც არც ერთს არ უნდა ეწყინოს... თუ ეწყინება რომელიმეს, იგი დამარცხებულად ჩაითვლება.

ფშავი 12 თემად იყო დაყოფილი, რომლებსაც მრავალი სოფელი შედიოდა. ტრადიციულად, ჯერ სოფლები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, შემდეგ ესა თუ ის გვარები, ცალკეული პიროვნებები...

ფშავში კარგი მოკაფიავე კაი ყმას არ ჩამოუვარდებოდა. მჭრელი სიტყვის მქონე მოკაფიავისა ისე ერიდებოდათ და ეშინოდათ წვეულებების დროს. როგორც ორლესული მახვილისა. თუ ვინმე სამარცხვინო საქციელს ჩაიდენდა, გასაკილავი ხდებოდა. ამიტომ ცდილობდნენ, სამარცხვინო არაფერი დამართნოდათ, რომ ეს ამბავი იქვე, უცბად არ გაელექსათ. მოკაფიავენი ზოგჯერ თავიანთ ცოლებზეც კი ხუმრობდნენ.

ცნობილი ფშაველი მოლექსე ყრუვგიორგი (მძიმედ ესმოდა ყურში), იგივე გიორგი მგელიაშვილი (გარდაიცვალა 1934 წელს) ცხოვრობდა თიანეთის რაიონის სოფელ ლახატოში. ახალგაზრდა გიორგი ბიძას და ბიძაშვილს წაუყვანიათ არაგვის ხეობის ერთ–ერთ სოფელში, ტუქსიშვილის ოჯახში, მათი ქალიშვილის სათხოვნელად. სასიძო და მისი მომყოლები ოჯახს კარგად მიუღია. სუფრა გაუშლიათ და გვიანობამდე უქეიფიათ. გიორგის არც ენახა თავისი მომავალი საცოლე და მთელი საღამო გულისფანცქალით ელოდა სასურველი ქალიშვილის გამოჩენას, მაგრამ ისე დამთავრდა სუფრა, იგი სახლში არ შემოსულა და სტუმრებს არც მისალმებია. ეტყობა, სუფრა დიდ, ფშაურ სამყოფო ოთახში იყო გაშლილი და სტუმრები იქვე დააძინეს. ყველა დანვა, დაიძინა... მაგრამ გიორგის რა დააძინებდა... ამ დროს შემოსულა საპატარძლო გოგო, აუნთია ხელის ლამფა, გადმოუღია

ცივი ხინკლები. გაუთბია ბუხარში დანთებული ცეცხლის ნაკვერჩხლებზე, უჭამია კარგად და წასულა დასაძინებლად. სასიძომ ყველაფერი ეს ნახა და თავისთავს გულიგულში უთხრეს: ესეთი ქალი შენ არ გამოგადგებაო...

გათენდა დილა, ისევ გაიშალა სუფრა, დაიწყეს სიმღერა – ყაფიაობა. მთელი ღამის ხმაამოუღებელმა სასიძომ მასპინძელს, სასიმამროს შეუმღერა:

„რა გუდინი, რა ტუქსინი,
ცხრა გუდა მაქვს, ცხრა ზურჯინი,
ყრუვგიორგის რა ხელს მისცემს
დედუკაის (საპატარძლოს დედის სახელია) განურთენილი,
წარწომ ხინკალს არ გაუშვებს,
უყვარს ცეცხლზე გახუხვილი“.

ამ სიმღერის შემდეგ სასიძო თავის თანმხლები პირებით დამშვიდობებია ტუქსაშვილების ოჯახს და ამით უარი უთქვამს მათი შვილის ცოლად თხოვნაზე...

თიანეთის რაიონის სოფელ კვერნაულში მცხოვრებ მრავალშვილიან ელიბოს სტუმრად მისვლია მეგობარი კაცი ფრუშკა. მასპინძელს ძმაკაცისთვის სუფრა გაუშლია. სუფრაზე მოუტანია ერთი ბოთლი ჟიპიტაურის არაყი, პური და ერთი თავი ნიორი. სტუმარს სუფრა არ მოსწონებია და მეგობრისთვის შეუმღერია, წაუყაფიავებია:

ფრუშკა: ყველ მაშიტანე ელიბო, რად მაშიტანე ნიორი?
ელიბო: ჩემ ბალებს რა ყველ მარჩებათ, ჯარი მყავ, ბატალიონი,
ფრუშკა: თევზ მაინც დაიჭიროდი, გვერდზე ჩამოგდის იორი.

ელიბო: მე სტუმარს იმით დავხვდები, რაისაც მაქვს იოლი...

მოკლედ, აქ მასპინძელმა მიუგო სიტყვა მეგობარს და გამარჯვებულად დარჩა.

საკმაოდ განთქმული მოლექსე–მოკაფიავე ფრუშკა წვეროშვილი თიანეთის რაიონის სოფელ სოფლიონში ცხოვრობდა. იგი შეხვედრია ყრუვგიორგის და ძმები რაზიკაშვილების გახმაურებული ავტორიტეტის დასამცირებლად ლექსად უთქვამს:

ფრუშკა: რად მინდა საწერ–კალამი,
რად ვაღლეინებ მაჯასა,
მე რაში დავუვარდები
რაზიკაშვილის ვაჟასა?
ამაზე პასუხად მაშინვე მიუგია ყრუვგიორგის:

ნეტავ რას ამბობ ფრუშკაო,
ნეტავ რას იგდებ თავსაო,
მელექსე ისეთა უნდა,
ვაჟა რომ ჰყავის ფშავსაო,
ჩარგალში სიტყვას იტყოდა,
ქალაქს აწვდენდა ხმასაო.
როგორც ამბობენ ფრუშკა გაჩერებულა და ყაფია აღარ გაუგრძელებია.

ლექსის შეთვლა–შემოთვლა ფშავში დიდ მონონებაში იყო, მთქმელებს დიდი ავტორიტეტი ჰქონდათ, მათ პატივს სცემდნენ, მათ „ნათქომ“ სტრიქონებს ავრცელებდნენ, სუფრაზე წარმოთქვამდნენ, მღეროდნენ.

ნიშანდობლივია, რომ ვაჟა–ფშაველა ალტაცებით შეხვდა გაზეთ „ივერიის“ რედაქციის ინიციატივით გამოცემულ ფშაური ხალხური ლექსების პირველ კრებულს და მათ შემკრებს, ბატონ დავით ხიზანიშვილს, რომელსაც საჯაროდ დიდი მადლობა გადაუხადა. ვაჟა–ფშაველა და მისი ძმები თედო და ბაჩანა (ნიკო) საკმაოდ დაინტერესებული იყვნენ ფშაური ხალხური პოეზიით და მათი წყალობით არაერთი ლექსი გადაურჩა დაკარგვასა და დაგინყებას.

ყაფიის საქმეში ძირითადი, წამყვანი ძალა მამაკაცებშია. ისინი წარმართავენ ყველა ვითარებაში, მაგრამ ფშაური ყაფიის გამოთქმებში მამაკაცებს დედაკაცებიც არ ჩამორჩებიან, ისინიც ლექსობენ თავის ჭირ–ვარამზე. იმათაც აქვთ

საკუთარი გასაჭირი, ჰყავთ საკუთარი დობილები და ძმობილები – წანლები.

ყაფიაობა, ლექსის ზეპირად თუ წერილობითი შეთვლა–შემოთვლა დღესაც გრძელდება ფშავში. ასეთ სიტუაციაში მეც აღმოვჩენილვარ. თუ ამპარტავნობაში არ ჩამომერთმევა, ორიოდ ფაქტს გავიხსენებ...

მოხდა ისე, რომ მე, ხვთისაგარ არჩემაშვილი, წარმოშობით ფშაველი, რომელმაც დავამთავრე საშუალო სკოლაც და უნივერსიტეტიც, ჯერ კიდევ არ ვიყავი ნამყოფი ისტორიულ ეთნოგრაფიულ ფშავში და რა, თქმა უნდა, ს. ვაკი–სოფელში, საიდანაც წარმოშობილი არიან არჩემაშვილები, რომლებიც XIX საუკუნის მეორე ნახევარში გადასახლდნენ თიანეთის რაიონში: ჯერ სოფელ ყვარაში, შემდეგ რაიონული ცენტრის სიახლოვეს, სოფელ თეთრახევში.

ბუნებრივია, ამ კუთხის, უკანა ფშავის მაშინდელი მთავარი გასაჭირი უგზოობა და უსინათლობა – მე არ ვიცოდი. ერთი სიტყვით, ეს მხარე მოვინახულე საკმაოდ მოგვიანებით, გასული საუკუნის 70–80–იან წლებში.

უკანა ფშავს, მის მაცხოვრებლებს მე გავეცანი დიდებული ფშაველი ვაჟკაცის, ილია ფხოველის მეშვეობით. ძალიან შევწუხდი ჩვენი მაშინდელი უკანაფშაველი თანამემამულეების უგზოობით, უსინათლობით და, როგორც ჟურნალისტმა, საქართველოს რადიოს ერთ–ერთმა მუშაკმა, დავიწყე ფიქრი ამ მხარის დასახმარებლად. ამაზე ვწერდი და ვაქვეყნებდი პრესაში, რადიოში პრობლემურ წერილებს ფშავზე და არამარტო ფშაველებზე... ჩემი წერილი „არ გასტყედეთ, არხოტიონო!“ „რომელიც 1989 წელს გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა, საქართველოს მთავრობამ განიხილა დაგარკვეული დახმარება აღმოუჩინა ხევსურებს...

ფშაური ყაფია, შენათვალ–შემონათვალი ლექსი ფშავლებს ღვთის გაჩენილად მიაჩნიათ და, მართლაც, ხშირად ღვთიურ საქმეს ემსახურება. ეს, თუნდაც, ისევ ფშავის მაგალითზე ითქმის. ზემოთ ნახსენებმა სათანადო ჟურნალისტურმა წერილებმა და ლექსებმა უთუოდ თავისებური გადამწყვეტი ბიძგი მისცეს ამ მივინყებული მხარის აღორძინებას. ამასთანავე, ფშაური ყაფია, შამღერება, გალექსება, გაშაირება, შენათვალ–შემონათვალი ლექსი ხელს უწყობს ადამიანის განწმენდას, სულიერ ამაღლებას, სილამაზეს.

არც „ვარდების რევოლუციის“ (სააკაშვილის მოსვლის) შემდეგ ჩამიგია კალამი „ქარქაშში“... ამ ათიოდე წლის წინ გავბედე და ჩემი ჟურნალისტური და შეთვლილ–შემოთვლილი წერილების, ნარკვევების, ლექსების წიგნად გამოცემული კრებული საჩუქრად და სახსოვრად გავუგზავნე მაშინდელ პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს. თან გავბედე და წიგნს ერთი თხოვნაც მივაცოლე: ფშავისათვის როგორმე ერთი ორხიდიანი სამგზავრო ავტობუსი გამოეყო, მიეცა. ვარაუდმა გაამართლა პრეზიდენტმა ამ საქმისათვის პირადი ბრძანებით 37.500 დოლარი გამოყო და დუშეთის რაიონს გადაურიცხა. რაიონმა ორხიდიანი ავტობუსი შეიძინა, რომელიც ახლაც მოძრაობს მარშრუტით: „შუაფხო–თბილისი“. მანამდე ფშაველები „თბილისი–ბარისახოს“ რეისს დაჰყვებოდნენ. ამისათვის ისინი იძულებული იყვნენ იქით–აქეთ შუაფხომდე და, მით უმეტეს, სხვა სოფლებამდე 5–10 კილომეტრი ფეხით უნდა გაეცლოთ. ერთი სიტყვით, უკანა ფშავის მოსახლეობამ ამოისუნთქა. ამის გამო მეც უდიდესი მადლიერებით განვიმსჭვალე პრეზიდენტისადმი.

დასასრულ, რადგან ფშაური ყაფიის შესახებ სათქმელი გარკვეულწილად ითქვა, ხაზი უნდა გავსვას იმ გარემოება, საერთოდ, ქართველი ხალხი ჭეშმარიტად პოეტური ხალხია, არა მარტო ბუნებით, ხასიათით, არამედ, დიდი მხატვრული ნიჭითაც. ვფიქრობ, აქ დასახელებულმა, ციტირებულმა ლექსებმა გარკვეული წარმოდგენა შეგვიქმნა ყაფიის შესაძლებლობებზე – თავისი მახვილი უნარით ხელი შეუწყოს როგორც ცხოვრებისეული ნაკლოვანებების გამოსწორებას, ისე ადამიანების ხასიათის სრულყოფას, გაკეთილშობილებას.

მედიკალიზაცია

ივეტა პავლიაშვილი

ბაზარი სავსე იყო ათასგვარი ყვავილე-ბით. ყველა მათგანი საოცრად მომხიბვე-ლელი იყო, თუმცა როგორც ყოველთვის ვარდი დედოფლობდა მაინც. არჩევანიც დიდი იყო, მაგრამ ყვავილების ქვეყნის ყვავილებს რომელი ქვეყნის ყვავილები დაჩრდილავდა?

დახლებზე უხვად ელაგა სხვადასხვა ფერისა და სხვადასხვა ჯიშის ყვავილე-ბი. ამ სილამაზის ცქერაში ისე გავერთე, ჩემი თავიც კი გადამაინყდა. ხან წი-თელ ვარდს წავატანე ხელი და ხან კიდევ თეთრს, მაგრამ ვერ გადავწყვიტე, რო-მელი მეყიდა. მე პირადად თეთრი ფერი იმდენად მიყვარს - რომ სადაც მივდივარ, ყველგან თეთრი ფერის ყვავილები მი-მაქვს (სულერთია ველური იქნება ის თუ ბალის ნამყენი). ამასობაში ერთი წრე უკვე დაეარტყი დახლებს. მყიდველი უფრო მე-ტად წითელ ვარდს ეტანებოდა, თუმცა არც თეთრი რჩებოდა უყურადღებოდ. აი, ყვითელი ვარდით კი ნაკლებად ინტერეს-დებოდა ვინმე. არადა სხვა ფერის ვარ-დებს არაფრით ჩამოუვარდებოდა არც მომხიბვლელობითა და არც სურნელებით.

ბაზარში ხალხი ირეოდა. დახლებთან ჩერდებოდნენ.., არჩევდნენ... ზოგი ფა-სის, ზოგი ფერის, ზოგიც ღეროს სიმაღ-ლის მიხედვით. ზოგი კენტს ყიდულობდა და ზოგი ლუნს. მივთარ-მოვთარე და სწო-რედ იმ დახლებთან შევჩერდი, შემოსვლის-თანავე რომ მიიპყრო ჩემი ყურადღება. მარგალიტის ცრემლებივით ეყარა ცვარი ყვითელი ვარდის ჯერ კიდევ გადაუშლელ ფურცლებს. ცნობისმოყვარეობამ მძლია და სიცივისაგან გულურჯებულ გამყიდ-ველს, ხელები რომ ტუჩებთან მიჭიქონდა გასათბობად, მოკრძალებულად შევე-კითხე: - ქალბატონო, რა შემთხვევაში ყიდულობენ ყვითელ ვარდს? - რა ვიცი, ჩემო კარგო, ასე ამბობენ ყვითელი ვარ-დი შენდობისა და პატიების სიმბოლოაო: ზოგს შეყვარებულთან მიაქვს, ზოგს მე-გობართან, ზოგს სად და ზოგს კიდევ სად. ზოგისთვის ბედნიერება და სიხარული მოაქვს, ზოგისთვის ენერგია, ზოგისთვის სინანული. თქვენ ვისთვის გინდათ? - სა-უკეთესოს ამოგიჩვენებ, რამდენი ცალი შევკონო? თვალები ცრემლით ამევსო. შერჩეული წითელი ვარდები ისევ დახლ-ზე დავაღაბე და გამყიდველს ყვითელი ვარდების თაიგული გამოვართვი. გულში კი ვინ იცის მერამდენედ ვიმეორებდი - მა-პატიე მეგობარო, ვარდები დაგიგვიანე. სოფლიდან დავბრუნდი თუ არა ქალბა-ტონი ლიდა მოვიკითხე. მისი ხმა არ მო-მეწონა, მითხრა უმჯობესია ასეთ მდგო-მარეობაში არ მნახოვო. დარეკვა ველარ გავებედ და სანახავად წავიდი.

სიკვდილამდე ათი დღით ადრე მოვი-ნახულე. გაიხარა ჩემი მისვლით, მითხრა - ვიცოდი მნახავდიო. საწოლის თავთან მწერლის გაზეთის ახალი ნომერი იდო, რომლის ერთი გვერდიც მთლიანად მის ლექსებს ჰქონდა დათმობილი. მისი ლექ-სები იშვიათად არ იბეჭდებოდა, მაგრამ ამ ნომრით მაინც განსაკუთრებულად მაღ-ლიერი და ბედნიერი ჩანდა.

მიუხედავად იმისა, რომ დასუსტებული იყო და მისი მიმქრალი ხმა ძლივს მესმო-და, მაინც დიდხანს ვისაუბრეთ. მინდოდა გამემხნევებინა და ჩემი ახალი ლექსები წავუკითხე. მის თვალებში ჩემდამი დიდი სიყვარული ამოვიკითხე. - ვიცოდი, შენში არასოდეს შევცდებოდიო მითხრა. რამდე-ნიმე კეთილი რჩევაც მომცა და წარმატე-ბა მისურვა.

მიუხედავად ცხოვრების მძიმე, გა-უსაძლისი პირობებისა, მას არასოდეს დაუკარგავს იმედი, პირიქით ბევრს იქეთ ანუგეშებდა კიდევ. ყველანაირ წინააღმ-დეგობას შემართებით ხდებოდა. სცი-ოდა თუ შიოდა, არასოდეს იყო ღმერთის უმადური, არავის შეანუხებდა და არც არავისთან უყვარდა თავის გაჭირვება-ზე საუბარი. თუმცა ჩემთან ყოველთვის

გულგახსნილი იყო.

მას სიცოცხლის ბოლომდე არაჩვე-ულებრივი მესხიერება ჰქონდა. ოცი წლის წინ დაწერილი ჩემი ლექსის სტრიქონებიც კი გაიხსენა: "გაზაფხულდება, კვლავ ერ-თად შეგვეყრის ჩემი კალამი და მუხათნ-ყარო" და კიდევ: "უფლის ნება თუ იქნე-ბა, ერთმანეთს კვლავ შეგვახვედრებს". მუხათწყაროს გახსენებისას თვალები აუცრემლიანდა. ზაფხულის პაპანაქება სიტხეში ის არარეობულ მინახავს ნუცუ-ბიძის პლატოდან მუხათწყაროსკენ ფეხით მიმავალი. აქ იყო მისი ოცნების სულიერი სამყარო. მაშინდელ მის კოპნია ეზოკარს კი ნამდვილად პოეტების გალიას დავარ-ქმევდი. პატარა პაუზის შემდეგ ძლივას გასაგონი მისი სუსტი ხმა გავიგონე: "სულ ასე კი არ იქნებო, მეც მოვჯობინდები და დაგიბრუნდებით, გაზაფხულამდე ქვეყა-ნაშიც ყველაფერი დალაგდება. ალბათ, მწერლებსაც გამოუჩნდება ვინმე გულშე-მატიკივარი პატრონი, შენობასაც დავიბ-რუნებთ და დაგვაფასებენ კიდევაც"-ო. შემდეგ ისევ გააგრძელა ჩემთან საუბარი. კიდევ რა არის შენს შემოქმედებაში ახა-ლიო. მეც ჩემი დაუმთავრებელი მოთხო-რების "ყვითელი ვარდის" მოკლე შინაარსი გავაცანი. მან გაიღიმა და მითხრა: ვერ წარმოიდგენ, როგორ მიყვარს ყვითელი ფერის ვარდი, ჩემი ყველაზე უსაყვარლე-სი ფერი ლიმონის ფერიაო. კიდევ მინდო-და საუბრის გაგრძელება, მაგრამ ვიფიქ-რე არ გადავდლო მეთქი, დავემშვიდობე და გამოჯამრთელება ვუსურვე. დავიხარე და ჩემს უსაყვარლეს მეგობარს დამჭკნარ ხელზე კოცნით უკანასკნელად ვეამბორე. ამასთანავე შევპირდი, რომ ახლო მომა-ვალში ყვითელი ვარდებით ვესტუმრებო-დი.

სახლში უგუნებოდ დავბრუნდი. ჩემი დანყებული მოთხორობა „ყვითელი ვარდი“ ერთხელ კიდევ წავიკითხე და სახელწოდე-ბა შევცვალე. მაგიდიდან ჩემი და ლიდას ერთად გადაღებული ფოტოსურათი გად-მოვიღე. აქაც ლიმონისფერი კოფთა აც-ვია, მწერალთა კავშირის ბაღში ვართ და ორივენი ბედნიერად ვიღიმებით.

რას ვიფიქრებდი მაშინ, თუ ჩემს ერთ-გულ მეგობარს, დიდსულოვნებითა და ნიჭიერებით გამორჩეულ პიროვნებას, სი-კეთისა და პატიოსნების ეტალონს, სულ რაღაც ერთ კვირაში ყვითელ ვარდებით უკანასკნელ გზაზე გავაცილებდი.

ამაგდან - თვალსაჩინო პოეტი - ქალბა-ტონი ლიდა სტვილია ჩემს გულში მარად დარჩება ისეთი როგორიც იყო: განათლე-ბული, მამაცი, რწმენაურყევი, უანგარო, მოკრძალებული, ბანოვანი ქალბატონი.

ეთერ აფაქიძე

ეპიფანია პოეტ ლიდა სტვილიას ხსოვნას, რომელსაც 1 მაისს 80 წელი შეუსრულდებოდა

რამდენი დრო გასულა, რაც შენ სახლში არა ხარ, შენს ფეხის ხმას ჯამაზი აყურადებს ხანდახან. როცა არ გამოჩნდები, არც ოთახში გიგულებს, გამოაღებს ფანჯარას, წარმოსახვით გიყურებს. შენს მაღლიან გულსა და დაღლილ ხელებს დიდება, ვჭაღარდებით, ვბერდებით, დედა მაინც გეჭირდება, რომ არასდროს ვივინყებთ თენდება თუ ბინდდება, დედის სიტბო/ალერსი, კვლავ ბავშვივით გვინდება.

„ნიკო ფიროსმანაშვილის პირადი საქმი“ ანუ ოფიციალური რუტინის ძრონია

ეკა ცხადაძე

მასკულტურის საყოველთაო ბატონობის ჟამს, ზოგჯერ, ძალიან იშვიათად, მნიშვნე-ლოვანი და სასიხარულო რამ ხდება ხოლმე და ნამდვილად საჭირო და ეროვნული საქმე კეთ-დება. მხოლოდ ის არის საოცარი, რომ ამგვარ აქტს რეზონანსი არ მოჰყვება და შეუმჩნე-ლად ჩაივლის. იშვიათ და მნიშვნელოვან ფაქ-ტად შეგვიძლია მივიჩნიოთ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვ-ნული სააგენტოს მიერ სერიით - „მუზეუმი, ისტორია, არტეფაქტი“, გამოცემული რიგით მესამე კრებული: „ნიკო ფიროსმანაშვილის პირადი საქმი“, სადაც მხატვრის ცხოვრების 1890-1894 წლებია მოქცეული.

ქართული კულტურის საამაყო სახეთა შო-რის გამორჩეული და აღიარებული ნიკო ფი-როსმანი, მეტწილად ბურჟუაზია მოცული. ლეგენდად არის ქცეული მისი კეთილშობი-ლება, უანგარობა და პრაგმატული ცხოვრე-ბის ვერშეძლება. მითიურ გადმოცემასავით იდუმალი და ლამაზია ფრანგი არტისტი გატაცებაც. რაც ყველაზე სავალალოა, ნიკო ფიროსმანის საფლავიც არ ვიცით და მხო-ლოდ პოვნის იმედი გვაქვს. თითქმის ყველა სარწმუნო მონაცემი და ოფიციალური ცნობა მუზეუმშია დაცული.

„ნიკო ფიროსმანაშვილის პირადი საქმის“ შემდგენელი და წინათქმის ავტორი ხელოვნე-ბათმცოდნე ირმა დოლიძე გადმოგვცემს:

„ფიროსმანის ცხოვრებისა და შემოქმედე-ბის მკვლევრები ხშირად მიმართავენ „პირადი საქმის“ მასალებს და ისინი ფიროსმანისადმი მიძღვნილ არაერთ გამოცემაშია ასახული, მაგრამ სრული სახით პირველად ქვეყნდება. „პირად საქმის“ დოკუმენტებითან ერთად წიგნ-ში წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული XIX საუკუნის ბოლოსა და XX დასაწყისის ამიერკავკასიის რკინიგზის ამ-სახველი ფოტოდოკუმენტაცია. მათ შორის ის სადგურები, სადაც ფიროსმანს უწევდა მუშა-ობა - მიხაილის (ხაშური), ელისავეტპოლის (განჯა), ევლახი ს(თანამედროვე აზერბაიჯა-ნი, საინგილო), ბაქოს, თბილისის სადგურე-ბი...“

მომგებიანი და ეფექტური გამოდგა ირმა დოლიძის და გვანცა გეგეჭკორის კონცეფ-ცია, რომელმაც საარქივო მასალა მოიცვა, ვიზუალური გაფორმებით და აკა მორჩილა-ძის ტექსტით. ეს სამი კომპონენტი მთლი-ანობაში გვიჩვენებს ფიროსმანის რუტინულ ცხოვრებას „დამუხრუჭების კონდუქტორის“ პოსტზე, მისი ჯანმრთელობის რღვევას და თბილისური ბოჰემის წრებრუნვაში ჩართვის გარდაუვალობას.

გამოცემიდან კარგად ჩანს, რომ ყოველ-დღიური სამსახურებრივი მოვალეობები გაუსაძლისი გახდარა ნიკო ფიროსმანაშვი-ლისათვის. იმპერიის ქვეყნერდომისა და მო-ხელის რუტინული ყოფა ყოველმხრივ ზღუ-დავდა მომავალ მხატვარს.

წერილმანებში, თავის მართლებასა და კუთვნილი პრივილეგიების გამოყენების ნე-ბართვისვის ხვეწნა-მუდარაში ფიროსმანის ძვირფასი დრო იკარგებოდა. კარგად ჩანს, როგორ მობეზრდა მას დღემუდამ გზაზე ყოფნა, უბირ ადამიანებთან ურთიერთობების გარკვევა. მართალია, ჯანმრთელობა შეერყა, მაგრამ ისე არა, რომ სამსახურის შესრულე-ბაში ხელი შეშლიდა; დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ავადმყოფობაზე ხაზგასმა და შეგებულე-ბის გახანგრძლივება, პირადი დროისა და სივ-რცის ცოტა ხნით მაინც მოხელთებისათვის სჭირდებოდა.

საარქივო დოკუმენტების სიმცირე ვერ გვი-მაღავს, თუ როგორ უჭირს ფიროსმანაშვილს, როგორ ქანცავს და სულს უმარტივებს ოფი-ციალური სამსახური. ცხადია, მისი ხასიათის სირბილე, თანდაყოლილი ინტელიგენტურო-ბა და მორიდებულობა, ზედმეტი და არაეფექ-ტური ჩანს სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას შექმნილ წინააღმდეგში.

მაგალითად, 1893 წლის 10 ივლისით და-თარიღებულ საარქივო მასალაში, სადგურ ელისავეტპოლის კონდუქტორის, ნიკოლოზ ფიროსმანაშვილის, ახსნა-განმარტებაში ვკითხულობთ:

„ამა წლის 9 ივნისს ვახლდი #47 მატარე-ბელს. სადგურ ევლახში შემოსვლის შემდეგ დაიწყო მანევრის შესრულება. მე ევლოდებო-დი მანევრების დამთავრებას, რათა დამეწყო ვაგონების გადაბმა. ამ დროს კანტორიდან გამოვარდნენ მორიგე აგენტი და მთავარი კონდუქტორი პაიჭაძე და დამიწყეს ყვირილი, რატიმ არ არის მატარებელიო, ალბათ, გძი-ნავსო. რაზეც ვუპასუხე, რომ, ჯერ ერთი, მა-

ტარებელი ახალი შემოსული იყო და მეორეც, მთავარმა კონდუქტორმა ერთი კონდუქტორი სახლში გაუშვა, მეორე მტვირთავად წაიყვანა, მესამე უკან გაბრუნდა; მე ერთს კი არ მეყო ძალი მთელი მატარებლის გადასამგელოდ. ისედაც სუსტად მყოფს დამეწყო ფეხებისა და ხელების კანკალი. ძალიან დავსუსტიდი და ვერ შევძელი გზა გამეგრძელებინა, რის გამოც ჩა-მოვრჩი #47 მატარებელს. ამის შემდეგ ძლიერ ავად გავხდი და ექიმმა გამაგ ზავნა ლაზარეთ-ში....“

ამის შემდეგ ნიკო ფიროსმანაშვილი ით-ხოვს შერყეული ჯანმრთელობის აღსადგენად შეგებულებას და პატაკში ვკითხულობთ:

„...მაქვს პატივი უმორჩილესად ვთხოვო თქვენს აღმადგებულებას, გასცეთ განკარ-გულება, სამკურნალოდ გასამგ ზავრებლად მომეცეს ორთვიანი შეგებულება ჯამაგირის შენარჩუნებით, კონდუქტორი ნიკოლოზ ფი-როსმანაშვილი....“

შემდეგი დოკუმენტიდან ირკვევა, რომ: „დამუხრუჭების კონდუქტორმა ფიროსმა-ნაშვილმა ისარგებლა შეგებულებით 27 ივნისი-დან 27 სექტემბრამდე...“

ხოლო 1893 წლის 23 დეკემბრის მოხსენება-ში წერია:

„სადგურ ელისავეტპოლის კონდუქტორ-მა ნიკოლოზ ფიროსმანაშვილმა მოგვმართა შუამდგომლობით, ავადმყოფობის გამო სამ-სახურიდან დათხოვნისა და რკინიგზაზე მუ-შაობისათვის შემწეობის გაცემის შესახებ.

ტფილისის რკინიგზასთან არსებულმა ლა-ზარეთის კომისიამ ფიროსმანაშვილს დაუდ-გინა ცხვირში პოლიპები და აუცილებლად მიიჩნია ოპერაციის ჩატარება. ამასთან, ცნო იგი სამსახურისთვის ვარგისად, მაგრამ ფი-როსმანაშვილმა უარი თქვა ოპერაციაზე და-სუსტებული ჯანმრთელობის მიზეზით და გა-ნაცხადა, რომ სამსახურის გაგრძელება აღარ შეუძლია.

რის შესახებაც მაქვს პატივი, ვაცნობო საერთო სხდომაზე განსახილველად.“

მთელი ეს დოკუმენტაცია რუსულ ენაზეა შედგენილი და ქართულ თარგმანთან ერთად მოგვეწოდა (თარგმანი თამარ სანთელაძეს ეკუთვნის). გაფორმებულია ფიროსმანის ეპო-ქის ფოტოებით და მისივე ნახატებით.

წიგნს ერთვის აკა მორჩილაძის მხატვ-რულ-ბიოგრაფიული ნარკვევი „ნიკო ფიროს-მანაშვილის „პირადი საქმი“. ტექსტი შესრუ-ლებულია ისეთი ავტორის მიერ, რომელიც ჩვენი თაობის საუკეთესოთა შორის მოიაზ-რება და სამართლიანადაც. ვინც აკა მორჩი-ლაძის მხატვრულ შემოქმედებას ზერელედ მაინც იცნობს, იცის ძველი თბილისით და თბილისური ბოჰემით მისი გატაცების შე-სახებ. ამ ნარკვევში აკა მორჩილაძე თავის სტიქიაშია და მოცემულ დოკუმენტებზე დაყ-რდნობით გამოთქვამს საკუთარ ვარაუდებს, გეთავაზობს არგუმენტებს, იმედიებს პარა-ლელებს და გვისხნის მთელ რიგ საკითხებს. ეს არის შესაშური ცოდნით შექმნილი ექს-კურსი XIX-XX საუკუნეთა მიჯნის ქართულ ყოფაზე, მულტიკულტურულ თბილისზე და კახეთიდან დედაქალაქში ბედის საძებრად ჩა-მოსულ გლეხზე, რომელიც მინაგან არის სიკუ-რატისადაც ყოველ დეტალში ამჟღავნდება.

საარქივო მასალა აკა მორჩილაძეს აძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ: „ფიროსმანი არ ითვლება კარგ თანამშრომლად, მეტიც, ის უვარგის და ურჩ თანამშრომლად ითვლება. ერთი რომ სატვირთოთი უნებართვოდ გა-დაჰყავს მგ ზავრები, მეორეც, არ ემორჩილება ბრძანებებს, რომლებიც უსამართლო და მისი თანამდებობისთვის ზედმეტად მიიჩნია და მე-რამეც, რომ ძალიან ხშირად არის ავად, უმე-ტესად სურდოთი, რასაც სამუშაო პირობებს აბრალებს (გვ.18)“.

აკა მორჩილაძე ღრმად აანალიზებს ფი-როსმანის ხასიათს, თბილისური ყოფით მის გატაცებას, დიმიტრი ალუილიშვილთან საქმიან კავშირს, დასთან და სიძესთან ურ-თიერთობის განწყევტას, ქეიფიდან სმაზე გადასვლას, ზაზიანაშვილთან მეტოქეობას, ფრანგი მარგალიტათი გატაცებას, ხელოს-ნობიდან ხელოვანად ქცევის და საბოლოოდ უპოვარ ბოგანოდ აღსრულებას.

საქართველოს კულტურული მემკვიდრე-ობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოცემული „ნიკო ფიროსმანაშვილის პირა-დი საქმი“ მართლაც ძალიან კარგი, საჭირო და მნიშვნელოვანი პროექტია ჩვენი კულტუ-რისა და საგანმანათლებლო სივრცისათვის. იგი ერთნაირი წარმატებით მოემსახურება ხელოვნებათმცოდნეებს, ლიტერატორებს, ისტორიკოსებს, ფსიქოლოგებს, კულტურო-ლოგებს და, ზოგადად, ყველას, ვისაც ძვირ-ფასება დიდი მხატვარი და მისი შემოქმედება.

სამაწყვინო იუბილე

თეიმურაზ ლანჩავას თავისი მტკიცე ეროვნულ-პოლიტიკური პოზიცია არასოდეს გამოუხატავს. საითაც ქარი დაუბერავდა, იქით გადაიხრებოდა. მისი ბედკრული სამშობლოს გადამკიდვე არცერთ ხელისუფლებას არ დაპირისპირებია. იქნებ ამიტომაცაა, რომ ეს სამოცდაათი წლის კაცი სამი ათეული წელია საქართველოს მწერალთა კავშირის იმერეთის განყოფილებას ხელმძღვანელობს. დიახ, მისი ცხოვრების პრიციპია – „ხან ისე და ხან ასეო, ასე ჩემო მანასეო“.

საშუალოზე ცოტა ნაკლები პოეტი და უფრო ნაკლები პროზაიკოსია. ლიტერატურული ცხოვრების ორმოცი წლის მანძილზე არცერთი დასამახსოვრებელი სახე არ შეუქმნია და მკითხველის წინაშე რაიმე საქვეყნოდ მნიშვნელოვანი პრობლემა არ დაუყენებია.

ეგ არაფერი. გმირობას ყველას ვერ მოვთხოვთ.

ამ 5 თვის წინათ დამირეკა.

–ჰე, რას შობით ახლა, აპრილში სამოცდაათი მისრულდება.

როგორც გაირკვა, ზუსტად ანალოგიური სიტყვებით ეხმიანებოდა მაყვალა გონაშვილს.

კაცი იუბილარია, მისთვის წახალისება როგორ დამენანება.

–აკაკის პრემიას მოგცემთ (იგულისხმებოდა, დავსვამთ საკითხს სამდივნოს წინაშე–მეთქი).

–მაქვს.

–ნიკო ნიკოლაძის პრემიას მოგცემთ.

–მაქვს.

–გალაკტიონის პრემიას მოგცემთ.

–მაქვს.

რაც ჩამოუთვალე მწერალთა კავშირის პრეზიდიდან, ყველაფერზე „მაქვს, მაქვსო“, თუთი-

ყუშვიტ იმეორებდა.

–რა გიყოთ აბა?

–მევიფიქრებ რაცხას.

სამი თვის წინ ისევე დამირეკა.

„სახალხო მწერლის“ ნოდება მომანიჭეთ და დაგანებებთ თავსო.

ვერა, ჩემო თეიმურაზ, ამ ნოდების ნესდება ითვალისწინებს, რომ რუსთაველის პრემია უნდა გქონდეს და საზღვარგარეთ 5 წიგნი მაინც გქონდეს გამოცემული.

ამის შემდეგ დაიწყო ჩვენი წამება.

კვირაში სამჯერ მაინც გვირეკავდა.

მომეცით სახალხოობა, თვარა თავს მევიკლავ და თქვენ დაგბრალდებათ!

ილაჯი გაგვიწყდა, სასო წარგვეკვეთა, რაც იქნება იქნება–მეთქი და დავაიმედე.

იუბილემდე ერთი კვირით ადრე ისევე მირეკავს.

მომეცით ბარელამ რუსთაველის პრემიაც და გასტუმრებული გეყოლებითო.

„თავმდაბალი მწერალი“ როგორ არ მინახავს, მაგრამ ასეთი?

კიდევ კარგი, რუსთაველის პრემიას მთავრობა იძლევა.

10 მაისს ქუთაისში შედგა თ. ლანჩავას იუბილე.

მე ამაზე სამარცხვინო არაფერი მინახავს.

ათი წუთის განმავლობაში კითხულობდნენ კონფერანსიები თ. ლანჩავას მიერ მიღებული პრემიების სიას.

თუ ვინმე გაგვეგონა, ყველას პრემია თვითონ დაუარსებია და თავის თავისთვის მიუნიჭებია.

თვითონ ყოველგვარი დამორცხვების გარეშე იდგა, ორდენ–მედელებით და ჩინ–ტემლაკებით ბუდიონივით მკერდდამშვენებული.

გამომსვლელთაგან ზოგი მართლა მწერალი

გახლდათ, ზოგი კი უფრო სხვა სფეროში თავგამორჩენილი უტიფრობით გამორჩეული საქმოსანი, ზოგი ორგანიზატორ–კრიტიკოსი(?) გამომსვლელთაგან ვინც პასუხისმგებლობის გრძნობით გამოირჩეოდა, უფრო ქუთაისზე და მის სახელოვან ტრადიციებზე ლაპარაკობდა, ვიდრე თეიმურაზ ლანჩავას შემოქმედებაზე.

თ. ლანჩავას იუბილეზე სიტყვით არ გამოსულა არცერთი მისი ქუთაისელი კოლეგა (გამოჩენილ, სახელოვან მწერლებზე მოგახსენებთ) ალბათ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თავისი უნაპირო ამბიციურობით, განდიდების მანიით თ. ლანჩავამ თავის ყოფილ მეგობართა დიდ ნაწილს თავი მოაბეზრა, ისე ჩავიდნენ მიწაში ოტია იოსელიანი და რეზო ჭეიშვილი, რომ თ. ლანჩავას არ ელაპარაკებოდნენ.

ცალი ხელით ვწერ ამ წერილს და მეორე ხელით თავზე ნაცარს ვიყრი. ეს სამარცხვინო იუბილე ჩემი ბრალიც არის.

მე, როგორც მწერალთა კავშირის ერთ–ერთი ხელმძღვანელი, წინ უნდა აღვდგომოდი პრეზიდიმომხვეჭელის ოცდაათწლიან პარპაშს.

ვინ მამაძაღლს დაენანებოდა თ. ლანჩავასთვის სახელი და დიდება მისი საშუალო მწერლობა ამის საშუალებას რომ იძლეოდა.

ახლა კი, სანამ გვიან არ არის, ჩვენი ნაჩქარევი გადანყვებილების გამო ბოდიშს ვიხდი და ვპასუხობ იმ აღშფოთებულთა ტელეფონის ზარებს, სრულიად სამართლიანად ზომიერებისკენ რომ მოგვინოდეს.

ვშლი ჩემს ხელმოწერას თ. ლანჩავასთვის „სახალხო მწერლის“ მინიჭების დოკუმენტზე.

რევაზ მიშველაძე

12. V. 2017 წ.

დავით რობაქიძე

ციყვი ბოწბაღში

რევაზ მიშველაძეს
(აკროსტიქი)

ციურ აზრებთან დანადარი ღაღადით სულის,
იმედად მომდევს ერისკაცის ამაყად თქმული,
ყურადსაღებად ნაამბობი, თვალთი ხილული,
ვარ ფრთაასხმული, გულგამთბარი და მოხიბლული.
იხაროს შვილმა გონით–აზრით ამაღლებულით!
ბუნება მართლაც თუ იმეტებს სადაგ სასწაულს,
ოცნებათ რემას ოკეანედ სულში შემოსულს,
რა საოცრებად განანესებს ზომა–საწყაულს,
ბარაქალაა, ერს აჩუქებ სადაგ სამკაულს!
ავგიხმიაწე ისტორია უახლოესი,

ლაქარდიანი სიტყვა–თქმებით უბადლო მწყემსის,
შინაურთა და გარეულთა გვასწავლე წესი,
იქნებ ნობელმაც გაგვასინჯოს საუფლო ხემსი.

ქრონიკა

საქართველოს მწერალთა კავშირის წესდების თანახმად, ერთწლიანი მონაცვლეობის პრინციპის მიხედვით, მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება 1 ივლისიდან, ერთი წლით, დაევალა ბატონ ბალატიერ არაბულს.

მზია აკობია

საქართველოს იმედად (ირმა ინაშვილს)

დღეს ჟამია ისეთი,
ბევრის გული ვერ გულობს,
ჩვენი ამერ–იმერის
პატრიოტო ერთგულო!
შინაგანად ამაყო
მოქნეულო გავაზო!
შემართებით აღსავსე
ქართულ ჯიშის აღმასო.
ირმავე, – ქვეყნის იმედო,
მადლმოსილო ასულო!

ვაჟკაცურად, გმირულად
მწვერვალისკენ გასულო.
მწუხრის ცრემლი, გადაიქცა
სიხარულის ცრემლებად!
ღმერთი უკვე მაღლიდან
გვისმენს, გულით ვედრებას.
მოველიწე იმედად
საქართველოს ბედსა,
ჭეშმარიტად ერთგულად
რომ მსახურებ ერსა.

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია თანაუგრძნობს მწერალ გურამ გოგიაშვილს ქალიშვილის

თამარის

გარდაცვალების გამო.

ქართული გზა

№5

თბილისი
1-30 ივნისი

2017

მისამართი: გიორგი შიშინაძის ქუჩა №13 პეტრე საბულო. თბილ.: 293-55-75
გაზეთი გამოდის 2001 წლის 8 ნოემბრიდან

მთავარი რედაქტორი
სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე
პასუხისმგებელი მდივანი

სოსო სიგუა
რევაზ მიშველაძე
მანანა გორგიშვილი

რეგისტრირებულია ვაკე–საბურთალოს სასამართლოს მიერ.

რეგისტრაციის № 5ა-4-3098

e-mail: mgorgishvili@mail.ru; luizagogelia@mail.ru



9 771987 698009